

როვნული ბიბლიოთეკა - 165



1239
2011

საქართველოს ბიბლიოთეკა

ISSN 1512-0880

№1 (42)-2011

საქართველოს




ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:
 თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
 საქართველოს პარლამენტის
 ეროვნული ბიბლიოთეკა
 ტელ.: 36-09-51

ქურნალის რედაქცია:
 ადექსანდრე დორია
 - მთავარი რედაქტორი
 გურამ თაყნიაშვიდი
 - მთავარი რედაქტორის
 მოადგიდე, პასუხისმგებელი მდივანი
 გუდნარა სცურუა
 - სამეცნიერო-მეთოდური და
 კორექტორული მუშაობის
 რედაქტორ-კოორდინატორი

პირველი ივნისი—
 ბავშვთა დაცვის დღე



ინფორმაციული „ალი“
 დამფუძნებლები: საქართველოს
 პარლამენტის იდია ქავჭავაძის
 სახელობის ეროვნული
 ბიბლიოთეკა; საქართველოს
 საბიბლიოთეკო ასოციაცია.



საქართველოს ბიბლიოთეკა №1-2011

შინაარსი

რაოდენობა და ხარისხი -----	4
ოფიციალური განყოფილება	
საქართველოს ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის კოდექსი: პროექტი-----	6
გამოკვლევა	
რუსუდან წაქაძე _ ნიკო მარი და ბიბლიოთეკა-----	8
იური სიხარულიძე _ თვალსაჩინო მუშა-მგოსანი -----	10
კორესპონდენციები	
„ვუმღერთ ქუთაისს, ვუმღერთ გაზაფხულს“ -----	13
ლია ნიპარიშვილი _ „გიაბობთ სიფრიადესა“-----	15
ცირა ბულაშვილი _ ჩატარებული ღონისძიებების კვალდაკვალ-----	17
ლალი ყაულაშვილი _ სტუდენტთა სამსახურში -----	18
ეკა ჭანტურია _ ტრადიცია, რეალობა და პერსპექტივა -----	19
რუსუდან მარკოზია _ „ვინცა სამშობლოს უყოს კეთილი“ -----	20
მზია ოქრომჭედლიძე _ სკოლა და ჩვენი ბიბლიოთეკა-----	22
ფირა გაჯიევა _ „ჩემი ხატია სამშობლო“-----	22
საპავევო წიგნის მოამბენი	
თეა იოსავა _ შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო-----	24
წიგნის იუზილა	
დალი მაჩაიძე – „გასანათლებლად გონებისა, სალხინებელად სულისა“-----	27
გურამ თაყნიაშვილი – ‘დედა ენა’ : პირველი გამოცემა, პირველი კრიტიკოსები-----	31
ღირსეულთა პორტრეტები	
ეთერ ქამუშაძე _ ამაგდარი ქალბატონი-----	33
გურამ თაყნიაშვილი _ ორკერძ შემკობილი -----	35
ინფორმაციები	
ამერიკელი ბიბლიოთეკათმცოდნის ნაშრომი ქართულ ენაზე-----	36
„გურული ლექსიკის საუნჯის შესაქმნელად“-----	36
ალექსანდრე ლორია _ განახლებული გამოცემა-----	37
რითაც უნდა ვამაყობდეთ-----	38
ტრადიციად ქცეული-----	39
მონოდება განწმენდისაკენ-----	40
კლასიფიკატორთა დასახმარებლად -----	40
მეთოდური სამსახური	
როგორ ჩამოვწეროთ საბიბლიოთეკო დოკუმენტები-----	41
გამოხმაურება	
ალექსანდრე ლორია _ პოეტური გულწრფელობით აღსავსე წიგნი -----	43
ქრონიკა	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა -----	44
ნაქროლოგი	
ჩვენი ჟურნალის თანამდგომი-----	45
უდროოდ ჩამოკრული გლოვის ზარი-----	46

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 1 – 2011

СОДЕРЖАНИЕ

Количество и качество	4
Официальный раздел	
Кодекс профессиональной этики библиотекаря Грузии: Проект.....	6
Исследования	
Русудан Цакадзе — Нико Марр и библиотека.....	8
Юрий Сихарулидзе — Известный рабочий — поэт.....	10
Корреспонденция	
«Поём Кутаиси, поём весну» (Обзор материалов).....	13
Лия Нипаришвили — «Расскажу оСиприаде».....	15
Цира Булашвили — По следам проведённых меропрятий.....	17
Лали Каулашвили — На службе студентов.....	18
Эка Чантуриа — Традиция, реальность и перспектива.....	19
Русудан Маркозиа — «Кто родине послужит добром».....	20
Мзия Окрочедлидзе — Школа и наша библиотека.....	22
Фира Гаджиева «Моя икона — моя Родина».....	22
Деятели детской книги	
Теа Иосава — Шио Вгвимели и мир детей.....	24
Юбилей книги	
Дали Мачаидзе — «Для просвещения ума, для радости души».....	27
Гурам Такниашвили — «Деда эна»: Первое издание, первые критики.....	31
Портреты заслуженных	
Этер Камушадзе — Заслуженная женщина.....	33
Гурам Такниашвили — Прекрасная во всём.....	35
Информация	
Работа американского библиотековеда на грузинском языке.....	36
«Для создания сокровищницы гурийской лексики».....	36
Александр Лория — Обновлённое издание.....	37
Чем мы должны гордиться	38
Превращённое в традицию.....	39
Призыв к очищению.....	40
В помощь классификаторам.....	40
Методическая служба	
Как списать библиотечные документы.....	41
Отзывы	
Александр Лория — Книга, полная поэтической искренности.....	43
Хроника	
Хроника библиотечной жизни Грузии.....	44
Некролог	
Соратник нашего журнала.....	46
Траурный колокол, звонящий по безвременно ушедшим.....	46

Quantity and quality.....	4
official section	
Georgian librarian's professional ethics code: project.....	6
research	
Rusudan Tsakadze – Niko Mari and Library.....	8
Iuri Sikharulidze – Eminent poet.....	10
correspondence	
“Praising Qutaisi, Praising spring” (materials overview).....	13
Lia Nipriashvili – Georgian folk poetry – “GiambobT sifriadesa”.....	15
Tsira Bulashvili – Following carried out arrangements.....	17
Lali Kaulassvili – At student's service.....	18
Eka Chanturia – Tradition, reality and perspectives.....	19
Rusudan Markozia – “Those who serve their motherland”.....	20
Mzia Oqromchedlidze – School and our library.....	22
Fira Gajieva – My motherland is my icon.....	22
Those who take care of children's book	
Tea Iosava – Shio Mgvimeli and Children's world.....	24
book jubilee	
Dali Machaidze – Let God bless your mind and soul.....	27
Guram Takniashvili – Deda Ena: first edition, first critics.....	31
portraits of praiseworthy people	
Eter Qamushadze – solicitous lady.....	33
Guram Takniashvil – twice beautified.....	35
Information	
American librarian's work on Georgian language.....	36
Creating Guria vocabulary treasure.....	36
Aleksandre Loria - updated addition.....	37
What makes us proud.....	38
Becoming a tradition.....	39
Calling for purifying.....	40
Helping classifiers.....	40
methodological consultations	
Writing off library documents, review.....	41
Aleksandre Loria – Book, full of poetic sincerity.....	43
chronicle	
Georgia library life Chronicles	44
obituary	
Our journal supporter	45
Early mourning bells.....	46



რაოდენობა და ხარისხი



უძველესი დროიდან ფილოსოფიაში რაოდენობისა და თვისობრიობის საკითხთა კვლევას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. მათი ურთიერთმიმართების პრობლემებს დღესაც დიდი ყურადღება ეთმობა. სხვადასხვა ფილოსოფიური მიმართულებანი სხვაგვარად ხსნიან ამ ურთიერთობებს.

ჩვენს შემთხვევაში ამას ვიხილავთ იმ კუთხით, რომ გავარკვიოთ, რა გავლენას ახდენს რაოდენობა საქმის ხარისხზე და რამდენად კანონზომიერი მოვლენაა ის, უფრო კონკრეტულად – ქვეყნად ბიბლიოთეკების რაოდენობა რამდენად და როგორ ზემოქმედებს მათი საქმიანობის ხარისხზე. თანაც ჩვენ აქ ყოველი ცალკეული ბიბლიოთეკის მუშაობას კი არ ვგულისხმობთ, არამედ მთელი ქსელისა და სისტემისა; გვაინტერესებს, თუ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხი რა დონეზეა ამჟამად მოცემული რაოდენობის ფარგლებში, რას იძლევა ბიბლიოთეკების ოდენობის კატასტროფული შემცირება.

რაოდენობა შეიძლება გავიგოთ როგორც აბსტრაქტული ციფრების გამოხატულება, ისე კონკრეტული საგნების ოდენობის განსაზღვრა. საერთოდ, საგანი რაოდენობითი მონაცემის გარეშე არ არსებობს. ამ შემთხვევაში ჩვენ კონკრეტულ საგანთა – კერძოდ, ბიბლიოთეკის რაოდენობის მიმართება გვაინტერესებს მათი მოღვაწეობის ხარისხთან დამოკიდებულებაში, და აქედან გამომდინარე, რა შედეგი გვაქვს მთლიანად მთელ დარგში, როგორი სურათია აქ ხარისხობრივი თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, საქართველოს საბიბლიოთეკო საქმიანობაში ბევრი ცვლილება მოხდა. საერთოდ, როცა ცვლილებებზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება პროგრესული განვითარება, თუმცა ყოველგვარი ცვალებადობა როდია პროგრესული მოვლენა, მით უფრო, როცა ის ხელოვნურად ხდება და არა ცხოვრებისეული კანონზომიერებიდან გამომდინარე. რეფორმები, თუკი ის პროგრესს არ ემსახურება, არ შეიძლება განვითარების სანინდრად იქნეს მიჩნეული. ამიტომაც ყოველგვარი გარდაქმნა არ გულისხმობს განვითარებას. არაპროგრესულ განვითარებას არავითარი აზრი არა აქვს. ჩვენ შემთხვევაში გარდაქმნა ხარისხის ამაღლებას

უნდა ემსახურებოდეს.

სამწუხაროდ, მთლიანად საქართველოს საბიბლიოთეკო საქმე არ შეიძლება წარმატებულად მივიჩნიოთ, მიუხედავად იმ გარდაქმნებისა და ცვლილებებისა, რაც ამ დარგში მოხდა. საქმე იმაშია, რომ აქ გარდაქმნები არ ატარებს რეფორმატორულ ხასიათს, ის სპონტანურად და არაგეგმიურად ტარდება. არ შეიძლება რეფორმად დავსახოთ პროცესები, რომლებიც წინასწარ არ არის გათვალისწინებული, გაანგარიშებული, შესწავლილი, როცა არ არსებობს სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმები, არ არის არავითარი სამომავლო ხედვა, საქმეს არაპროფესიონალურად მართავენ, მოკლებულია ის მისდამი სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებასა და ნებას. არ შეიძლება ამგვარი მოქმედება რეფორმად ჩაითვალოს.

რაოდენობასთან შედარებით, ხარისხი უფრო რთულ ფენომენს წარმოადგენს. ის თვისებათა ერთობლიობაა, რომლებიც ქმნიან ერთგვარ პირობებს, რაც დააკმაყოფილებს ამ საგნის დანიშნულების შესაბამისად მოქმედების სრულყოფილად წარმართვის საშუალებას, კერძოდ, რამდენად შეუძლია მოცემულმა პირობებმა დააკმაყოფილოს ის მოთხოვნილებები, რომლებიც მას წაეყენება. იმის მიხედვით, თუ როგორია ამის შესაძლებლობები, ხარისხი შეიძლება იყოს სხვადასხვა დონის. ამ დონეთა განსაზღვრა დამოკიდებულია სხვადასხვა მონაცემთა პერიმეტრების ერთობლიობაზე, რაც გულისხმობს ტექნოლოგიურ-კონსტრუქციულ მონაცემებს, რომლებიც საერთო ჯამში საექსპლოატაციო თვისებების რაციონალურად გამოყენების საშუალებას იძლევა (ქსე).

საკითხავია, რა ურთიერთობა არსებობდა და არსებობს საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში რაოდენობასა და ხარისხს შორის.

იყო დრო, როცა ჩვენში რაოდენობით განისაზღვრებოდა ხარისხი. გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება რაოდენობაც ხარისხად იქნეს მიჩნეული, თუკი რაოდენობა გამოხატავს საგნის შინაარსს, როცა რაოდენობის ზრდა მილწევას ნიშნავს, ეს მაშინ, როცა რაოდენობის სიდიდე თავად წარმოადგენს ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმს, საბიბლიოთეკო საქმეში რაოდენობრივ გამოხატულებას დიდი ადგილი უჭირ-

ავს. ის შეეხება მთელ ქსელს თუ სისტემას, აქ თავმოყრილ ბიბლიოთეკებს, მკითხველთა რაოდენობას, ფონდების რაოდენობას, გაცემულ დოკუმენტთა რაოდენობას და ა.შ. იგივე ითქმის კოეფიციენტებზე, რომლებიც სხვადასხვა ხარისხობრივი მაჩვენებლებია, მაგალითად: უზრუნველყოფის კოეფიციენტი, კითხვადობის კოეფიციენტი, ბრუნვის კოეფიციენტი და სხვ. ხარისხობრივ მხარეს გამოსატყვევ აგრეთვე სხვადასხვა მონაცემთა პროცენტები – გეგმის შესრულების პროცენტი, მონაცემთა ზრდის პროცენტი და სხვ.

ამგვარად, მრავალი მონაცემის რაოდენობითი მაჩვენებლით შეიძლება ხარისხის განსაზღვრა და ეს შედარებით იოლია, უფრო ძნელი და რთულია შრომითი საქმიანობის არსის ხარისხის განსაზღვრა – რამდენად ხარისხიანად და მაღალ დონეზე ხდება მომხმარებელთა მომსახურება, მათი მოთხოვნილებებისა და ინტერესების გათვალისწინება და ა.შ. ეს უკვე სხვაგვარი პროფესიულ მიდგომას საჭიროებს, სხვა კრიტერიუმებს ითვალისწინებს, თუმცა სტატისტიკური მონაცემების ანალიზის გარეშე აქაც ვერ გამოვალთ.

საქმის სწორად ორგანიზაციის მართვისა და ხელმძღვანელობისთვის აუცილებელია გაირკვეს, კონკრეტულად, რამდენად არსებით ზეგავლენას ახდენს ხარისხზე საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში მომხდარი რაოდენობითი მაჩვენებლების ცვლილებები.

აქ შეიძლება ერთი შემთხვევა მოვიყვანოთ მაგალითად: 70-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს მასობრივი (საჯარო) ბიბლიოთეკების ქსელი განუხრელად იზრდებოდა რაოდენობრივად, 1970 წელს სულ იყო 3.551 საჯარო ბიბლიოთეკა; 1975 წელს – 3,859; 1980 წელს – 4169, 1985 წელს – 4264 და ა.შ. სულ ამ პერიოდში 713 ბიბლიოთეკით გაიზარდა ქსელი., ყოველ 5 წელიწადში საშუალო ერთეული 125 კაცით იზრდებოდა და იგი ამავე პერიოდში 375-ით გაიზარდა, ანუ ზრდამ 53% შეადგინა.

ამჟამად სტატისტიკის არაორგანიზებულობა და დაბალი ინფორმაციული დონე არ იძლევა კვალიფიციური ანალიზის საშუალებას, რომ ამ გზით რაიმე დასკვნები იქნეს გამოტანილი, რაც დიდად აფერხებს საქმის განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

საკითხავია, თავის დროს მოგვცა თუ არა ხარისხობრივი ძვრები 70–80-იან წლებში მასობრივი ბიბლიოთეკების ამგვარმა მატებამ, რა გამოიწვია ამან თვისობრივად, ანუ საქმიანობის ხარისხზე ზეგავლენისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ რაოდენობის ამგვარ-

მა ზრდამ აშკარად მოახდინა ზეგავლენა ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფაზე, მაგრამ არა პოზიტიური, არამედ უარყოფითი! ბიუჯეტი შესაბამისად ვერ იზრდებოდა, არ გაუმჯობესებულა ბიბლიოთეკების დაფინანსება, რამაც სწორედ გამოიწვია ეს მეტად არსებითი ნაკლი, ერთი შეხედვით, ამგვარი ზრდა არ იყო პროგრესის მაჩვენებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, თუ რას ვიღებთ შედეგების განმსაზღვრელ კრიტერიუმად. სანაცვლოდ ბიბლიოთეკების რაოდენობის ზრდამ პოზიტიურად იმოქმედა მკითხველთა რაოდენობის ზრდაზე, მოიმატა ბიბლიოთეკებზე მოთხოვნილებამ, ამაღლდა უზრუნველყოფისა და კითხვადობის კოეფიციენტები, ხოლო რამდენად შეუწყო ხელი ამან მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, ეს უკვე განსაკუთრებული კვლევის საგანია. დღეს უკვე საბიბლიოთეკო სფეროში ყოველგვარ კვლევაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში აღარ არსებობს მეთოდიკური უზრუნველყოფის მწყობრი სისტემა, მეცნიერული მოღვაწეობა და ყოველგვარი თეორიული კვლევა-ძიება, რადგანაც აღარ არსებობს შესაბამისი ბაზა. სწორედ ეს უშლის ხელს საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას. იშვიათად ქვეყნდება მეთოდოლოგიური მასალა, სრულიად შეწყვეტილია ქართული ორიგინალური მეცნიერული ლიტერატურის გამოცემა, არ ხდება მეცნიერული შრომების თარგმნა, არ ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და სესიები, არ მუშავდება ახალი სასწავლო პროგრამები, არ ხდება არავითარი კვლევა-ძიება. საბოლოოდ ყოველივე ამან მიგვიყვანა მთელი სისტემის მოშლამდე და არსებული პრობლემების შეუსწავლელობამდე. აი, აქ კი ნამდვილად განვითარდა რაოდენობითი მონაცემების შემცირების შედეგებზე მოქმედება საქმის შინარსზე, რაც საბიბლიოთეკო თეორიის ინტერესის შენელებაში გამოიხატა. ამის გამო ბევრი რამ არის ისეთი, რაც უარყოფითია საბიბლიოთეკო საქმეში, რომლებიც მოითხოვენ სრულყოფასა და დამუშავებას, მაგალითად:

– საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების დამუშავება–სრულყოფა;

– კანონქვემდებარე აქტების შემუშავება საბიბლიოთეკო მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე;

– საბიბლიოთეკო საქმის კონცეფციის შემუშავება;

– საბიბლიოთეკო ქსელის მოწყობის პრინცი-

პებისა და კრიტიკერიუმების შემუშავება;

- საბიბლიოთეკო მენეჯმენტის პრობლემების დამუშავება;
- საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების თანდათანობითი დანერგვა ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებში;
- საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაცვის ნორმატიული აქტების შემუშავება;
- პროფესიული ლიტერატურის გამოცემა, საბიბლიოთეკო მეთოდის პრობლემების მეცნიერული დამუშავება;
- საბიბლიოთეკო პრაქტიკის ანალიზი, კითხვადობის შესწავლა და ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება;

ყოველივე ეს დაუძლეველ პრობლემად დარჩება, თუკი ყველა პრობლემის არა გამოსწორებაზე ვიფიქრებთ, არამედ პრობლემატური საგნის გაუქმებას შევეცდებით, როგორც ეს ჩვენს დარგში ამჟამად ხდება – „არ იარსებებს საგანი – არც მისი პრობლემები იქნება“.

სწორედ ამგვარად გადაწყდა ბევრგან საჯარო ბიბლიოთეკების სკოლის ბიბლიოთეკებთან შეერთების საკითხი. თანაც ეს ხდება მეთოდის საკმის შესწავლის გარეშე. არავინ იცის, როგორ იმუშაოს სკოლის ბიბლიოთეკამ ამგვარ პირობებში; არ არსებობს ამ საკმის საკანონმდებლო ბაზა, ირღვევა „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. სხვათა შორის, ამ კანონში ზუსტადაა განერილი, თუ ვინ და როგორ უნდა ახორციელებდეს საბიბლიოთეკო საქმის ზედამხედველობას, მაგრამ ამჟამად ისეთი ვითარებაა შექმნილი, ბიბლიოთეკები ამ თვალსაზრისით ვერ არიან სრულყოფილად გარკვეულნი.

რითია გამოწვეული საბიბლიოთეკო საქმეში ასეთი ქაოსი? – არცოდნით, სახელმწიფოებრივი მიდგომის უგულვებელყოფით, ეკონომიური სირთულეებით თუ ყველაფრით ერთად აღებული?

უდავოდ ამ სფეროში ყველაზე ნეგატიურ როლს არცოდნა და ინფორმაციის უქონლობა ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჟურნალი სისტემატურად ახდენს თანამედროვე ბიბლიოთეკის კონცეპტუალურ საკითხთა დამუშავებას. თანამედროვე ბიბლიოთეკა სულ სხვა რამაა, ვიდრე ის მანამდე იყო. თუ ბიბლიოთეკას ვხედავთ გასული საუკუნის 20–50-იანი წლების თვალთ, ცხადია, მის შესახებ ვერ ვიმსჯელებთ საღად, ხოლო თუ დღევანდელი თვალთ შევხედავთ და შევაფასებთ მას იმ კუთხით, თუ რაც გააკეთოს სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საინფორმაციო და კულტურის სფეროში შეუძლია, ძნელია მოგვიბრუნდეს ენა მისი დახურვა-გაუქმების შესახებ.

ინფორმაციული საზოგადოების შექმნა თითქმის შეუძლებელია თანამედროვე ბიბლიოთეკების გარეშე, რომლებიც დღეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო მედია ცენტრებს წარმოადგენენ, რომელთა მუშაობის შედეგების მაღალი დონე უეჭველად კავშირშია მათ რაოდენობასთან. ამიტომაც არ შეიძლება საბიბლიოთეკო ქსელის რაოდენობით მხარეს დაუდევრად და ღრმა შესწავლის გარეშე ვეკიდებოდეთ.

ოზიციალური განყოფილება

საქართველოს ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის კოდექსი

პროექტი

თავი 1.

ზოგადი დებულებები

ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ბიბლიოთეკარის პროფესიული საქმიანობის ეთიკურ ნორმებს.

კოდექსის მიზანს შეადგენს, დაამკვიდროს ბიბლიოთეკარის პროფესიული ქცევის წესები და ის ეთიკური ღირებულებები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ბიბლიოთეკარმა მკითხველებთან, ინფორმაციის მომხმარებლებთან, კოლეგებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში.

თავი 2.

ბიბლიოთეკარის ურთიერთობა მკითხველებთან

2.1. ბიბლიოთეკარი მკითხველებთან ურთიერთობას აფუძნებს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, მათი საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების პრინციპებზე.

2.2. მკითხველებთან მუშაობის პროცესში იჩენს ტაქტს, არის თავდაჭერილი, განონასწორებელი, პატივს სცემს მომხმარებელს, როგორც

მოქალაქესა და პიროვნებას; ბოლომდე უსმენს მას, ყურად იღებს მის ობიექტურ შენიშვნებსა და წინადადებებს.

2.3. მკითხველებთან ურთიერთობაში გამოირიცხავს ზედმეტ მეურვეობასა და კონტროლს; განსაკუთრებით ტაქტიით მუშაობს ბავშვებთან და მოზარდებთან.

2.4. მკითხველებთან ინდივიდუალური მუშაობის პროცესში ითვალისწინებს პიროვნების ასაკობრივ თავისებურებებს, წიგნიერების დონეს, პიროვნულ თვისებებს.

2.5. უზრუნველყოფს ინფორმაციის წყაროებთან მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას; ამ პროცესში ებრძვის ყოველგვარ ცენზურას, ხელოვნურ დაბრკოლებებს; ქმნის ცოდნასთან თავისუფალი და თანასწორუფლებიანი დაშვების პირობებს; ბიბლიოთეკარი პასუხს არ აგებს ბიბლიოთეკაში არსებული დოკუმენტებისა და ინფორმაციის გამოყენების შედეგებზე, იცავს კონფიდენციალობას, არ ამჟღავნებს ინფორმაციას მკითხველთა მიერ გამოყენებული პირველწყაროებისა და სხვა სახის მასალების შესახებ.

2.6. ყურადღებით უსმენს მომხმარებელს, თავდაჭერილი და თავაზიანია მასთან ურთიერთობაში, ზედმეტი ემოციების გარეშე რეაგირებს მკითხველის შენიშვნაზე, აქვს მკითხველთან საუბრის წარმართვის უნარი.

თავი 3.

ბიბლიოთეკარის ურთიერთობა კოლეგებთან

3.1. სამუშაო პროცესში ბიბლიოთეკარი ცდილობს შექმნას ჰარმონიული ატმოსფერო, იგი ქმნის ბიბლიოთეკარის დადებით სახეს, რათა ბიბლიოთეკარის პროფესია სარგებლობდეს საზოგადოებრივი პატივისცემით.

3.2. კოლეგებთან ურთიერთობაში არის თავდაჭერილი, ზომიერი, პატივის სცემს გამოცდილი კოლეგების ცოდნას; არ აძლევს შენიშვნას კოლეგას მკითხველის თანდასწრებით; ზედმეტად არ სარგებლობს თანამდებობრივი სტატუსით, თავის უფლებებს იყენებს კოლეგების ინდივიდუალური თვისებების და პროფესიული

გამოცდილების მაქსიმალური გათვალისწინებით.

3.3. ბიბლიოთეკარი ქმნის შრომის მაღალი კულტურის პირობებს, კონცენტრირებულია სამუშაოზე და ხელმძღვანელობს მხოლოდ პროფესიული ინტერესებით.

თავი 4.

ბიბლიოთეკარის ურთიერთობა საზოგადოებასთან

4.1. ბიბლიოთეკარს ნათლად აქვს შეგნებული, რომ ბიბლიოთეკა არსებობს და ფუნქციონირებს საზოგადოებისთვის, ამიტომ მასთან ურთიერთობაში არის შინაგანად ორგანიზებული, თავდაჭერილი, ტაქტიანი.

4.2. ბიბლიოთეკარის ურთიერთობა საზოგადოებასთან ძირითადად გამოიხატება სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაში. ამ პროცესში ბიბლიოთეკარი ყურადღებას იქცევს გამართული მეტყველებითა და დახვეწილი მანერებით.

4.3. ოფიციალური შეხვედრებისა თუ სამსახურებრივი კონტაქტების დროს ბიბლიოთეკარი გამოირჩევა განათლებით, პროფესიონალიზმით, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას ცდილობს აამაღლოს ბიბლიოთეკის პრესტიჟი, მისი როლი და ადგილი აღზრდის, განათლებისა და ინფორმირების პროცესში.

თანამედროვე პირობებში ხშირად შეიმჩნევა ბიბლიოთეკარის შრომითი საქმიანობის დროს მომხმარებლებთან ბიბლიოთეკების არაპროფესიული დამოკიდებულების გამოვლენა. ამდენად, მიზანშეწონილია, დამუშავდეს ბიბლიოთეკარის პროფესიოგრაფია. სწორედ ამ მიზნით ხდება რედაქციის მიერ ბიბლიოთეკარის პროფესიული კოდექსის პროექტის გამოქვეყნება და ამით ამ მოვლენაზე ყურადღების გამახვილება. იმედია, პროექტს გამოეხმაურებიან სპეციალისტები და თავიანთ შეხედულებებს შემოგვთავაზებენ.

ქურნალის რედაქცია



რუსუდან ნაძაძე

ნიკო მარი და ბიბლიოთეკა

„ნიკო მარი განსაკუთრებული მოვლენა იყო მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში, ორმოცდაათზე მეტი ენის მცოდნე, ლინგვისტ-თეორეტიკოსი, კავკასიოლოგი, მთარგმნელი, ფილოსოფიის ისტორიკოსი, რელიგიის ისტორიათა ბრწყინვალე მცოდნე...“ (გ. ჯიბლაძე).

ნიკო მარი დაიბადა 1864 წლის 25 დეკემბერს ქ. ქუთაისში. მამამისი ღრმად მოხუცებული იყო, როდესაც ცოლად შეირთო ახალგაზრდა გურული ქალი ალათი მადულარია. იაკობ მარი 94 წლისა გარდაიცვალა, ამ დროს ნიკო 10 წლისა იყო.

წერა-კითხვა ნიკოსთვის დედამისს უსწავლეს ბია. შემდეგ კი ქუთაისის გიმნაზიაში მიუბარებიათ.

გიმნაზიაში ნიკომ დიდი ნიჭი გამოიჩინა, შეისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იტალიური ენები ისე, რომ კითხულობდა მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას. ამასთანავე, თარგმნიდა ქართულად მწერლობის ნიმუშებს.

გიმნაზიაშივე ჩაენერგა მარს ქართული ენისა და ლიტერატურის უსაზღვრო სიყვარული. „თავიდანვე მიზნად დავისახე, გამოემერკვია ქართული ენის წარმოშობა და სხვა ენებთან ურთიერთობა“, – ნათქვამია მეცნიერის ავტობიოგრაფიაში.

1884 წელს მარი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე (ქართველოლოგიის განხრით). მარმა უნივერსიტეტი დაამთავრა ვერცხლის მედლით. მისი სადიპლომო შრომა იყო „ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა ქართული მოთხრობებისა, რომლებიც დაწერილია მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში“. მარი აქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად, ოღონდ არა ქართულ ენაში, რაზედაც ის ოცნებობდა, არამედ სომხურში.

1898 წელს მარი მონაწილეობდა კონდაკოვის ექსპედიციაში ათონის მთაზე ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლთა გასაცნობად. 1899 წელს მიიღო მაგისტრის სამეცნიერო წოდება, ამავე წელს კითხულობს ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს. 1901 წელს მიიღო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1902 წელს ივ. ჯავახიშვილთან ერთად მოაწყო ექსპედიცია სი-

ნას მთაზე, ქართული ხელნაწერების შესასწავლად; ამავე მიზნით გაემგზავრა იერუსალიმშიც. 1902 წელს იერუსალიმში აღმოაჩინა მარმა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მარმა დიდი ამაგი დასდო როგორც აგიოგრაფიულ, ასევე საერო მწერლობას, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას.


განუზომელია ნიკო მარის ღვაწლი, როგორც ქართული აგიოგრაფიის პირველშემსწავლელის, როგორც რუსთველოლოგის, ფოლკლორისტიკის, არქეოლოგის, ქართული ფილოსოფიური აზროვნების მკვლევარის, ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მკვლევარისა, მაგრამ ამჯერად ცალკე შეგჩერდებით მარის მოღვაწეობაზე ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში.

XX ს-ის 20-იან წლებში მარს უკვე ჰქონდა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის სახელი. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებიდან მას ხშირად მიმართავდნენ თხოვნით, შეეფასებინა ქართული და სომხური ხელნაწერები, ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის თხოვნით, მარმა აღწერა სომხური და ქართული პერგამენტები, რომლებიც შემდგომ შეიძინა კიდეც ბიბლიოთეკამ. 1931 წელს ნ. მარის რეკომენდაციით, ბიბლიოთეკამ შეიძინა სომხური სახარება.

ნ. მარი დირექტორად დანიშვნის პირველივე წუთებიდანვე მიიჩნევდა, რომ „პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკის მოღვაწეობაზე მთლიანად აკისრია ბიბლიოთეკის დირექტორს“.

ნიკო მარი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა საჯარო ბიბლიოთეკის როლს ქვეყანაში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში და ყოველთვის თავდადებით იცავდა მის ინტერესებს.

ნიკო მარის მოღვაწეობა დირექტორის თანამდებობაზე ბიბლიოთეკაში აღბეჭდილი იყო წესრიგით, სიფაქიზით, დაგეგმილი სხდომები ყოველთვის დროულად იმართებოდა, პროტოკოლით ზუსტად იყო განსაზღვრული სხდომის დაწყების და დამთავრების დრო, ასევე მკაცრად იყო მითითებული მიღების დღე და საათი. „განსაკუთრებულ შემთხვევაში კი, ნებისმიერ დროს, როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე აკადემიაში და შინაც – შეგიძლიათ მომმართოთ“, – წერ-



და მარი თავის ბრძანებაში, მარი იყო მკაცრი, მაგრამ ზედმინევი სამართლიანი. ყოველი დილა იწყებოდა ბიბლიოთეკის შემოვლით. „ის გამოჩნდებოდა როგორც სანთელი ბნელ დერეფანში, დინჯად დადიოდა თავისი „აზიაცკებით“. საუბრობდა ხმადაბლა, აქცენტით, მაგრამ უჩვეულოდ ლამაზად. ძნელბედობისას გვერდით ედგა თანამშრომლებს, ყველასთვის ახლობელი იყო“, – იგონებენ თანამშრომლები.

მარი სამართლიანი იყო თანამშრომლებთან და კოლეგებთან მიმართებაში. მისი დირექტორობის პერიოდში ბიბლიოთეკა იძულებული გახდა, შეემცილებინა შტატები. ამ საკითხს მარი უკიდურესი სიფრთხილით მოეკიდა, რადგან არ სურდა შეფერხებულიყო ბიბლიოთეკის სამეცნიერო მოღვაწეობა. არც თანამშრომლები დაზარალებულიყვნენ, მარისათვის ბიბლიოთეკის ინტერესები ყველაზე მაღლა იდგა, ამიტომ ის ყოველთვის ინარჩუნებდა სამსახურში კეთლსინდისიერ, საქმის მცოდნე ადამიანებს, დირექტორი განსაკუთრებით მკაცრი იყო მოვალეობის მიმართ გულგრილი, ზარმაცი თანამშრომლების მიმართ. „ცოცხალმკვდარი“ დამოკიდებულება მისთვის მიუღებელი იყო.

მარმა იცოდა, რომ მძიმე იყო ბიბლიოთეკარის სამუშაო დღე, მისი ინიციატივით, 1925 წელს საგანგებოდ შეისწავლეს მომსახურეთა სამუშაო პირობები. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბიბლიოთეკარს გონებრივი სამუშაოს გარდა, აქვს მძიმე ფიზიკური დატვირთვა, ზოგიერთ განყოფილებაში იგი ყოველდღიურად 12 კმ-ს გადიოდა ვიწრო, დამრეც და ბნელ კიბეებზე 15–30 კგ მტვირნი ტვირთით.

როდესაც მთავრობამ ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს შევებულება 2 კვირამდე შეუმცირა, ნიკო მარმა დაიცვა თანამშრომლები, რომლებიც ნესტიან, ბნელ, მტვირნი, გაუნიაველ საცავეებში მუშაობდნენ და მათთვის ერთთვისანი შევებულება დააკანონებინა.

არამცირედი შრომა გასწია მარმა ბიბლიოთეკართა შრომის მოსაწესრიგებლად. რევოლუციამდე ბიბლიოთეკაში 4–საათიანი სამუშაო დღე იყო, რევოლუციის შემდეგ ისინი 6–საათიან სამუშაო დღეზე გადაიყვანეს, რადგან ახალი შრომის კოდექსით, გაათანაბრეს კანტორის გონებრივად მომუშავე პერსონალთან.

მარმა სამუშაო დღე ადმინისტრაციისა და მკითხველთან მომსახურე პერსონალისა დიფერენცირებული, 4 საათიანი გახადა, რაც შეეხება სხვა კატეგორიის მუშაკებს, ისინი სამ ჯგუფში გადანაწილდნენ, კვალიფიკაციის შესაბამისად.

დიდია მარის დამსახურება ქართული და სომხური ფილოლოგიის განვითარებაში, ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში, გამოაქვეყნა:

„ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულა“, „ჭანური გრამატიკა“ (1910), „ძველი ქართული სალიტერატურო ენა“ (1925), „ქართული ენა“ (ფრანგულად, მ. ბრიერთან ერთად, 1931), წერილების სვანური ენის შესახებ, უამრავი ანგარიშგასანევი ეტიმოლოგია ქართულ ენათა მასალებზე, მარმა კავკასიური ენებიდან ყველაზე დიდი ყურადღება დაუთმო აფხაზურ ენას. 1921 წელს პეტროგრადში დააარსა „იფეტოლოგიური ინსტიტუტი“.

ცალკე უნდა ხაზგასმით აღინიშნოს მარის დევანი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის კვლევაში, 1896 წელს მეცნიერული კომენტარებით, ლექსიკონით და რუსული თარგმანითურთ გამოსცა „პეტრე იბერის ცხოვრება:“, 1901 წელს – იპოლიტე რომაელის „თარგმანება ქება–ქებათა“; ბასილი კესარიელის „ფიზიოლოგი“ – 1904 წელს; ანტიოქი სტრატეგის „იერუსალიმის ნარტყვევის“ არაბული ტექსტის ქართული თარგმანი – 1909 წელს; „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – 1911 წელს. მარმა პირველმა გამოიკვლია და კომენტარებით გამოსცა „აბდულმესიანი“, „თამარიანი“ (რუსულად, 1902 წ.). მანვე ჩაუყარა საფუძველი რუსთველოლოგიას, 1910 წელს რუსულად გამოაქვეყნა „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და დასკვნითი სტროფები.

1906 წელს პეტერბურგში რუსულად გამოაქვეყნა „საქართველოს ისტორია“, რომელშიც მოცემულია ქართველი ხალხის ისტორია ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულიდან (დამწერლობა, ქრისტიანობა, ლიტერატურის ისტორია), აქვე ყურადღება გამახვილებულია ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემებზე.

ნ. მარმა გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე წინასწარმეტყველივით თქვა: „ადამიანი კვდება ინდივიდუალურად, სომატური სიკვდილით, მაგრამ არ კვდება საზოგადოებრივად; თავისი ქცევით და შემოქმედებით ის გადადის ცოცხალ გარემოში – საზოგადოებრიობაში და განაგრძობს სიცოცხლეს მათში, ვინც ცოცხალი რჩება, თუ მართლაც ჭეშმარიტად ცოცხლობდა სიცოცხლეში და არ მიემგვანებოდა მკვდარს, ცოცხალი კოლექტივი მკვდრეთით აღადგენს გარდაცვალებულთ“.

გამოყენებული ლიტერატურა:

შ. ძიძიგური. ნიკო მარი ქართული კულტურის მკვლევარი, – თბ., „მეცნიერება“, 1985.

აკადემიკოსი ნიკო მარი. – თბ., „მეცნიერება“, 1988.

Голубева О. Д. Н. Я. Мара и публичная библиотека. – Тб., „Хеловнеба“, 1986.

ქსე. ტ. 6, – გვ. 438.



იური სისხარულიძე

თვალსაზირო მუშა მგოსანი

სიო ხიდისთაველი (კალანდაძე) 1888 წელს დაიბადა ერთ ლექსში, რომელიც 1915 წლითაა დათარიღებული, მგოსანი ასე აღწერს თავის დაბადებასა და ბავშვობის მძიმე ყოფას:

„ღარიბ ქოხში დავიბადე,
შევეზარდე ღარიბ კერას,
და სიყრმითვე შევეჩვიე
ჩემს უკულმართ ბედისწერას“.
ს. ხიდისთაველის მუშის სიმღერები, – თბ., 1958, გვ. 5).

პოეტი გულისამაყუჩებლად იგონებს იმ გასაჭირს, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება მის მშობლებს:

„კარგად მახსოვს მამის ტანჯვა,
მისი შრომა უამური,
რომ როგორმე ოჯახისთვის
მოეპოვა ლუკმაპური“.
მაგრამ გასაჭირი იმდენად დიდი იყო, რომ მისი გაძლება ხანგრძლივად არც ისე ადვილი იყო და მამაც იმ წელმომწყვეტი შრომის მსხვერპლი გახდა:

„მოკვდა მამა, ვერ გაუძლო
უბედურმა გასაჭირსა
და მის ნაცვლად მე ვენევი
დღეს ცხოვრების ჭაპან-ჭირსა“ –
წერდა მგოსანი 1915წელს.

მძიმე დროში არც დედას ადგა კარგი დღე, მაგრამ მან მაინც მეტი გაძლო, ვიდრე მამამ და თავის ნიჭიერ შვილსაც შეძლებისამებრ უპატრონა.

შვილი სკოლაში ველარ მიაბარა, მაგრამ „ორი, სამი ანი-ბანი“ მაინც ასწავლა და ამით გამოიყვანა ცხოვრების რთულ გზაზე.

ახალგაზრდა კაცის ცხოვრება გაუსაძლისი იყო. ამას კიდევ აღწერს ის თავის ერთ-ერთ ლექსში:

„ცხოვრებიდან დატანჯული,
სევდით გულდამწვარი,
დუხჭირ სოფლად დავდიოდი
ბედით განამწარი“.

და შემდეგ:
„ნინ ჯურღმული მეშლებოდა,
ყოფა შესაზარი
და მესმოდა განწირულთა
მწარე მოთქმა ზარი“.

მარტოოდენ თავის გასაჭირს როდი ვგამცნობს მგოსანი. მას არანაკლებ აწუხებდა

სხვათა ავბედობაც. გულს უკლავდა სოფლად მათხოვართა მომრავლება, დედა-შვილის მათხოვრობას რომ ხედავდა, გული უკვდებოდა. ამის მიზეზი რომ ჩაუკვირდა, გამოირკვა, რომ მათ ოჯახის პატრონი ომში დაღუპვოდათ და მოსავალსაც „ულალატნია“ –


„და მოგვადგა კარს შიმშილი
სიკვდილისა სულით,
და ვმათხოვრობთ, რადგან შიმშილს
ველარ გავუძელით.“

სხვა სურათი კიდევ უფრო მძაფრია – გზად მიმავალმა ჯერ კიდევ პატარა ყმანვილმა ერთ-ერთ „გადახრილ“ ქოხს შეავლო თვალი, საიდანაც ტირილი და ვაი-ვიში მოისმოდა. და აი რა დაინახა:

მიველ, ვნახე, კარს შინ იდგა
კუბო თავახდილი,
სისხლიანი ტანსაცმლით და
ნიშნებით აღვსილი.

სტუმარს გაუკვირდა, რომ კუბო მხოლოდ რალაც ნივთებით იყო სავსე, მკვდარი კი არ ჩანდა.

მიზეზი რომ იკითხა, მოტირალთ გაარკვიეს:



სიო ნ. კალანდაძე-ხიდისთაველი
თავის სამუშაო ოთახში

„მიპასუხეს: რა გვიშავდა, მკვდარი რომ გვენახა! ვაი, შვილო! თვის მიწაზე მაინც დამემარხა“.

ლექსი თანდათან ექსპრესიული ხდება:

„ვაი, შვილო! შენს ყირიმ ყელს ეგებ მხეცი ლოკავს

და შენს ვარდის ნორჩ ბაგეზე

ჭიალუა ცოცავს!“ ამ უბედურებით

გაოგნებული მგოსანი კარგახანს იდგა „ქედმობდილი“ და მტირალი, მაგრამ იმ უბედურ დედას რითღა დაეხმარებოდა?

ეს შემზარავი ლექსიც 1915 წელსაა დაწერილი, როდესაც პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა და ასეულ ათასობით ვაჟკაცებს იწირავდა, მათ შორის ქართველებიც, ხომ მრავლად იყვნენ.

სიომ ყრმობაში გაიცნო ჭოლა ლომთათიძე. პატარასიოს თავიდანვე ხიბლავდა ახალგაზრდა მწერალი. მას უფრო დაუახლოვდა, როდესაც წამოიზარდა და სადაბო ბიბლიოთეკაში დადიოდა. პატარა სიოს ჭოლა ახალისებდა და თვითვე ურჩევდა წიგნებს.

14 წლის სიო 1902 წელს თბილისს ჩამოვიდა.

თბილისი ამ პერიოდში რევოლუციური სულით ცხოვრობდა. მაშინ იქ იღვწოდნენ ფილიპე მახარაძე, ნოე უორდანიანი და სხვა პროფესიონალი რევოლუციონერები. მათ შორის იმ დროს იქ არ იყო ბობოქარი სოსო ჯუღაშვილი, რომელიც ზღვისპირეთს მიევიწიებინათ და მარტის დიდი გამოსვლებისათვის დაპატიმრებული და ბათომის საპყრობილეში იმყოფებოდა.

ფილიპესა და ნოეს სახელები რევოლუციურ ხიდისთავში აღზრდილ ჭაბუასათვის ნაცნობი გახლდათ, ხოლო სოსოს ბრძოლის ამბები ხიდისთავლებს ბათომელი მუშებისაგან ჰქონდათ მოსმენილი.

სიოს სწყინდა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ახლა უკვე საპყრობილეში იყო და ჯერ არავინ იცოდა, რა ბედი ეწვეოდა...

ლექსების წერა სიომ თბილისს ჩამოსვლამდე დაიწყო, მაგრამ თავისი ნაბეჭდი ლექსი მან მხოლოდ 1915 წელს იხილა.

ამ ლექსს ერქვა „იტირე, დედა!“, რომელსაც „ემმაკის მათრახმა“ გამოაქვეყნა.

1915 წლის 4 ნოემბერს სარატოვში გარდაიცვალა მრავალტანჯული ნიჭიერი მწერალი ჭოლა ლომთათიძე.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილებმა მებრძოლი მწერალი თბილისს გადმოასვენეს.

გამოსათხოვრად მოსული ხალხის ამგვარი სიმრავლე ილია ჭავჭავაძის შემდეგ არ ენახა ქართველ საზოგადოებას. გურიის საუკეთესო

შვილთა დიდი უმრავლესობაც ჭოლას დაკრძალვის დღეს დედაქალაქში იმყოფებოდა. ბრწყინვალე სიტყვებითა და ლექსებით გამოეთხოვა ქართველი ინტელიგენცია შესანიშნავ მწერალს. ჭოლას ლექსი სიომაც უძღვნა, თუმცა იმ დღეს მისი წაკითხვა აღარ მოუხერხდა. მაგრამ გამოქვეყნდა პრესაში (ეს ლექსი ჩვენმა ჟურნალმაც დაბეჭდა – იხ. 2010, № 2, გვ. 17).

სიო ხიდისთაველი პირველი რევოლუციიდან იყო ჩართული არალეგალურ მუშაობაში. კარგახანს ახერხებდა პოლიციისაგან თავის დაღწევას, მაგრამ ერთხელ მაინც ჩავარდა.

ჩავარდა, გაასამართლეს და გააციმბირეს. რამდენიმე წელს იხდიდა სასჯელს ირკუტსკის გუბერნიაში და, ვინ უწყის, კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა, რომ რევოლუციას არ ეშველა მისთვის და იგი სალ-სალამათი დაუბრუნდა სამშობლოს.

ეს იყო 1917 წლის შემოდგომაზე.

სიო ხიდისთაველის პირველი წიგნი 1924 წელს გამოიცა. ამაში პოეტს დიდი დახმარება აღმოუჩინა რკინიგზის მუშათა კავშირმა, სადაც ის 1918 წლიდან მუშაობდა.


წიგნი ახალგაზრდა მუშა-პოეტის ლექსების საინტერესო კრებული იყო, რომელიც ნათლად მოწმობდა არა მარტო პოეტის დაოსტატებას, არამედ მის მომნიჭებულ იდეურ მრწამსსაც.

1932 წელს უკვე სახელმძღვანელო მუშა-პოეტი თავს ანებებს რკინიგზას და მუშაობას იწყებს საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში (ახლა ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).

ამ დაწესებულებას ის რამდენიმე ათეული წელი ერთგულად ემსახურა. საჯარო ბიბლიოთეკა არ დარჩენია ვალში: ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მისი მძიმე საბინაო პირობები და შეჭირვებულ მწერალს ორი მშვენიერი ოთახი გამოუყო საცხოვრებლად.

ეს ბინა სიომ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ნამდვილ სალონად აქცია, სადაც გარდაცვალებამდე დიდი სტუმართმოყვარეობით გამორჩეული მოღვაწეობა იყო გაჩაღებული, რომელიც სიოს ბრწყინვალე მეუღლის ქალბატონ მათიკოსაგან იმართებოდა. ჩემი ასპირანტობის პერიოდში არაერთხელ ვყიფილვარ ამ სტუმართმოყვარე „სალონში“.

სიოს სალონის სტუმრები სხვადასხვა დროს იყვნენ: გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილი, პარმენ ლორია, ნესტორ მალაზონია, გიორგი



ხეჩუაშვილი, გიორგი სალუქვაძე, გიორგი სიხარულიძე და მრავალი სხვა.

1952 წლის 15 ოქტომბერს ს. ხიდისთაველს ვესტუმრე: მის გარდა შინ მისი მეუღლეც ბრძანდებოდა, მალე სუფრაც გაიშალა. ბატონმა სიომ შავი ღვინო მოიტანა და თან ბრძანა: „ეს ხიდისთავური ღვინოა, ერთმა ჩემმა ახლობელმა მომართვაო.“

სადილობისას გავიხსენეთ სასახელო ხიდისთაველები: ქოლა ლომთათიძე, პოლაო კალანდაძე (ირეთელი), ნესტორ კალანდაძე, პარმენ ქანიშვილი და სხვები.

არც ახლები დავგვრჩენია უყურადღებოდ.

შემდეგ სიომ რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია გაიხსენა და თქვა: „ენერგიულად ვადევნებდი თვალს იმდროინდელ პრესას და ისეთ სტატიებს ვჭრიდი გაზეთებიდან, რომელიც მომეწონებოდა. ეს სტატიები შემდეგ ავკინძე და ჩავხედავდი ხოლმე, როდესაც დამჭირდებოდა. ახლა ეს კრებული შენ მინდა გაჩუქო. მე უკვე მოვხუცდი, შენ კი ახლა იკაფავ გზას მეცნიერებაში და გამოგადგება, ალბათ“.

თაროდან ის კრებული გადმოიღო და ასეთი წარწერა გაუკეთა: „ახალგაზრდა ლექტორს ამხ. ი. სიხარულიძეს. ს. კალანდაძე, 1952 წ. 15. X.“

გულითადი მადლობა მოვახსენე მასპინძელს ძვირფასი საჩუქრისათვის და ის იყო წამოსასვლელად მოვემზადე, რომ მთხოვა, რამდენიმე წუთს კიდევ დავრჩენილიყავი. ჯერ ექვთიმე თაყაიშვილის ჯანმრთელობის შესახებ მკითხა, შემდეგ – აკაკი შანიძისა.

მეც მოვახსენე: „ბატონი აკაკის დღეს დილით ვეახელი და ბატონი ექვთიმეს ბარათი გადავეცი–მეთქი, ხოლო შემდეგ ბატონ ექვთიმესთან გამოვიარე და აკაკის შემონათვალის მოვახსენე, ბატონი აკაკი ძალიან მხნედ, ჭაბუკური გატაცებით იღვწის, ბატონი ექვთიმე კი სუსტადაა“...

1938 წელს სიომ ხიდისთაველს დაბადების 70-ე წელი შეუსრულდა.

ქართველმა მწერლებმა გულითადად მიულოცეს ეს ღირსსახსოვარი თარიღი.

რა დამავინწყებს გალაკტიონის მობრძანებას. მობრძანდა გოგლაც.

ჩამობრძანდა ფრიდონ ხალვაშიც.

აბა, ბიბლიოთეკიდან ვინ მოაკლებდა ყურადღებას. ყველაფერსაკეთებდა ქალბატონი თამარ მაჭავარიანი, რომ ეს საიუბილეო თარიღი ღირსეულად აღნიშნულიყო.

მას სხვებიც ედგნენ მხარში: თამარ დონდუა, ელენე ყიფშიძე, კლარა რამიშვილი და სხვები.

ამ დროისთვის გამოიცა იუბილარის ლექსების კრებული: „მუშის სიმღერები“.

წიგნის შემდგენელი და რედაქტორია ბრწყინვალე ქართველი პოეტი და პუბლიცისტი ანდრო თევზაძე.

წიგნი სამი განყოფილებისაგან შედგება და ნათლად წარმოგვიჩენს მუშა-პოეტის მთელ შემოქმედებას.

პირველი განყოფილება „წარსულის ფურცლები“, მეორე „ახალ ცხოვრებას ვუმღეროთ“, მესამე – „სიჭაბუკის ლექსები“.

კრებულს ერთვის ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა, რომელსაც ხელს რედაქტორ-შემდგენელი აწერს.

ეს არის მუშა-პოეტის ლექსების რჩეული, რომელშიც, სამწუხაროდ, ავტორის ბევრი კარგი ლექსი არ შესულა.

კიდევ სამიოდე წელიც და პოეტს დაბადების 115 წლისთავიც დადგება.

ურიგო არ იქნება, თუ ამ საიუბილეო თარიღს პოეტის ერთტომეულით შევხვდებით.

უაღრესად კეთილი, ღვანლმოსილი და უპრეტენზიო მგოსანი ნამდვილად არის ამის ღირსი.

განსაკუთრებულად სათუთად ვინახავ მის ერთ პატარა ავტოგრაფს, ბევრი რამ უძღვნია ჩემთვის ბატონ სიოს, მაგრამ ჩემთვის მოძღვნილი უკანასკნელი კრებულის ავტორისეული ავტოგრაფი მაინც გამორჩეულად მაქვს, ის იმითაცაა საინტერესო რომ ერთტაპიანი ლექსია:

„ძღვნად იური სიხარულიძეს:

წიგნი მოგიძღვენ პატარა,
მუშა პოეტმა გულითა,
გამჩენმა მუდამ გატაროს
ამ ქვეყნად სიხარულითა.
ავტორი

8.III. 1958 წელი

თბილისი.

1963 წელს 75 წლის ასაკში სიომ ხიდისთაველი გარდაიცვალა. ამ დროს მისი დიდი მეგობრები გალაკტიონ ტაბიძე და შალვა დადიანი ცოცხლები აღარ იყვნენ და ისინი განსაკუთრებით აკლდნენ მის პანაშვიდებს, სხვები კი მრავლად იყვნენ: გოგლა, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეები, გიორგი ციციშვილი, ალექსანდრე კალანდაძე და სხვანი. ყველას ვინ ჩამოთვლის?..

დამკრძალავმა კომისიამ შეასრულა პოეტის ანდერძი და მგოსანი ხიდისთავს გადაასვენეს. ის დიდი პატივით მიაბარეს ხიდისთავის სავანეს, სადაც მისი წინაპრები განისვენებენ.

კორესპონდენციები

„ვუმღართ ქუთაისს, ვუმღართ გაზაფხულს“

მასალის მიმოხილვა



ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებები თავიანთი შინაარსით ყოველთვის გამოირჩევა ორიგინალური სცენარით, მკითხველთა აქტიურობითა და წიგნის პოპულარიზაციის ერთიმეორესთან კარგად შეხამებული ფორმებითა და მეთოდებით; ასეთი ელფერი დაპყრავდა 2010 წელს ჩატარებული ღონისძიებების უმრავლესობასაც; თემატური მრავალფეროვნება, ბავშვთა და მოზარდთა ცხოველი ინტერესი, ბიბლიოთეკართა ხელით დანერგილი კომპოზიციები, მარჯვედ შერჩეული ქართული პროზისა თუ პოეზიის ნიმუშებით.

29 აპრილს პირველ საქალაქო ბიბლიოთეკაში კვირეულის პროგრამით ჩატარდა ლიტერატურული კომპოზიცია „ვუმღერთ ქუთაისს, ვუმღერთ გაზაფხულს“, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 37-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები (დირექტორი მამუკა გიორგაძე, ბიბლიოთეკარი მ. ფანჯარაძე), მე-14 საჯარო სკოლის მოსწავლე მ. ყურაშვილი, მუსიკათმცოდნე მ. ყურაშვილი. მოხსენება „წიგნი და მისი როლი კომპიუტერიზაციის ეპოქაში“ წაიკითხა პირველი საქალაქო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ნ. მუკბანიანმა, ლ. ნუცუბიძის ლექსი „ბიბლიოთეკარი“ წაიკითხა 37-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ლ. მარგველაშვილმა. ღონისძიებას უძღვებოდა პირველი საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე მ. ტაბატაძე, ღონისძიების მომზადებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკარები: ნ. მუკბანიანი და ლ. ხინჩიაშვილი.

27 აპრილის მე-10 საქალაქო ბიბლიოთეკაში თეატრ „ღია ჩარჩოს“ მსახიობმა ა. ლომთაძემ ისაუბრა ილია მართლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

მე-7 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ქ. ჩახუნაშვილი) 23 აპრილს ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ქართული ენის დაცვასა და სინ-

მინდეს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები: ნ. არსენიძე, დ. კვაჩიძე, ნ. ერისთავი, მ. გიორგაძე, ნ. ხელაშვილი, ს. ხეცურიანი და სხვები. მოხსენებები წაიკითხეს: ნ. ერისთავმა, მ. გიორგაძემ, ნ. გელაშვილმა, ს. ხეცურიანმა, მათი საუბრის თემას შეადგენდა ქართული ენის ნორმების დაცვა, ბარბაროზები ქართულ ენაში და ა.შ. ამავე თემაზე ისაუბრეს მოსწავლე შ. ჩიხლაძემ, სტუდენტმა ნ. ტყეშელაშვილმა, მე-19 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე მ. ნიჭიაშვილმა და სხვებმა.

29 აპრილს მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკაში მოწვევით შეხვედრა ახალგაზრდა შემოქმედებთან თემაზე „21-ე საუკუნე და პოეზია“. ღონისძიებას უძღვებოდა ლ. უჩაძე. ახალგაზრდა ავტორებმა: თ. ხანთაძემ, მ. ბურჯალიანმა, ქ. ჩიხლაძემ და გ. ფოფხაძემ წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედება, შესრულებული იქნა მუსიკალური ნომრები. იმავე დღეს მოწვევით შეხვედრა პოეტ ნ. გასვიანთან. ლექსები წაიკითხეს: თ. ხანთაძემ, ს. ბურჯალიანმა, დ. და მ. სალდაძეებმა, ა. ფხაკაძემ, ქ. ჩიხლაძემ, კ. ნარიმანაშვილმა. პოეტმა წაიკითხა ახალი ლექსები და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს.

მე-14 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე დ. ბობოხიძე) მე-40 საჯარო სკოლასთან (დირექტორი დ. გაგუა) ერთად ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „სადღაც ახლოს მზეი გაშლის აკაცობს“, რომელიც მიეძღვნა ანა კალანდაძის პოეზიას. ღონისძიებაში ძირითადად მონაწილეობდნენ მე-5 კლასის მოსწავლეები (ხელმძღვანელი ლ. ტუკვაძე)

მოსწავლეები დახვეწილი მეტყველებით კითხულობდნენ პოეტის ლექსებს. ღონისძიებამ კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრეთ წიგნის მნიშვნელობა მოზარდის სულიერი ფორმირებისა და აღზრდა-განათლების საქმეში.

5 აპრილს მე-19 საქალაქო ფილიალში (გამგე მ. ნიჭიაშვილი) კვირეულის პროგრამით ჩატარდა ი. გოგებაშვილის უკვდავი სახელმძღვანელოების „დედა ენისა“ და „ბუნების კარისადმი“—მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეები: თ. ვარდანიძე, პ. სახტარაძე, მ. და რ. ფარცვანიძეები, ქ. ლეშკაშვილი და სხვები, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს შესახებ ისაუბრეს პედაგოგებმა ნ. სვანიძემ, ნ., აბესაძემ, მ. იჩქიტაძემ. წიგნის მნიშვნელობაზე ილაპარაკა მკითხველმა ს. თავდიშვილმა. საკუთარი ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: გ. ბაზაძემ, ა. კვირიკაშვილმა, თ.



ბაზაძემ, ზ. კვიციანიძემ და სხვებმა: ღონისძიებას მალალი შეფასება მისცეს სამეცნიერო ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა: ც. ფოფხაძემ, ი. გვენეტაძემ, ლ. ჭოლაძემ.

მე-20 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ლეკვიშვილი) ჩატარდა ხალხური პოეზიის საღამო: „მარგალიტნი და თვალნი პატიოსანნი“. ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მე-15 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, საბიბლიოთეკო აქტივით ხალხური შემოქმედების შესწავლისა და მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა პედაგოგმა მ. მოსემვილიმა. მოსწავლეებმა: თ. განერელიამ, ლ. დარახველიძემ, დ. ქარდავამ და სხვებმა წაიკითხეს ზეპირსიტყვიერების ნიმუშები: „მუმლი მუხასაო“, „წუთისოფლო“, „ქალაჯ ლამაზო“, „თავფარავნელი ჭაბუკი“ და სხვ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პედაგოგები: ე. არდია და ლ. კობოძე.

29 აპრილს ა. სინაურის სახელობის ლიტერატურულ სახლში ჩატარდა ლიტერატურული საღამო თემაზე „თავზე დაგადგამთ ბრონეულის წითელ გვირგვინებს“, მიძღვნილი პოეტ ზ. კუხიანიძის 90 წლის იუბილესადმი. პოეტის შემოქმედება მიმოიხილა ლიტ. სახლის გამგემ ც. მხეიძემ. სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ პოეტები: ც. ყურაშვილი, ნ. გასვიანი, ბიბლიოთეკათმცოდნე მ. ყურაშვილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ზ. კუხიანიძის ოჯახის წევრები და აღზრდილები, მე-8 და მე-17 ბიბლიოთეკის თანამშრომლები. ზ. კუხიანიძის ლექსები წაიკითხეს: ა. გოლეთიანმა, მ. ასათიანმა, მ. სინაურიძემ, მ.... და სხვებმა. ღონისძიებაზე გულთბილად გაიხსენეს ქუთაისელი პოეტები: ლ. ნუცუბიძე, დ. კვიციანიძე, ნ. ჭეიშვილი, დ. ხუროძე და სხვები. ღონისძიებამ კიდევ ერთხელ ცხადყო ბიბლიოთეკის მნიშვნელობა ღირსეული მამულიშვილების ღვაწლისა და ამაგის დაფასების საქმეში.

2 მაისს 25-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. სანდუხაძე) მოენყო დისკუსია თანამედროვე ლიტერატურის განვითარების შესახებ. ღონისძიებაზე მონაწილე იყვნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, გ. ავალიანი, ც. ყურაშვილი




და ა. ყურაშვილი. ღონისძიება ატარებდა დიპლომის ფორმას. „თაობათა დიპლომში“ ნათლად წარმოჩნდა თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების პრობლემები, მკითხველი და წიგნი, წიგნი და კომპიუტერი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მე-16 საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები. მე-13 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე შ. მებუკე) 29 აპრილს გაიმართა ღონისძიება „პოეზიის ხუთი წუთი“. ლიტერატურული კომპოზიცია მიძღვნა პოეტ ზ. კუხიანიძის დაბადებიდან 80 წლისთავს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მე-9, მე-11 და 33-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა ბიბლიოთეკარმა მ. ბერეკაშვილიმა. ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: ა. ყიფიანმა, რ. ტოფაძემ, ნ. მეგენიშვილიმა, მ. და გ. ხონელიძეებმა, ნ. მხეიძემ და სხვებმა. მშობლებმა, მკითხველებმა, დამსწრე საზოგადოებამ მაღლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს.

მე-5 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე თ. ნარჩიშვილი) ჩატარდა ღონისძიება „ქუთაისიდან ვუმღერ სამყაროს“, მოენყო გამოფენა, საინტერესო იყო ნორჩ დეკლამატორთა მიერ წაკითხული პოეზიის ნიმუშები, ღონისძიება მიძღვნა საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის კვირეულს.

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა საბავშვო ლიტერატურის განყოფილებამ სპეციალური ღონისძიება მიუძღვნა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ლიტერატურულ კომპოზიციას „ანწყომ დაუნა დაფნის გვირგვინი“ ესწრებოდნენ მოსწავლეები, მშობლები, აქტიური მკითხველები. კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიება ჩატარეს № 3, მე-4, მე-7, მე-10, მე-11, მე-18 და სხვ. ფილიალებმა, საინტერესო იყო მე-4 საქალაქო ფილიალში ჩატარებული ლიტერატურული საღამო „ვარ ოცნებისათვის გაჭრილი, მე ვინმე მესხი მელექსე“.

მიმოსილვა მოამზადა გურამ თაყნიაშვილმა





კასპის მთავარი ბიბლიოთეკა (დირექტ. ე.ჩადუნელი) გამოირჩევა თავისი საქმიანობით. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მოღვაწეობა საზოგადოებასთან ურთიერთობით. აქ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება, ასევე აქტიურად მოღვაწეობენ მის ქსელში შემავალი ბიბლიოთეკები. აღსანიშნავია, რომ რაიონში შენარჩუნდა მრავალი საჯარო ბიბლიოთეკა. რაც უდავოდ დამსახურებაა როგორც ამ მხარის გუბერნატორის, ისე გამგებლისა, მათი მხარდაჭერითა და ინიციატივით მრავალი რამ გაკეთდა საბიბლიოთეკო ქსელში და იმედია, კვლავ გაკეთდება.

წარმოდგენილი სტატია ერთ-ერთი ნიმუშია კასპის მთავარი ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებისა.

ლია ნიჰარიშვილი

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

„ბიამბობთ სიფრიაღესა“

„ზეცა წყალობად, ნუგეშად ივერსა გაობრებულს,

მეფედ მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო სიყრმით

ცხებულსა, მხედართ-მთავარსა უძლეველს, გულმონყალესა

მსაჯულსა, ზე-ჩაგონებით განსწავლულს, ენა მდინარე მეტყველსა!“

დავით-ქართველთ მეფემ – დაამკვიდრა იმედი მცირერიცხოვან ხალხთათვის ხვალისდელი და სამერმისო არსებობის გარანტიისა, ქართველმა მეფემ იხსნა კავკასიის ხალხები გათურქება-გადაგვარებისაგან. თურქობა სრულიად ახალი „უცხო ჯიშის“, ყველაზე საშიში მტრობა იყო საქართველოსათვის და კავკასიის სხვა ხალხებისათვის. იგი არ ჰგავდა ჩვეულებრივ, „ტრაფარეტულ“ მტრობას, მტერთა საომარ კვეთებას, მხოლოდ მტრულად სისხლისღვრას, მხოლოდ ძარცვასა და ტაცებას, პომპეუსის, მურვან ყრუს, ბულა თურქისა თუ აბულ ყასიმის შემოსევათა მსგავს „მოქცევასა“ და „უკუქცევას“.


თურქები მოდიოდნენ დედა-ბუღიანად, დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად, ცხვარ-ძროხიანად, ცხენიან-აქლემიანად, ძაღლიან-კატიანად, მოდიოდნენ და აღარ მიდიოდნენ.

ამბობენ, კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო: ერთი აქ დასარჩენი, მე-

ორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველთაგან ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფეს, აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნოვან კაცს, სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკული სახელი უკვდავებისა, რომელიც მ თებერვალს მოიხსენიება.

კასპის მთავარმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ე. ჩადუნელი) კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების (დირექტორი ვ. ბესტავაშვილი) თანადგომით, ტრადიციულად კიდევ ერთხელ ახსენა სახელი დიდებული მეფისა, კიდევ ერთხელ გადაშალა „ქართლის ცხოვრება“ – „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი“.

თემატურ კონფერენციაზე მოვისმინეთ მოხსენებები: დავით აღმაშენებელი – პოლიტიკოსი, რეფორმატორი, მეომარი. (კასპის





1-ლი საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი დალი ხაჩიძე); დავით აღმაშენებელი-მწერალი (კასპის 1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი); წმ. დავით მეფე აღმაშენებლის სახე ქართველ შემოქმედთა ქმნილებებში (გაერთიანების სპეციალისტი ლია მენაბდიშვილი). ექსკურსი (მომხს. დ. ხაჩიძე) საქართველოს ტკივილიან, მაგრამ საამაყო წარსულში, რომელიც 16 წლის დავით IV გამეფებიდან დაიწყო საქართველოს გაძლიერებით, მეფის ხელისუფლების განმტკიცებით, მტერთაგან ქვეყნის განმენდით, დაცვით და ქართული სახელმწიფოს ფარგლების გაფართოებით დამთავრდა. ქალბატონმა დალი ხაჩიძემ ძალიან ახლოს მოიტანა წარსული - დიდგორი, რუის-ურბნისი, დმანისი, ყივჩაღები და სომხები, გიორგი ჭყონდიდელი და არსენ იყალთოელი, ნიკოფსი და დარუბანდი.

ემოციამ იმძლავრა, დაგუბდა, მოკრძალებით, მალულად, მაგრამ მაინც გადმოიღვარა ცრემლი... ნიშანი ტკივილისა და სიამაყისა.

ქალბატონმა მანანა ყაბანაშვილმა თავის მოხსენებაში დავით აღმაშენებელი წარმოადგინა როგორც მნიშვნობარი და პოეტი, დავითი საფუძვლიანად იყო განსწავლული თავისი დროის მწერლობასა, ღვთისმეტყველებასა და ისტორიაში, იცოდა სპარსული და არაბული ენები, იცნობდა მაჰმადიანურ ლიტერატურას, ერკვეოდა ვარსკვლავთმრიცხველობაში. მისი თაოსნობით დაარსდა გელათისა და იყალთოს აკადემიები. იყო ჩინებული ჰიმნოგრაფი. ჩვენამდე მოაღწია

მხოლოდ ერთმა ნაწარმოებმა - „გალობანი სინანულისანი“.

ისტორიასა და რეალობას შორის სშირად ჩნდება პარალელები, რომლებიც უსასრულობაში გადაიკვეთებიან, ყველა გადაკვეთის წერტილი კი წამოსულია მომავალში, რაც ახალი სიტყვის თქმის საშუალებას იძლევა. „ახალი სიტყვის“ შესახებ მოხსენებაში „წმ. დავით მეფე აღმაშენებლის სახე ქართველ შემოქმედთა ქმნილებებში“ საინტერესო არგუმენტები წარმოადგინა ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტმა, ქალბატონმა ლია მენაბდიშვილმა. დავით აღმაშენებელი ყველა დროში სხვადასხვა სახით იქნა წარმორჩენილი „არსენ იბალთოელის დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“, უცნობი ავტორის ლექსები თუ თხზულებები, ილია, აკაკი, ვაჟა, აკ. ბაქრაძე, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები, ჯანსუღ ღვინჯილია, ლევან სანიკიძე, გიორგი ლეონიძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე; ფრესკები გელათში, ხობში, შიო მღვიმეში; ელგუჯა ამაშუკელისა და მერაბ ბერძენიშვილის მონუმენტები, ირაკლი ოჩიაურის ჭედური, უცნობი ავტორების პორტრეტები მეფე დავითისა, ქართულ სცენაზე შავგულიძის მიერ განსახიერებული მეფის სახე და სხვა.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ დავით მეფე - „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და სომეხთა იყო ეპოქის შვილი, რომელმაც დიდი მსხვერპლის ფასად გაატარა ღრმა გარდაქმნები: უკუაგდო დრომოჭმული და დანერგა სიახლე, „დავითისეული ხედვა“ „გზა ევროპისაკენ“ დღესაც აქტუალურია და ჩვენი მომავლის გზაც ევროპისაკენ არის მიმართული.



ცირა ბულაშვილი

რუსთავის 22-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი

ჩატარებული ღონისძიებების კვლადკვალ...

„სიტყვა ქართული – სიტყვა მხატვრული“

2010 წლის 13 დეკემბრიდან 17 დეკემბრამდე ქ. რუსთავის № 22 საჯარო სკოლაში ჩატარდა ქართული პროზის მხატვრული კითხვის კვირეული – კონკურსი

იდუის ავტორი და ნამყვანი – დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მაია შანშაშვილი.

კონკურსში მონაწილეობდნენ V–VIII კლასებიდან შერჩეული მოსწავლეები, რომლებმაც წარმოადგინეს ნაწყვეტები ი. გოგებაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, რ. ინანიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, ვაჟა-ფშაველას, კ. გამსახურდიას და სხვა მწერალთა ნაწარმოებებიდან.

ჟიური მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: ეკა ცხვედაძე – სკოლის დირექტორი; ცირა ბულაშვილი – სკოლის ბიბლიოთეკარი, პოეტი-შემოქმედი; მონვეული სტუმრები: თინა სიყმაშვილი – საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, გაზეთ „რუსთავის“ საკუთარი კორესპონდენტი, რუსთავის საპატიო მოქალაქე; აღმარ ლომიძე – ფილოლოგი, ჟურნალისტი, გაზეთ „ლიტერატურული რუსთავის“ რედაქტორის მოადგილე, გერმანისტი

მხატვრული კითხვის კვირეული გახსნა X კლასის მოსწავლემ სალომე გიგნიაშვილმა (ხელმძღვანელი ბიბლიოთეკარი ცირა ბულაშვილი), რომელმაც კონკურსგარეშე მხატვრულად წარმოადგინა ჩანახატი ქალბატონ ცირა ბულაშვილის წიგნიდან – „პირველი ალუბლობა“.

მუსიკალური და კომპიუტერული თანხლება წარმოდგენილ იქნა პედაგოგ – მაია თოდუას მიერ. კვირეულის დახურვისას № 22 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკასთან არსებულმა შემოქმედებითმა კლუბმა – „სულის სიმფონიამ“, (ხელმძღვანელი ცირა ბულაშვილი) გამართა შემოქმედებითი საღამო მოსწავლეთა და პედაგოგთა მონაწილეობით. საღამოში საკუთარი შემოქმედებით გამოვიდნენ მოსწავლეები: სოფო ბალაშვილი XII კლ. (დამრიგ. მარინა ფოცხვერაშვილი), ავქსენტი ჭიჭინაძე XI კლ. (დამრიგ. მაია მაშენიაშვილი) ნანა ამბარდნიშვილი XI კლ. პედაგოგები: ხათუნა მოდებაძე, შორენა ჭაბაშვილი. მუსიკალური თანხლება მოამზადა – მაია თოდუამ.

ღონისძიება დაასრულა სკოლის ბიბლიოთეკარმა ცირა ბულაშვილმა საკუთარი ლექსით – „მე მოვალ შენთან“.



ლალი ყაულაშვილი

სტუდენტთა სამსახურში




გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღიდან ფუნქციონირებს და მისი ძირითადი დანიშნულებაა ინფორმაციით უზრუნველყოს განათლების, სწავლებისა და მეცნიერული კვლევის პროცესი,

ხელმისაწვდომი გახადოს ბიბლიოთეკაში არსებული საინფორმაციო რესურსები და მაღალკვალიფიციური, სრულყოფილი მომსახურება გაუწიოს მკითხველს.

ბიბლიოთეკას გააჩნია დებულება და სარგებლობის წესები, რომელთა საფუძველზეც წარმართება მისი საქმიანობა. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც სასწავლებლის შენობის პირველ სართულზეა განლაგებული, შედგება საცავის, აბონემენტისა და სამკითხველო დარბაზისაგან.

საბიბლიოთეკო ფონდი თავდაპირველად, მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესი აყენებდა ბიბლიოთეკის წინაშე. ამიტომაც, სასწავლებლის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, დაიწყო ფონდის ისეთი სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით შევსებისათვის ზრუნვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებდა უნივერსიტეტში არსებული სპეციალობების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების მოთხოვნებს. სასწავლებლის დაფუძნებიდან

დღემდე საბიბლიოთეკო ფონდი 3000 ეგზემპლარით გაიზარდა და ამჟამად იგი 10 000 ერთეულით განისაზღვრება. უნივერსიტეტში მრავლადაა სახელმძღვანელოები, რომლებიც უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. პარალელურად ხდებოდა დარგობრივი და უნივერსალური ხასიათის საცნობარო ლიტერატურის შექმნა.



ამჟამად უნივერსიტეტის მესვეურები ზრუნავენ ფონდის მხატვრული და პუბლიცისტური ლიტერატურით დაკომპლექტებისათვის.

ბიბლიოთეკას გააჩნია სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიები, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტების, ისე პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

დღეისათვის გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში 806 სტუდენტი სწავლობს, პროფესორ-

მასწავლებელთა და თანამშრომელთა რიცხოვნებამ 150 გადააჭარბა.

გასული ერთი წლის განმავლობაში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა 1000-მდე მკითხველს მოემსახურა, ხოლო საშუალო წინთგაცემამ 2500 ერთეული შეადგინა.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს ნებისმიერი საბიბლიოთეკო დოკუმენტით.

ბიბლიოთეკა სისტემატურად კომპლექტდება პერიოდული გამოცემებით, მისი მთლიანი ფონდი კატალოგიზირებულია, მკითხველის სამსახურშია ორი სახის - ანბანური და სისტემატური კატალოგები, შედგენილია კარტოთეკები პერიოდული პრესის მასალებზე, მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონულ კატალოგზე.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. დაგეგმილია უნივერსიტეტის ეზოში ახალი საბიბლიოთეკო კორპუსის მშენებლობაც, რომელიც, სავარაუდოდ, ახალი სასწავლო წლისათვის შეუდგება ფუნქციონირებას.



ეკა ჭანტურიძე

ტრადიცია, რეალობა და პერსპექტივები.

„ჩვენთან მიღებული განათლება თქვენი მყარი კაპიტალია“ – ეს ფრაზა პროფესორ გურამ თავართქილაძეს ეკუთვნის, პიროვნებას, რომელმაც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში გარკვეულ ტრადიციებს ჩაუყარა საფუძველი და დღეს მის მიერ დაფუძნებული ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურებზე.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ეფუძნება ბოლონის პროცესის მოთხოვნებს, რეკომენდაციებსა და ეროვნული განათლების სისტემის თავისებურებებს.

საგანმანათლებლო პროგრამები აღიარებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელი რესურსებით.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მდიდარი წიგნადი ფონდია.

ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მათთვის საჭირო ლიტერატურის მოძიების კარგ შესაძლებლობას აძლევს.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს უახლესი ნორმატივების მიხედვით აღჭურვილ აუდიტორიებს, რადიო და ტელესახელოსნოებს. იმიტირებულ სასამართლო დარბაზს იურისტებისათვის, კაბინეტებს, ლაბორატორიებს.

კომპიუტერული ცენტრი აღჭურვილია უახლესი მოდელის კომპიუტერებით. ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრში განლაგებული ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერები ხელმისაწვდომია ნებისმიერი სტუდენტისათვის.

უნივერსიტეტს აქვს ფეხბურთის სტადიონი.

სტუდენტური თვითმმართველობა მოწოდებულია დაიცავს სტუდენტთა უფლებები, ადმინისტრაციასთან ერთად უზრუნველყოს თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების პირობები და ხელი შეუწყოს სტუდენტთა შე-



მოქმედებითი პოტენციალის განვითარებას.

მუშაობისა და დასვენების ჯეროვანი პირობების შესაქმნელად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტ-ჟურნალისტთა კლუბი „რეპორტიორი“, ლიტერატურული კლუბი, სტუდენტური კაფე და ინტელექტუალთა კლუბი. უნივერსიტეტში კლუბი „რეპორტიორი“ ყოველი კვირის პარასკევს მართავს შეხვედრებს ცნობილ ჟურნალისტებთან, კულტურისა და ხელოვნების სფეროს გამოჩენილ მოღვაწეებთან.

უნივერსიტეტის ტრენინგ-ცენტრი სტუდენტებს, დამატებითი განათლების მიღების მიზნით, სთავაზობს სასწავლო კურსებს:

• უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური);


• ტურიზმის მენეჯმენტი; ბუღალტერია; გიდი-ექსკურსიამძღოლი; სახელმწიფო მოხელის მომზადება; მარკეტინგული კომუნიკაციები; გაყიდვის მენეჯმენტი;

• მცირე ბიზნესი.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს დადებული სამეცნიერო კონსალტინგურ ცენტრთან, რომელიც ახორციელებს ახალი ტრენინგპროგრამების შემუშავებას, თემატური პროგრამების რეალიზაციას.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზეც.

ამ მიზნით უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს სახელმწიფო თუ კერძო კომერციულ სტრუქტურებთან,



დამსაქმებლებთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის მართვის სამსახური, რომელიც მუშაობს სტუდენტთა პრაქტიკის, სტაჟირების საკითხებზე, კარიერის მართვის სამსახურის მიზანია, შრომის ბაზრის სისტემატური ანალიზი და მომავალი სპეციალობების სწორად განსაზღვრა, ასევე ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისათვის რეკომენდაციების მიცემა და ამ მიმართულებით სწორი საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემუშავება.

უნივერსიტეტის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, არჩეული სპეციალობების მიხედვით, გაიარონ პროფესიული პრაქტიკა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათი დასაქმების პერსპექტივას.

საერთაშორისო ურთიერთობები და მონივნავე ქვეყნების საგანმანათლებლო დანახებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება უნივერსიტეტის საქმიანობაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ით-

ვლება.

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტსა და ინჰოლანდის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია ურთიერთთანამშრომლობა სამართლის, ჟურნალისტიკისა და ტურიზმის სფეროებში.


.INHOLLAND UNIVERITY (The Netherlands);

.B.H.M.W. (Business Management School Wettinngen' Switzerland);

.B.H.M.W. (Business & Hotel Management School; Lucerne Cuty; Switzerland);

.PUM (Senior experts from the Metherlands)

ეს უმაღლეს სასწავლებელთა ის მცირე ჩამონათვალია, რომლებთანაც დღეს აქტიურად თანამშრომლობს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი იმედია, მომავალში ამ მხრივ ინტერესი და აქტივობა კიდევ უფრო გაიზრდება.



რუსუდან მარკოზია

თბილისის 51-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

„ვინცა საგოგლოს უყოს კითხილი“



საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა თავისი შემოქმედებითი საქმიანობით აქტიურად უწყობს ხელს სკოლაში წიგნიერი გარემოს შექმნას, სასწავლო პროცესის ინფორმაციულ

უზრუნველყოფასა და მოსწავლეთა ინტელექტუალურ ზრდას. თბილისის 51-ე საჯარო სკოლას ამ მხრივ დიდი გამოცდილება გააჩნია. ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით; ფონდები ყოველწლიურად ივსება ახალი გამოცემებით; სკოლაში მომზადებული და ჩატარებული თითოეული ღონისძიება კომპლექსური ხასიათისაა; მას-



ში მონაწილეობენ მოსწავლეები, პედაგოგები; ასეთი ღონისძიებებიდან მკითხველის ყურადღება მიიწვიება ორ ღონისძიებაზე, რომლებმაც, ვფიქრობ, გარკვეული კვალი დააჩნია მოსწავლეთა და პედაგოგთა შეგნებაზე; 2010 წლის 16 დეკემბერს ჩატარდა ლიტერატურული საღამო „ძღვევამოსილი ღვთისაგან“.

ღონისძიება მიზნად ისახავდა მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის უფრო ახლოს გაგვეცნო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. ლიტერატურული საღამოს მომზადებაში მონაწილეობდნენ მე-10-12 კლასების მოსწავლეები: მ. ლორია, ზ. სოფრომაძე, ი. გრძელიშვილი, ნ. იასალაშვილი, ნ. ძერია, გ. ბალავაძე და სხვები. მოსწავლეებმა მაღალ მხატვრულ დონეზე წარმოადგინეს კალისტრატე ცინცაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, გამოვლინდა ბევრი უცნობი მასალა. კალისტრატე ცინცაძე მთელი 2- წლის განმავლობაში დაუღალავი შრომითა და ღოწგვით მეთაურობდა საქართველოს ეკლესიას; ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მან თავის მხრივ ხაზი გაუსვა კალისტრატე ცინცაძის თავდადებულ მოღვაწეობას, დალოცა ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე, პედაგოგები, მშობლები, სტუმრებსა და ღონისძიების მონაწილეებს მაღლობის სიტყვით მიმართა სკოლის



დირექტორმა დავით ლავგილაძემ. მეორე, არანაკლებად საინტერესო ღონისძიება მიეძღვნა დიდი ქართველი მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის გმირულ და თავგანწირულ მცდელობას ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში. აღნიშნული ღონისძიების მომზადებაში მონაწილეობდნენ პედაგოგები: მ. ხარებავა, მ. თურქაძე, მ. ალბორიშვილი, მოსწავლეები მ. ლორია, ს. გოდერძიშვილი, მ. სოფრომაძე, თ. ჭავჭავაძე, მ. ბოგვერაძე, ი. გრძელიშვილი, ა. კვეცივესკირი, ა. მიქანაძე და სხვები. მოსწავლეები და პედაგოგები უფრო ახლოს გაეცნენ სასიქადაულო მამულიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის გმირულ და თავდადებულ საქციელს, მისი ტრაგიკული აღსასრულს, სურათებს. ასეთი სასიქადაულო მამულიშვილების ცხოვრებისა და ღვაწლის წარმოჩენა მოსწავლეთა მონაწილეობით ხელს უწყობს პატრიოტული გრძნობის აღზრდას; დიმიტრი ყიფიანის პირადი მაგალითი ნათელი ნიმუშია ნამდვილი ქართველი პატრიოტისა, რომელიც მსხვერპლად შეენირა ქართველი ერის ინტერესების დაცვას; დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება ვრცლად გააშუქა „ახალი განათლების“ კორესპონდენტმა მაკა ყიფიანმა. („ახალი განათლება“, 2010, 9-15 დეკემბერი).



მზია ოქრომჭადლიძე

რუსთავის მე-9 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

სკოლა და ჩვენი ბიბლიოთეკა

უძველესი დროიდან არსებობდა ბიბლიოთეკები, რომლებიც ითვლებოდა ქვეყნის სიკეთის სანყისად. ყოველი საზოგადოება დაინტერესებული იყო ერის სულიერად გამდიდრებაში. ალბათ ბევრ დარგს არ მიუძღვის ისეთი დიდი წვლილი ქვეყნის საყოველთაო განათლებასა და წინსვლაში, რამდენიც ბიბლიოთეკებს.

ისიც ცნობილია, რომ ქართველი ერი არა მარტო ყურძნისა და ხორბლის მრავალმხრივი ჯიშების, მრავალხმიანი სიმღერების შექმნით იყო დაკავებული, არამედ დიდ ადგილს ყოველთვის უთმობდა მომავალი თაობის აზრდას.

თანამედროვე ეპოქაში, ქვეყანაში რომ ამდღეს განათლების დონე, სახელმწიფო განათლების სისტემაში სხვადასხვა რეფორმებს ატარებს. რეფორმა ითვალისწინებს იმას, რომ მოსწავლეებს შეექმნას ყველა პირობა, რათა მიიღონ შესაფერისი განათლება. ეს კი მოითხოვს სკოლაში ბიბლიოთეკის არსებობას. სკოლა წარმოუდგენელია ბიბლიოთეკის გარეშე. სულიერი საზრდო წიგნებით ივსება, სკოლა კი „ბიბლიოთეკის გარეშე ეს დედამიწაა მზის გარეშე“. სკოლის ბიბლიოთეკაში მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას საჭირო ლიტერატურის გამოყენების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ გამოიყენება ელექტრონული რესურსები, ჯერ კიდევ დიდი მოთხოვნილებაა წიგნზე. ამის დიდი გამოცდილება აქვს რუსთავის მე-9 საჯარო სკოლას. მას 2003 წლიდან სათავეში ჩაუდ-

გა საქმიანი, გულისხმიერი, მაღალი ზნეობის ახალგაზრდა ქალბატონი ინგა ქურდოვანიძე, რომელსაც საკმაოდ რთულ პირობებში მოუხდა მუშაობა, მას ბევრი სიძნელის გადალახვა მოუწია, მაგრამ შეუძლებელი შეძლო. სწავლების ხარისხის ასამაღლებლად განხორციელდა შესაბამისი პირობები. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, შეძლებისდაგვარად შევიძინეთ ახალი საბიბლიოთეკო ინვენტარი, შეკეთდა წიგნის კარადები, თაროები და სხვა. ბიბლიოთეკა ივსება ახალი მრავალმხრივი ლიტერატურით, რათა ხელი შევეწყოთ ჩვენს მთავარ პრიორიტეტს – წიგნისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას, ნათელ, თბილ და ფართო ოთახში მოსწავლეთათვის საუკეთესო პირობებია მუშაობისათვის. ისინი წიგნების შეუზღუდავი გამოყენებით სარგებლობენ.

როგორც ბიბლიოთეკარს, მიმაჩნია, რომ უნდა ვიბრძოლო ჭეშმარიტი რწმენით, დაულალავად ვემსახურო ჩემს მომხმარებელს, ჩაუწუნებო მათ სიკეთე, სწავლისადმი სურვილი, და რაც მთავარია, მამულისა და ქვეყნის სიყვარული, განუხრელად ვასრულებ იუნესკოს მანიფესტის მოწოდებას – „ბიბლიოთეკა ცოდნის კარიბჭეა“ და მოვუწოდებ ყველას, ხშირად შემოიარონ ბიბლიოთეკაში ცოდნის გასაღრმავებლად.


ფირა ბაჭიშვილი

თბილისის 72-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

„ჩემი საბია სამუოზლო“

თბილისის 72-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი ნ. ნატროშვილი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ფ. გაჯიევა) აკაკი წერეთლის 170 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარდა გაკვეთილები, მოენყო გამოფენები; მასობრივი ღონისძიებების ორგანიზებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები. მე-4-10 კლასელებმა წარმოადგინეს სამნაწილიანი ღონისძიება: აკაკის ბი-

ოგრაფიის ეპიზოდები, აკაკის პატრიოტული ლირიკა, აკაკის გამოცანები და ხუმრობები. სკოლის გუნდმა შეასრულა აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები (პედაგოგი მ. ჩიკვაიძე); ღონისძიება მოამზადა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მასწავლებელმა დ. მჭედლიშვილმა. მე-5 კლასში ჩატარებული გაკვეთილის თემა იყო აკაკის ცხოვრების ეპიზოდები „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით.



მოსწავლეებმა ზეპირად წარმოადგინეს აკაკის მოსწრებული სიტყვები და გამონათქვამები, ახსნეს მათი შინაარსი და მნიშვნელობა; ღონისძიება მოამზადა პედაგოგმა ე. ლავრელაშვილმა; მე-3 კლასელებმა მოამზადეს სპეციალური გაკვეთილი, სადაც დეტალურად გაეცვინენ აკაკის ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებს. ღონისძიებას მიეძღვნა სპეციალური კედლის გაზეთი, რომელიც მომზადდა მშობელთა აქტიური მონაწილეობით; გაზეთს ამშვენებდა პატრიოტული სულისკვეთებით შერჩეული სტრიქონები, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მე-4 კლასელებმა არაქართულენოვანმა მოსწავლეებმა დიდი პასუხისმგებლობით შეასრულეს გაკვეთილისათვის მიცემული დავალებები.



ღონისძიების დასკვნით ნაწილში მოსწავლეებმა დაფაზე შექმნეს აზრობრივი რუკა აკაკის მოგონებებიდან. ღონისძიება მოამზადა პედაგოგმა თ. ტალახაძემ.

მოსწავლეთა და პედაგოგთა დიდი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო კონფერენციამ თემაზე „აკაკი – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე“. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო თემები: „მამათა და შვილთა ბრძოლა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში“ (პედაგოგი თ. ტალახაძე), „აკაკის პუბლიცისტიკა“ (პედაგოგი ნ. აბრამიშვილი), „აკაკი წერეთელი და აზერბაიჯანული კულტურა“, (თემა წარმოადგინა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ფ. გაჯიევამ რუსულ ენაზე). აღნიშნულ მოხსე-

ნებაში დეტალურად იქნა გაშუქებული აკაკის ურთიერთობა აზერბაიჯანულ ხალხთან, მისი ნაცნობობა და კულტურული ურთიერთობა მირზა-ფათალი ახუნდოვთან, აკაკის მიერ აზერბაიჯანული ენიდან თარგმნილი ლექსები და სხვა საინტერესო ეპიზოდები აკაკის ბაქოში მოგზაურობის შესახებ. მოსწავლეთა ყურადღება მიიპყრო აკაკი წერეთლის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სურათებისა და კედლის გაზეთების გამოფენამ. ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ ს. მხითარიანი, დ. მჭედლიშვილი და ე. გურაშვილი. მოწონება დაიმსახურა მე-7 კლასში ჩატარებულმა ღონისძიებამ, რომელიც მოამზადა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ფ. ბუკრეევამ. ღონისძიება ჩატარდა რუსულ ენაზე. მოსწავლეებმა წარმოადგინეს აკაკის პოეზიის ნიმუშები ქართულ და რუსულ ენებზე. სკოლის გუნდმა შეასრულა სიმღერები „სულიკო“, „ციცინათელა“.

ღონისძიება გამდიდრდა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. პირველი კლასის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი მ. დვალისძე) მოინახულეს მთანმინდის პანთეონი; მე-6 კლასის მოსწავლეები (ხელმძღვანელი თ. ლალიშვილი) იყვნენ ექსკურსიაზე სხვიტორსა და სავანეში.

აკაკის საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ღრმად შინაარსიანი და ეფექტური იყო, იგი განპირობებული იყო პედაგოგთა მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი პასუხისმგებლობით.



თეა იოსავა

შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო

შიო მღვიმელი – 145

*"სულ ვმღერი ერთის გულითა
ენატრობ: გამაძღე, ბუნებაჲ,
ბავშვების სიყვარულითა!"*
შიო

„მღვიმელი“ პოეტის ფსევდონიმია, შიოს ნამდვილი გვარია ქუჩუკაშვილი, დაიბადა 1866 წელს, ქარელის ახლოს სოფელ ბრეთში. შიო რვა წლისა იყო, როცა მამა გარდაეცვალა, უფროსმა ძმამ ობოლი შიო, უსახსრობის გამო, გადაწყვიტა მონასტერში ბერებისათვის მიეზარებინა. გორში შეიარეს შიო დავითაშვილთან, რომელიც ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ამ ადამიანმა განსაზღვრა პატარა შიოს მომავალი. მას არ მოსწონებია სანდროს განზრახვა, რომ შიო სასულიერო პირად აღზრდილიყო. შიო დატოვეს გორში დავითაშვილთან. ეს მოხდა 1881 წლის გაზაფხულზე, მომავალ პოეტს ცნობილმა ოსმა ხალხოსანმა თედო გოლიევიძემ გულითადი ამაგი დასდო.



შიო 1881 წელს გორის საოსტატო სემინარიასთან არსებულ სანიმუშო სკოლაში მიაბარეს. იმ დროს გორის სემინარიაში სწავლობდა ვაჟაფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი). შიო და ვაჟა დამეგობრდნენ. დაიწყო ხალხოსნური მოძრაობის დევნა. ამ მოძრაობის ზოგიერთი ხელმძღვანელი დააპატიმრეს. შიო დავითაშვილმა დატოვა გორი. შიო ქუჩუკაშვილი დაუცხრომელმა ხალხოსანმა მიშო ყიფიანმა შეიფარა. ფრიად განათლებულმა და პროგრესულმა ადამიანმა, ღებულობდა მონანილეობას, შიო ქუჩუკაშვილიც დაითხოვეს სასწავლებლიდან. იგი ხომ ცნობილ ხალხოსანთა მფარველობისა და გავლენის ქვეშ იყო! ხალხოსნები შიოს ავრცელებინებდნენ რევოლუციური სულისკვეთების მქონე ნაბეჭდ ფურცლებსა და ლიტერატურას.

ცნობილი ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი, რომელიც იმხანად გორში მოღვაწეობდა, თავის მოგონებებში წერდა: „ის იყო გამოვიდა აკაკის ქართული მარსელიოზა „ხანჯალი“, პატარა შიოს ვავრცელებინებდით ამ ლექსს მონაფეებში. 1887 წელს შიო ჩადის თბილისში და თავის მოამბე შიო დავითაშვილთან ცხოვრობს, საზოგადოებაში იგი ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მუშაობდა. იყო გამყიდველიც, პროვინციებში დამკვეთთა წიგნების გადამგზავნიც, წიგნების ანგარიშის შემდგენიც, საბუღალტრო საქმის კარგი მცოდნეც, შიო მღვიმელი დაინტერესებული იყო ქართული კულტურისა და წიგნის ბედით და ამ დიდ ეროვნულ საქმეს ერთგულად ემსახურებოდა. შიო მღვიმელს სამსახურებრივი მდგომარეობით საქმიანი მიმოწერა ჰქონდა ინგლისელ მწერალ მარჯორი უორდროპთან. მისი დაკვეთით შიო ევროპაში უგზავნიდა მას ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც პირად წერილებ-

საც დაურთავდა ხოლმე. მწერალი ქალი თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა შიოს. ეს წერილები ინერებოდა ქართულად.

1909 წელს შიო მღვიმელი წავიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოებიდან.

შიო მღვიმელმა ადრე დაიწყო ლექსების წერა. ის ჯერ კიდევ გორში სწავლობდა, როდესაც მისი პირველი ლექსი „დილა“ მღვიმელის ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზეთ – „დროებაში“ 1885 წელს. ლექსში ჩქეფს სიყვარული მშრომელი ადამიანებისადმი.

შიო მღვიმელის, როგორც საბავშვო პოეტის, ფრთების გაშლა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსებიდან იწყება. 1890 წლის იანვარში, პირველივე ნომერში დაიბეჭდა ლექსი

„ჯეჯილი“, ამავე წლებში წერს საბავშვო ლექსებსაც, ჟურნალ „ნაკადულში“, რომელიც 1904 წლიდან გამოდიოდა. „ცვარი“, „ძუნწი“ და „სამი ცელქი“, რომლებიც 1891 წელს ცალკე წიგნებად გამოვიდა.

ბეჭდვით სიტყვაზე დაწესებული იყო სასტიკი ცენზურა. ამ საერთო უბედურებას ზედერთვოდა ეროვნული ჩაგვრაც, სკოლებიდან იღვევებოდა ქართული ენა, იზღუდებოდა ქართული სასწავლო სახელმძღვანელო, წიგნების გამოცემა, მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართული ლიტერატურული და კულტურული ცხოვრება მაინც არ მოდუნებულა.

გადაგვარების გზაზე დამდგარი არისტოკრატია და „რუსეთუმე“ ინტელიგენციები არ იცნობდა ჟურნალ „ჯეჯილს“ და არც ქართული საბავშვო ლიტერატურის ამომავალ მზეს–შიოს, თუ იცნობდნენ, ისევე საშუალო ინტელიგენცია: მასწავლებლები, ვაჭრები და ხელოსნები, მღვდლები და ა.შ. შიო ასევე საყვარელი თანამშრომელი იყო ჟურნალ „ნაკადულის“, ჟურნალ „პიონერის“, რომელიც 1926 წ. გამოდიოდა.

საბავშვო მწერლობას თავისი სპეციფიკურობა აქვს. ეს კარგად ესმოდა შიო მღვიმელს, ესმოდა თავისი დროის პედაგოგიური შეხედულებანი. ბავშვთა აღზრდის საკითხები და თავის საბავშვო ლექსებსაც ამ შეხედულებათა გათვალისწინებით თხზავდა.

შიოს, როგორც საბავშვო პოეტს, შეეძლო ქვეყანა წარმოედგინა უფრო ლამაზი, ვიდრე სინამდვილეში იყო. ამიტომ ხატავდა იგი კეთილ ბავშვებს, წინ სწევდა ადამიანთა კაცთმოყვარულ, ჰუმანურ მხარეს. კეთილმოყვარე ბავშვის სახეა ნაჩვენები ლექსში „დედა კაბას უკერავდა“. ეს ლექსი დაწერილია 1908 წელს.

სიღარიბე და ობლობა გვერდი-გვერდ არიან შიოს ლექსებში. თავად შიომ ობლობა და სიღარიბე მწვავედ განიცადა. ეს განცდა პოეტს ასახული აქვს ბევრ ლექსში, რომელთაგან თავისი პოეტური ძალით გამოირჩევა ლექსი „ობოლი“.

შიო მღვიმელის ლექსებში კეთილი უპირისპირდება ბოროტს. ბოროტება გაკიცხულია და დაგმობილია. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „ტყეში“, შიო მღვიმელი საბავშვო ნაწარმოებებში ბოროტებას ხატავს არა ადამიანთა, არამედ ცხოველთა, ფრინველთა თუ მწერთა საქციელის მაგალითებით.

პოეტი ბავშვებთან ლაპარაკობდა იმ ენით, რომელიც მათთვის უფრო გასაგები და მიმზიდველი იყო. მაგრამ შიო რეალისტი მწერალი იყო და ზოგჯერ ბავშვებს მწარე სიმართლესაც უჩვენებდა. ამით პოეტი არ ღალატობდა თავის საყვარელ მცნებას: „რაც უნდა შხამი შევჭამო,.

ბავშვებთან მივალ ტკბილითაო“.

ბოროტების დამგმობი შიო ყოველთვის აკეთებდა კეთილ საქმეს და ბავშვებსაც აქეთვე მოუწოდებდა. ლექსში „ჩიტი და ილა“ პატარა ბიჭუნას საქციელი ამაღლებულად არის წარმოსახული. ილა მახეში გაბმულ ჩიტს გამოხსნის, ხელში დაიჭერს. ჩიტი მოიწყენს. აი, აქ მჟღავნდება პოეტის გულთამხილაობა: ჩიტის მაგივრად თავისი თავი წარმოიდგინა, თავისი დედა გაახსენდა, რომელიც მას ელოდა. გულმა სიკეთისაკენ ნაბიჯი გადაადგმევინა – ილამ ჩიტი გაუშვა და კმაყოფილებით შესძახა

„აჰა, გაფრინდა ბინაზე,

დედა შენ ნახე თავადა,

თორემ დაგინყებს ლოდინსა,

ჯავრით გახდება ავადა“.

ამ ლექსში სიყვარული და პატივისცემა დედისადმი დიდად არის ამაღლებული. ამიტომ არ შეიძლება მან კეთილი გავლენა არ მოახდინოს ბავშვთა შეგნებაზე, კარგ ადამიანად მათი ჩამოყალიბების საქმეში.

ტყვეობასა და სხვის მორჩილებას გმობს შიო, სამაგიეროდ ადიდება თავისუფლებას.

შიო მღვიმელის საბავშვო პოეზია ერთი დიდი მდინარეა, რომელსაც ორი მთავარი შენაკადი აქვს – ბავშვი და ბუნება.

ბავშვების სიყვარული შიოს ბუნებისაგან ჰქონდა მომადლებული. მათთან ყოფნა პოეტს დიდ სიამეს ჰგვრიდა:

„მაშინა ვარ ბედნიერი,

მხოლოდ მაშინ ტკბება გული,

როცა მესმის ნორჩი ყრმების

სიცილექე და ჟრიამული“.

(„მაშინა ვარ ბედნიერი“)

ბავშვი გარემოსთან და ბუნებასთან ურთიერთობაში ავლენს და იმუშავებს თავის ხასიათსა და მისწრაფებებს. ბავშვს თავისი თვალი აქვს, თავისი ენა, თავისებური დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი. ბავშვი ზოგჯერ დაფიქრებული ან ჭირვეულია და ყველაფრის უმიზეზოდ დამწუნებელი. შიო მღვიმელს, როგორც საბავშვო პოეტს, ყოველივე ეს შინაგანად გათვალისწინებული ჰქონდა. თავისი დიდი ალღოს, მგრძნობელობის, მახვილი თვალისა და ჭვრეტის ნყალობით პოეტმა ბავშვების გულის ყოველ კუნჭულში შეიტანა შუქი და ყველასათვის დასანახი გახდა იგი.

ლექსებში: „პატარა“, „ნინო“, „ცელქები“, „თამარ ქალი“, „ნანას დედოფალა“, „ნინას სიზმარი“, „კონო და კუნო“, „ცხენობანა“, „გივი ბიჭუკელა“, ბეჯით ბავშვებს შიო მღვიმელი ოჯახის გამხარებლებს უწოდებს. ბეჯითი ბავშვები ყველგან არიან და ხალხიც მათში ხედავს



ქვეყნის კარგ მომავალს.

შოი მღვიმელის შემოქმედების უდიდესი ნაწილი ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდს ეკუთვნის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, პოეტი 55 წლისა იყო, მაგრამ ბავშვისა და პოეზიის სიყვარული მის გულს უწინდებურად ანათებდა. პოეტი ხედავდა მშრომელთა აქტივობას მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში; ხედავდა, როგორ მოიფინა ქვეყანა სკოლებით და როგორ ფართოდ გაიღო ბავშვებისათვის სასწავლებლის კარი. ისინი ახლა ფიქრობდნენ არა ლუკმაპურზე, არამედ სწავლასა და ცოდნის მიღებაზე: ლექსში „პატარა ინჟინრები“ მას ახარებდა ახალი მშენებლობები, შოი მღვიმელმა სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნილი ლექსებით ქართულ საბჭოთა საბავშვო პოეზიაში თავისი წვლილი შეიტანა.

ბავშვი არა მარტო ოჯახში იზრდება, არამედ ბუნებაშიც, ბუნება დიდი, დაუნერვლი წიგნია, რომელსაც ბავშვი შეგნებულად თუ შეუგნებლად აკვირდება და ეცნობა, თავის სიცულექესა და მოუსვენრობას უფრო ხშირად იგი აქ ამჟღავნებს ხან, ჩიტებს იჭერს და ბუდეებს უნგრევს, ხან ყვავილებს თელავს და გლეჯს, ხან რას წაეთანება და ხან რას. არც ბუნებაა გაქვავებული და დამუნჯებული. ბუნება შიოს ლექსებში გასულიერებულია და ამეტყველებული, აქ ცხოველს, ფრინველსა თუ მცენარეს სიხარულის გამოხატვის უნარიც აქვს და მწუხარებისაც. ისინი ბავშვების გადაჭარბებული ცელქობის წინააღმდეგაც იმალდებენ ხმას. ყვავილი საყვედურით მიმართავს ყმანვილს: რატომ მისპობ სიცოცხლესო ლექსში „ყვავილი“; ბავშვებს ბუნება იტაცებთ და უყვართ, მაგრამ ხშირად არ იციან, რას სჩადიან, როცა ჩიტებს უმიზეზოდ ქვებს ესვრიან და ბუდეებს უნგრევენ, როცა ხეებს ტოტებს ამტვრევენ და ყვავილებს გლეჯენ. ამ დროს არის საჭირო აღმზრდელისა და მწერლის ჩამაგონებელი სიტყვა. რომ ბავშვებს მათი ანგარიშგაუწეველი ცდუნებანი ცუდ ზნედ არ ექცეთ. შოი მღვიმელი, ვით გულისხმიერი აღმზრდელი და მეთვალყურე, ყოველთვის თვალს ადევნებდა ბავშვებს. მისი მარჯვედ თქმული მხატვრულ-შთამაგონებელი სიტყვის ცდუნებით შეპყრობილი მრავალი ბავშვის გული დროზე განმენდა და გასპეტაკება.

ბავშვები ხომ სული და გულია შოი მღვიმელის პოეზიისა, ასევე ბუნებაც შიოს ლექსების დიდი მადლი და ღონეა. მღვიმელი ბავშვებს აყვარებდა არა მარტო ბუნებას, არამედ სამშობლოსაც, რადგან სამშობლო ქვეყანა მის ხალხთან ერთად მოიცავს მის ბუნებასაც. შოი

მღვიმელი ინვოდა თავისი ქვეყნისა და პატარების სიყვარულით

„ვით მე არ ვცვლი ვარდს ეკალში და ვინატრი მისსა ლხენას, ნურც შენ გაცვლი ნურაფერში სამშობლოს და დედაენას“.

შოი მღვიმელის ეს უპირველესი მოწოდება-თავანი ბავშვების გულში სათანადო ადგილს პოულობდა ლექსი „გოგონას სიმღერა“, ის გვხიბლავს მაღალი აზრითა და განწყობილებით, გოგონას დედა ჰყავს ლოგინად ჩავარდნილი და სურს გაზაფხულმა განკურნოს იგი. მთა-ბარი ამიყვავე და დედა განმიკურნეო, ლექსში „მშობლის ნანა“ ავადმყოფი შვილის დედა ბუნებას შეჰვალადებს: ტურფა ვარდებო და იებო, ფრთებდანიწკლულო წყაროვ და ღამის მგოსანო ბულბულო, ჩემი პატარა ყვავილი გამიხდა ავად, მოდით და შვილის განკურნებაში დამეხმარეთო. ქალის გრძნობის დაუფინყარი სურათია დახატული პოემაში „მერცხალი“. ამ პოემას დიდი გამაკეთილშობილებელი ძალა აქვს. მის მკითხველს ავინყდება, თუ არსებობს ამქვეყნად გულგრილობა. პოეტის ბევრ ლექსში ბუნება ისე კოლორიტულად არის დახატული და გაცოცხლებული, სიტყვაც ნაკადიც ისე ბარაქიანად და ჭარბი პოეტური ექსპრესიით მოედინება, რომ უნებურად მოგაგონდებათ ვაჟა-ფშაველა. მიუხედავად ამისა, შოი მღვიმელის პოეზია უაღრესად თავისთავადია, თავისი მოღვაწეობითა და შემოქმედებით შოი ქართული საბავშვო ლექსის ტრადიციის შემქმნელი და დამამკვიდრებელია.

შოი მღვიმელი გარდაიცვალა 1933 წელს, 67 წლის ასაკში, დასაფლავებულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მისი საბავშვო ლექსების უმეტესობის გამოცემები მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება და შემდეგ სისტემატურ ხასიათს იღებს.

შოი მღვიმელის ლექსები დღესაც დიდ სამსახურს უწევენ ქართველ ბავშვებს, მისი წიგნების უმეტესობა თანამედროვე ილუსტრირებული ფორმით იბეჭდება, მაგ.:

მღვიმელი შ. რჩეული ლექსები. – თბ., 1990. – 32 გვ.

მღვიმელი შ. რჩეული პოემები. – თბ., 1996. – 320 გვ.


მღვიმელი შ. ლექსების კრებული. – 1998. – 20 გვ.

მღვიმელი შ. კრებული. – 2009. – 104 გვ.

დალი მაჩაიძე

გასანათლადად გონებისა, სალხინებადად სულისა

ვიდრე ვხატანგისეული პირველი ქართული სტამბის გამოცემებიდან გამორჩეულად წარმოვაჩინდეთ იმ ორ მხედრულ წიგნს, რომელიც ზუსტად სამისაუკუნისწინ-1711წელს შესთავაზეს ქართველ მკითხველს, გავიხსენოთ როგორ იღვწოდა ქართლის გამგებელი დაულაჟად სამეფოს აღმშენებლობისათვის. ბატონიშვილ ვახტანგს განათლებაც ჰქონდა საამისო და გულმოდგინებაც. ქმედითად ცდილობდა იგი ქვეყნის გაძლიერებას; ზრუნავდა თავისი



„დავითნი“ -1711

სამართლიანობის გაბატონებასა და წიგნიერების გავრცობას. ამ მიზნით, მან „მოიხვნა სტამბა ვლახეთით“, შეკრიბა „სწავლულ კაცთა კომისია“ და შექმნა „დასტურლამალი“ - სიბრძნით განსაზღვრული კანონთა კრებული.


თავდაუზოგავი მოღვაწეობის მიუხედავად, ვახტანგმა ვერ აისრულა საწადელი, რადგან ხანმოკლე და ძნელბედი დრო ერგო სამოღვაწეოდ. გარეშე თუ შინაურ მტერთა დაუნდობლობამ გაუცუდა მას, როგორც განმგებლობის, ისე მეფობის დროინდელი მცდელობა. რუსეთის ხიზანი გახდა სპარსელთაგან ტახტნართმეული ვახტანგ VI. სამშობლოდან გადაიხვეწა იგი მრავალრიცხოვანი, რჩეული ამალით. ერთხანს კიდევ ცდილობდა მამულის ხსნას მეფედყოფილი, მაგრამ რუსთაგან მოტყუებული და პოლიტიკურ ასპარეზზე ხელაღებული ლტოლვილად აღესრულა ასტრახანში.

სამწუხაროდ, იმ მეფეთაგანი აღმოჩნდა ვახტანგ VI, რომელსაც არ დააცადა კეთილმსახურება „ჟამმან და დრომან ამომან და ქცევად-

მან“. და მაინც მის განმანათლებლურ ღვაწლს პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიც აღიარებდნენ. ანტონ კათალიკოსმა, მტრადმოკიდებული უმცროსი ძმის, იესეს შვილმა, ასე შეაფასა ბიძის მოღვაწეობა: „ფრიად მოსწრაფე იყო მეფე იგი, რათა მეცნიერებისა ნათლისა მიმართ მიეზიდამცა სამეფოი თვისი“. დავიწყების მტვერი არ დასდებია ვახტანგ მეფის ხსოვნას, გზა არ დაუკარგავს სანთელ-საკმეველს, სამმა საუკუნემ ვერ გადაფარა მისი ნათელი კვალი, რადგან ვახტანგის განმგებლობა იყო დამაშვრავლობა მამულისათვის. ჩვენამდე მოაღწია მისი სტამბის წიგნებმა. დროსთან მორკინალი ეს გამოცემები დღესაც მიგვიხმობენ და გვანვდიან გონების საზრდოსა და სულის საშვებელს.

პირველმა ქართულმა სტამბამ დაარსების პირველსავე წელს დაბეჭდა უმთავრესი ქრისტიანული ლიტერატურა - ახალი აღთქმის „სახარება“ და „სამოციქულო“; ძველი აღთქმის - „დავითნი“; მეორე წელს გამოსცა საეკლესიო წიგნები: - ღვთისმსახურებისათვის საჭირო „ჟამნი“, „ლოცვანი“ და „კონდაკი“. ამ დროს თბილისის სტამბას უკვე მოეპოვებოდა სამი ზომის მშვენიერი ნუსხური შრიფტი. გათვალისწინებული იყო მხედრულის საჭიროებაც - სტამბის მნიშვნელობა შესამჩნევად დაკნინდებოდა, საეკლესიოსთან ერთად საგანმანათლებლო და საერო ლიტერატურაც რომ არ გამოეცათ.


ქრისტიანე შარაშიძის მოსაზრებით, მხედრული შრიფტი საქართველოში დაამზადა ვახტანგის მიერ მოწვეულმა მესტამბემ, ანთიმოზ ივერიელის საუკეთესო მოწაფემ, მიხაილ იმტვანოვიჩმა. ქართულის არმცოდნემ, მაგრამ თავისი საქმის კარგმა ოსტატმა ნიმუშად გამოიყენა კათალიკოსის მდივან-მწიგნობრისა და კალიგრაფის, სოლომონ მაღალაშვილის ხელნაწერები. ახალი შრიფტი 1710 წლის



„სწავლა თუ ვითარ მართებს...“ -1711

გამოცემებში გამოცადეს. ნუსხური „ლოცვანის“ ბოლო გვერდზე მხედრულითაა შესრულებული საგამომცემლო შენიშვნის დასასრული: „... გაიმართა ხელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგროვლახელისა“. ამნაირად წარმოდგენილი ტექსტი გვაფიქრებინებს, რომ აქ მესტამბე მიხაილი მოხსენებულია როგორც გამოცემის, ისე მხედრული შრიფტის შემქმნელად. ამავე წლის „კონდაკში“, რომელიც გამოირჩევა მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით, გამოყენებულია როგორც სხვადასხვა ზომის ნუსხური ასევე ბერძნული შრიფტიც; მხედრულითაა აწყობილი გამოცემის ბოლოს დაბეჭდილი მესტამბეთა რუმინული ლექსის ქართული, პროზაული თარგმანი.

ამრიგად, 1711 წელს პირველი ქართული სტამბა მზად იყო მხედრული გამოცემების შესაქმნელად. ვახტანგისეულ სტამბაში წიგნები ვახტანგის ხარჯითვე იბეჭდებოდა. სტამბის მუშაკები ითვალისწინებდნენ მის აზრსა და სურვილებს. არსებითად იგი წარმართავდა საგამომცემლო პოლიტიკას. და თუმცა ეს ვახტანგის სანუკვარი მიზანი იყო, რუსთველის შედევრით არ დაწყებულა მხედრული წიგნების ბეჭდვა. გულმოდგინედ ემზადებოდნენ ქართული



ლიტერატურული შედევრის გამოსაცემად: შეაჯერეს ხელნაწერები; შეიმუშავეს პოემის კრიტიკული ტექსტი; ვახტანგმა დაწერა „ვეფხისტყაოსნის“ შენიშვნები და განმარტებები. რომელნიც დაურთეს პოემის პირველ გამოცემას, რამაც იგი პირველნაბეჭდ ქართულ სამეცნიერო წიგნადაც აქცია. ოღონდ ეს მოხდა 1712 წელს. აშკარად ფრთხილობდნენ საერო გამოცემების განხორციელებისას. ამ შემთხვევებში, ქვეყნის პატრონი წიგნის ფურცლებიდან მიმართავდა მკითხველებს და ამზადებდა საზოგადოებას მის მისაღებად; ვახტანგი განმარტავდა გამოცემის დანიშნულებას; ასაბუთებდა მისი თარგმნისა თუ დაბეჭდვის საჭიროებას.


სტამბის მოღვაწეთა გონივრული წინდახედულება მჟღავნდებოდა, როგორც გამოსაცემი წიგნების შერჩევაში, ისე მათი რიგითობის დადგენაშიც. ამით უნდა აიხსნას, რომ პირველ

მხედრულ წიგნებად 1711 წელს ისევ სასულიერო შინაარსის გამოცემები შესთავაზეს ქართველ მკითხველს. ეს წიგნები იყო „დავითნი“ და გერმანე მღვდელ-მონაზონის „სწავლა...“.

„დავითნი“ – „დავითი“, ქართული ტრადიციის თანახმად, ჰქვია საგალობელთა კრებულს, რომელიც ძველი ნელთალრიცხვის XI საუკუნიდან მომდინარეობს. 20 კანონად დაყოფილი ეს წიგნი შეიცავს 150 სულიერ საგალობელს. მათი უმრავლესობა მიენერება ბიბლიურ მეფე დავითს. სახელწოდება „ფსალმუნი“ თუ „ფსალმუნთა წიგნი“ კი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან – „ფსალმ“. ეს ნიშნავს სიმღერას სიმებიანი მუსიკალური საკრავის თანხლებით. დავითი, სულიწმიდის შთაგონებით, ჯერ კიდევ მწყემსობისას, ქმნიდა და საკრავზე აჟღერებდა ფსალმუნებს. როცა უფლის მადლით ცხებულმა ჭაბუკმა შურდულით დაამარცხა გოლიათი, იგი ისრაელის მეფედ გამოარჩიეს. დავით მეფე 40 წლის მანძილზე წარმატებით განაგებდა ქვეყნას და სიცოცხლის ბოლომდე ქმნიდა უფლის სადიდებლებს. იგი აჟღერებდა მათ განსაცდელისა თუ შვების, დაცემისა თუ აღზევების ჟამს. მის სიცოცხლეშივე იკითხებოდა ფსალმუნები ძველი აღთქმის ტაძრებში. შემდეგ ქრისტი-

ანულმა სამყარომაც გაითავისა „დავითნი“. ეს წიგნი საღვთისმსახურო მნიშვნელობის ძეგლის ფუნქციას ასრულებდა. მისი კითხვა ეკლესიაში მსახურების ძირითად ნაწილს შეადგენდა. გარდა ამისა, „ფსალმუნთა წიგნი“ გამოიყენეს პირად ლოცვებშიც გამოიყენეს. ქრისტიანისათვის მნიშვნელოვანი და სასურველი გახდა მათი კითხვა ცხოვრების ნებისმიერ ჟამს. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი უპირატესობა მიენიჭა განსაზღვრულ საგალობლებს: შიცვალბულთათვის იკითხება XVII კანონი; სინანულის ჟამს — 50-ე ფსალმუნი; ხილულ თუ უხილავ მტერთა დასაძლევად — 90-ე; ხოლო ღვთისადმი მადლიერებისა და ქების გამოსახატავად აღველინება 134-ე და 135-ე გალობა.

წმინდა მამა, ეფრემ ასური, ასე განმარტავს „დავითნის“ ფუნქციას: „ფსალმუნი განანათლებს გონებას, აღმყვანებელია ზეცად და კაცთ



ღვთის თანამოსაუბრედ ჰყოფს“ საგალობელ-თა კრებულის არსისა და დანიშნულების განმსაზღვრელია დიდი მღვდელთმთავრის, იოანე ოქროპირის შემდეგი სწავლება: „ფსალუნთა გალობა ზეიმია მოხარულთათვის და ნუგეშინისცემა მოწყინებაში მყოფთათვის; ის ათვინიერებს ვნებებს, როგორც ველურ მხეცებს; ლაგამს სდებს თავშეუკავებლობას; აღბრუნებს უსამართლობას და გვერდში უდგას სიმართლეს; დაამხოვს ღვთისმგმობ ზრახვებს; კლავს ბილწ სურვილებს; გვაუწყებს ღვთაებრივ კანონს; გვიქადაგებს ღმერთს; განგვიმარტავს სარწმუნოებას; ბაგეებს დაუხშობს მწვალებლებს; აღაშენებს ეკლესიებს“. კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ძველი აღთქმიდან ჩვენს წინაპრებს უპირველესად სწორედ „დავითნი“ უნდა ეთარგმნათ, როგორც ღვთისმსახურებაში გამოსაყენებელი და იმავდროულად, ყველაზე სახალხო წიგნი. ეს კი მეოთხე თუ არა, მეხუთე საუკუნეში მაინც უნდა მომხდარიყო. საქართველოში ფართოდ გავრცელდა „ფსალმუნთა“ კანონიკური რედაქცია, რომელიც XI საუკუნიდან მომდინარეობს და ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, გიორგი მთაწმიდელის სახელს უკავშირდება. ამ რედაქციას ეყრდნობა ვახტანგის სტამბის გამოცემებიც.

1711 წლის „დავითნი“ ამ წიგნის პირველი მხედრული გამოცემაა. იგი განხორციელდა სიონის ტაძრის დეკანოზის გაბრიელის რედაქტორობით. ტექსტს ერთვის: ათანასე ალექსანდრიელის ფსალმუნთა განმარტებანი; ცხრილი მათი წაკითხვის წესებით; ებრაული და ქართული ფსალმუნების შედგენილობა. ეს წიგნიც, როგორც მიხაილ იმტვანოვიჩის სხვა გამოცემები, ავლენს მესტამბის ოსტატობას. იგი გაფორმებულია გრაფიურებით, მხატვრული ჩარჩოებითა და თავსამკ-ბოლოსამკებით. აქაც ვხვდებით ამ სტამბის გამოცემებისათვის ტრადიციულ ვახტანგის ანდერძსა და პორტრეტს. ეს გამოცემა გამოირჩევა ჩართული ლექსების სიუხვითაც: დავით მეფის გრაფიურის ქვეშ, მისადმი მიძღვნილი ბერნული ლექსია; ტექსტის ბოლოს – მესტამბეთა ლექსი; ბაგრატიონთა გერბთან კი „ბეჭდის იგავის“ ამხსნელი. ეს ლექსი ქართველ ბაგრატიონებს დავით წინასწარმეტყველის პირდაპირ შთამომავლებად აცხადებს. იგი ასახავს ამ სამეფო დინასტიის ღვთაებრივი

წარმოშობისა და მათი მეფობის მარადიულობის იდეას. დასახელებულ ლექსში ქართლი გამოცხადებულია „უფლის კვართის“ მფლობელ, უძველეს ქრისტიანულ სახელმწიფოდ, წარმოჩენილია ღვთისმშობლის ნათესაობა და მისი მფარველი მეოხება საქართველოს მიმართ. ვფიქრობთ, დავითის საგალობლების საზოგადო მნიშვნელობასთან ერთად, ბაგრატიონთა მეგვარტომეობის ეს იგავი, კარგად ხსნის ქართველთა გამორჩეულ დამოკიდებულებას ამ წიგნისადმი. შემთხვევითი არაა, რომ მარტო ვახტანგ VI-ის სტამბაში „დავითნი“ 4-ჯერ დაიბეჭდა: პირველი გამოცემა 1709 წელს განხორციელდა ფორმატთან შეუსაბამო მსხვილი ნუსხურით. მაშინ სტამბას სხვა შრიფტი არ გააჩნდა და საფიქრებელია, რომ ასეთ გამოცემას დიდი ტირაჟით არც განახორციელებდნენ. ეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული. 1711 წელს დაბეჭდილ მხედრულ „დავითნს“ მალევე მოჰყვა 1712 და 1716 წლების ნუსხური გამოცემები. გავიხსენოთ, რომ „დავითნი“ იყო რუსეთში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნიც. იგი 1705 წელს გამოიცა მოსკოვში ქართველი ხიზანი მეფის–არჩილ ბაგრატიონის მცდელობით. ბაქარ ბატონიშვილმაც რუსეთში ქართული წიგნბეჭდვის განახლების პირველივე, 1737 წელს, „დავითნი“ დააბეჭდვინა. „ფსალმუნნი“ გამოსცა უპირველესად იმერეთის მეფე სოლომონ II-მაც ქუთაისში 1800 წელს.



საქართველოს ბიბლიოთეკის კოლექციის ნაწილი

როგორც აღვნიშნეთ, 1711 წელს თბილისის პირველ ქართულ სტამბაში განახორციელეს მეორე მხედრული გამოცემაც – „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“. გერმანე მღვდელ-მონაზონის ეს ნაშრომი პირველი ბეჭდური სახელმძღვანელოა, შედგენილი ქართველი ავტორის მიერ. გერმანე თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი იყო. მანამდე მისი რედაქტორობით განხორციელებულა 1710 წლის „კონდაკი“, ვახტანგის სტამბის საუკეთესო გამოცემად აღიარებული წიგნი. მის თავფურცელზე ვკითხულობთ: „გაიმართა ხელითა გერმანე მღვდელ-მონაზონისათა“. გერმანე ბერის განსწავლულობა და დასახული ამოცანის შესაფერისად განხორციელების უნარი თვალსაჩინოდ გამოვლინდა მის სახელმძღვანელოში. ვახტანგის სტამბის ტრადიციისამებრ, ამ წიგნშიც გვხვდება ვახტანგის ანდერძი; ტექსტს ასევე

1711 წელს თბილისის პირველ ქართულ სტამბაში განახორციელეს მეორე მხედრული გამოცემაც – „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“. გერმანე მღვდელ-მონაზონის ეს ნაშრომი პირველი ბეჭდური სახელმძღვანელოა, შედგენილი ქართველი ავტორის მიერ. გერმანე თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი იყო. მანამდე მისი რედაქტორობით განხორციელებულა 1710 წლის „კონდაკი“, ვახტანგის სტამბის საუკეთესო გამოცემად აღიარებული წიგნი. მის თავფურცელზე ვკითხულობთ: „გაიმართა ხელითა გერმანე მღვდელ-მონაზონისათა“. გერმანე ბერის განსწავლულობა და დასახული ამოცანის შესაფერისად განხორციელების უნარი თვალსაჩინოდ გამოვლინდა მის სახელმძღვანელოში. ვახტანგის სტამბის ტრადიციისამებრ, ამ წიგნშიც გვხვდება ვახტანგის ანდერძი; ტექსტს ასევე

ახლავს წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა. მათი მეშვეობით ავტორი გვაცნობს თავისი ნაშრომის შექმნისა და დაბეჭდვის წინაპირობებს წარმოგვიდგენს წიგნის არსს. „აღესწერე სარწმუნოება ჩვენთა სარწმუნოებათაგან შემოკლებით გამოკრებული და მცირედი რამ სწავლა შვიდის საიდუმლოსი“ – წერს გერმანე ბერი. აქვე ვლინდება წიგნის დანიშნულება; ცხადი ხდება, რომ სახელმძღვანელოს ავტორი იცნობს და იზიარებს იმდროინდელ საქართველოში აღიარებულ სწავლა-აღზრდის პრინციპს: დოზირებულად, მარტივად და გასაგებად მიაწოდოს მკითხველს შესასწავლი მასალა, მით უფრო თუ წიგნი ყმაწვილებისათვისაა განკუთვნილი. ამითვე აიხსნება გამოცემის მხედრული შრიფტით დაბეჭდვაც. გერმანეს სწავლება აგებულია დიალოგის, კითხვა-პასუხის ფორმით, სათქმელი კი „საერო და სოფლური სიტყვით“ გამოხატული. შეგნებულად იცავს ამ წესს, ავტორი. რადგან მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვნად აიოლებს შესასწავლი მასალის გააზრებასა და დამახსოვრებას. რაც საუკეთესო საშუალებაა ყმაწვილების სწავლისაკენ მისაზიდად.


გერმანე ბერის აზრით, სახელმძღვანელოს ავტორს არ ებატიება „მუცლით-მეზღაპრეობა“ – სწავლების აგება სიცრუეზე დაყრდნობით; სახელმძღვანელო უნდა ეფუძვნებოდეს ჭეშმარიტებას, რომ მისი მეშვეობით „ყრმანი, ახლადმოსწავლენი მეცნიერებად ღმრთისა მივიდოდენ“. ღვთის შემეცნება, ქრისტიანობის ნამდვილ არსში წვდომა და რწმენაში გაძლიერება – აი, ეს იყო გერმანე ბერის სწავლების მიზანი და დანიშნულება. ყმაწვილთა გონებისა და ცხოვრების აქეთკენ მიმართვა ყოველთვის სასურველია, მაშინ კი ეს არსებითი იყო. მიიმე ყამი იდგა ქართველთათვის. მტერმრავალ ქვეყანაში აშკარა გახდა სარწმუნოებრივი არამდგრადობა, ზნეობის დაცემა და წიგნიერების კლება. მაჰმადიანი დამპყრობლები მთელი ძალით უტყევდნენ საქართველოს, ცდილობდნენ ქრისტიანობის აღმოფხვრასა და თავისი რჯულის დამკვიდრებას. ამას ემატებოდა


მართლმადიდებლების ფარული თუ აშკარა გადაბირების მცდელობა კათოლიკეთა და გრიგორიანელთა მხრიდან. ამ ფონზე, გერმანე ბერი თავდასაცავ იარაღად სთავაზობდა ყმაწვილებს სწორედ მათთვის „შემოკლებულად თქმულსა და გარიგებულ“ სწავლებას. „იკითხევდით და ზეპირად დაისწავლიდით“ – ითხოვდა მათგან გერმანე და ურჩევდა, რომ ცოდნით აღჭურვილიყვნენ პიროვნული და ეროვნული ღირსების დასაცავად. წიგნის ავტორი მოუწოდებდა მათ, არ გამხდარიყვნენ „ჩვენგან განშორებულთა მწვალებელთ შვილთაგან დაწუნებულნი და სიტყვაუგებელნი“.

ასეთი მნიშვნელოვანი მისიის მქონე ეს მართლმადიდებლური სახელმძღვანელოც. ვახტანგ ბატონიშვილის ხარჯით დაიბეჭდა საგამომცემლო საქმეში გაღებული უდიდესი წვლილისა და დიდძალი „საფასის წარგების“ გამო, გერმანე ბერი მამულის რჯულის გამაძლიერებელსა და „ქრისტეს სარწმუნოებისათვის ცეცხლებრ მოტყინარიც“ უწოდებდა ვახტანგს. აფასებდა და პატივს მიაგებდა კაცს, რომელმაც „აავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელიც დაკლებული იყო ყამთა ვითარებისაგან და მდევართაგან ქრისტეს რჯული-სა“.

გერმანე ბერის საგანმანათლებლო ღვაწლსა და მისი სახელმძღვანელოს ღირსებაზე მეტყველებს, რომ გამოცემას იმთავითვე ვერ დაუკმაყოფილება წიგნზე მოთხოვნა. მაშინვე და შემდეგ საუკუნეშიც არაერთხელ გადაუნუსხავთ მისი შრომა. იგი გაუვრცელებიათ ხელნაწერთა სახით, როგორც დამოუკიდებელ წიგნად, ისე სასულიერო კრებულებში ჩართვით. 1711 წლის გამოცემამ მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც მოაღწია ჩვენამდე. შემორჩენილია ამ სახელმძღვანელოს ხელნაწერებიც: საქართველოს სახელმწიფო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული იყო მე-18 და მე-19 საუკუნეებში გადაწერილი 4 ნუსხა (N 361; N 98 N 427; N 658).

გერმანე ბერი ბოლომდე ერთგული და თანამ-





დგომი დარჩენილა ვახტანგ მეფისა. მასთან ერთად გადახვენილა რუსეთში. ხოლო, როცა იქ ბაქარ ბატონიშვილის თაოსნობითა და იოსებ სამებელის ხელმძღვანელობით ქართული წიგნების გამოცემა განახლდა, გერმანე ვახტანგ ამ საქმის თანამონაწილეც. 1738 წელს მოსკოვში დაბეჭდეს „ზატიკი“. წიგნის ბოლოსიტყვაობაში ქრისტეფორე გურამიშვილი გვამცნობს: რომ ამ წიგნის „საგალობლის საძლისპიროს წინწილს არქიმანდრიტი გერმანე სჩხრეკდა და ასწორებდა“. 1739 წელს მოსკოვში გამოსცეს გაბრიელ ჩხეიძის მიერ რუსულიდან თარგმნილი „პირველ სასწავლო ყრმათა“. გერმანე არქიმანდრიტს გაუმართავს ქართულ ენაზე თეოფანე პროკოპოვიჩის დასახელებული სახელმძღვანელო. დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული.

ასეთი რუდუნებით იღვწოდა ქართლის განმგებელი და პირველი ქართული სტამბის მომუშავე ვახტანგი. ასე თავდადებით გააზრებულად და წინდახედულად შრომობდნენ სტამბის სხვა მომუშავეებიც. ერთიანი ძალით ემსახურებოდნენ ისინი უმთავრესი ამოცანის გადაწყვეტას: თბილისის სტამბის გამოცემები მაშინდელი საგამომცემლო მიღწევების შესაბამისი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე გამოსადეგი „გასანათლებელად გონებისა და საღბინებელად სულისა“. უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით აღასრულეს ეს მისია. ბუნებრივია, ამჯე-

რად არაფერს ვამბობთ თითოეული მათგანის შესახებ, აღვნიშნავთ ოღონდ, რომ ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები დროდადრო უდაოდ შეგვახსენებენ თავს და მოგვასურვებენ, მეტი გავიგოთ და დავწეროთ მათი შემქმნელებზე. შესახებაც; კვლავაც მივებახლოთ საუკუნეთა წინ გარდასულთა შრომის, ფიქრისა და განსჯის საგანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

შარაშიძე ქრისტინე. პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722) – თბ., 1955. 214 გვ.

გუგუშვილი პაატა, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. 7. ქართული სტამბის წიგნი. 1629-1979. – თბ., 1984. 894 გვ.

ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემები (1709-1722). საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციის აღწერილობა. – თბ., 2009. 165 გვ.

ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციის აღწერილობა. ტ. I. – თბ. 2010. 489 გვ.

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა. I. – თბ. 1949. 302 გვ.

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა. II. – თბ. 1950. 302 გვ.

გურამ თაყნიაშვილი

„დედა ენა“ – 135

„დედა ენა“: პირველი გამოცემა, პირველი კრიტიკოსები.

წერილი 3

„დედა ენის პირველ გამოცემას, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოეხმაურა იმდროინდელი პედაგოგიური საზოგადოება, ინტელიგენცია, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. კრიტიკული შენიშვნები და დადებითი რეცენზიები ქვეყნდებოდა პერიოდულ გამოცემებში: „დროება“, „კვალი“, „იმედი“, „ივერია“ და სხვ. 1880-იან წლებში „დედა ენის“ ავტორს ცხარე კამათი გაუმართა ალ. მირიანაშვილმა. იგი გამოცდილი პედაგოგი იყო, შედგენილი ჰქონდა... პასუხი. 1883 წელს „დროების“ კორესპონდენციაში მან უარყოფითად შეაფასა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ (1). საპასუხო წერილში ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ „დროებამ“ „კენჭი გვესროლა“ (2), თუმცა ამით ვერა <?>

დაგვაკლო რაო. მეორე უფრო ვრცელ წერილში „თანამედროვე გოლითს“ (3) ალ. მირიანაშვილმა თანამედროვე მასწავლებლის თვალთახედვით გაარჩია „დედა ენა“ და საკუთარი მოსაზრებები ჩამოაყალიბა სახელმძღვანელოს შესახებ. „იგი წერს: ი. გოგებაშვილი გოლიათის რიხით გაიძახის: „გამოდით, ვისაც გნადიათ, თუნდაც თითო-თითონი, თუნდაც ასობით, რამე გაიტანოთ, მაშინ წადით და დაიკვებეთ“. მირიანაშვილი პასუხობს: „ჩვენ ვერ მივმხვდარვართ, რით დავიმსახურეთ გოგებაშვილისაგან ასეთი გადამეტებული განრისხება“ და მიმართავს იაკობს: „ნუთუ ყველა, ვინც თქვენს წიგნებზედ ხმას ამოიღებს უეჭველად ზნეობით და გონებით დაცემულია, ნუთუ განათლების განმახორციელებელმა შუქმა მართო თქვენს გონებაში შემოაშუქა და მოახდინა

სანეტარო ცვლილებები და სხვები კი წრეს გარეთ დარჩენენ“.¹

ალ. მირიანაშვილს არ მოსწონს ი. გოგებაშვილის კატეგორიული განცხადება: „ჩემი „დედა ენის“ მსგავსი არც ყოფილა და არც ოდესმე იქნებაო“. მირიანაშვილი საყვედურობს იაკობს „მოგვეცით „დედა ენად“ და „ბუნების კარად“ უკეთესი სახელმძღვანელოები, რომ მით ჩვენი საქმე წინ წაიყვანოთო“.


„ი. გოგებაშვილი ცდილობს წაგვართვას ყოველგვარი ზნეობითი და იურიდიული ნება მისი წიგნების შესახებ ბაასზე“ – წერს ა. მირიანაშვილი. ი. გოგებაშვილი უსაფუძვლოდ მიიჩნევს ოპონენტის შედაგებას და კატეგორიული ტონით პასუხობს: „თუ მსხვილმა კაცებმა ამ წიგნებს ვერადააკლეს რა, რა უნდა დაუშვან უსუსურმა ლილიპუტებმა“. მირიანაშვილი აგრძელებს კამათს და პასუხობს: „რა გაგხდომიათ ეგ თქვენი წიგნები, რომ ვერც ლილიპუტებს შეუძლიათ მათი დარღვევა, და ვერც მსხვილ კაცებს?“ „თქვენი სახელმძღვანელოები, – წერს მირიანაშვილი, – არიან მხოლოდ მიმბაძველნი, თუმცა ამ მიმბაძველთა კარგად ვერ არიან დაახლოებული“. მირიანაშვილის აზრით გოგებაშვილი ბაძავს უშინსკის „Родное Слово“-ს, იგი არის მშობელი „დედა ენისა“, ხოლო „Детский мирь“- „ბუნების კარისა“. არ ყოფილიყვნენ პირველნი, არ დაიბადებოდნენ მეორენი“. ალ. მირიანაშვილი ცდილობს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე საკუთარი შეხედულებები გამართოს საკუთარი ცოდნით, გამოცდილებით. იგი წერს: „თუ მე თანამდებობით მასწავლებელმა, რომელსაც ყოველ დღე წლიდან წლამდე მიჭირავს „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ არ ამოვიღე ხმა ამ თქვენს სახელმძღვანელოებზედ, მაშ სხვა ვისმე რა გული შესტკივა?“

ა. მირიანაშვილის ბრალდებებს ი. გოგებაშვილმა საფუძვლიანი პასუხი გასცა გამოცემულ წერილში „ნკიპურტის ნიმუში“ (2). იაკობი, რა თქმა უნდა, უპასუხოდ არ დატოვებდა ა. მირიანაშვილის აზრს იმის შესახებ, რომ „დე-

და ენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორი კაბინეტის კაცია, ... თვალთაც არ უნახავს და ამიტომ მისი წიგნების ნაცრად ქცევა ადვილი საქმეაო, საჭიროა მხოლოდ რომელიმე უსუსურმა შურდულივით კენჭის სროლა გაბედოსო“. იაკობი პასუხობს, რომ სახალხო მასწავლებლების დიდმა ნაწილმა იცის, რომ ჩვენ თერთმეტი წლის განმავლობაში ვასწავლიდით სხვადასხვა დროს გეოგრაფიას, არითმეტიკას, ისტორიას, რუსულ ენას, ქართულ ენას, მეტყველებას, ლიტერატურის ისტორიას“, – ამიტომ, განაგრძობს ი. გოგებაშვილი, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი სახელმძღვანელონი არიან ნაყოფნი დედუქტიური მოსაზრებისა

და პრაქტიკული გამოცდილებისა. ი. გოგებაშვილი შორს არის იმ მოსაზრებისაგან, რომ არავის არა აქვს უფლება საკუთარი აზრი გამოთქვას სახელმძღვანელოების შესახებ: „ნამდვილი ნაკლოვანებების დასახელება, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ განვითარებული, გამოცდილი და პატიოსანი პირისათვის, მათი დანაცრების წადილს განზრახავს მხოლოდ უსუსური, რომელსაც არ ესმის არც თავისი სისუსტე, არც მონინაალმდეგის ძალა, იგი ნაცრად ამ წიგნებს ვერ აქცევს“. „საქმე ის გახლავთ, აგრძელებს ი. გოგებაშვილი, – რომ „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ აკმაყოფილებენ უმთავრეს მოთხოვნილებებს“, „რომ

„დედა ენა“ იპყრობს მდიდარ მასალას ენის შესწავლისათვის, რომელიც ამორჩეულია ხალხის სიტყვიერის ნაწარმოებებიდან“. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შედგენა მიაჩნია ფრიად ეროვნულ და საპასუხისმგებლო საქმედ, „სახელმძღვანელოს შედგენა, შექმნა შეუძლიან არა გაუხსნელს პრაქტიკას, არამედ განვითარებულს პირს, რომელსაც პედაგოგიურს გამოცდილებასთან მეცნიერება შესწავლილი აქვს“. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, იაკობი ურჩევს ა. მირიანაშვილს – „თუ ძალა და ღონე გაქვს, მოიკრიფე იგი და დაამყარე შენს საქმეზედ, რომ საზოგადოების წინაშე ნათლად გამოხვიდე, თორემ თუ შურდულით კენჭების



სოლას მოჰყევი, შენს საქმესაც ნაცრად აქცევ, და თვით შერცხვენილი და დაზიანებული შეგრჩება უკანვე დაბრუნებული ქვებით“.

„დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ მნიშვნელობის შესახებ მათი ავტორი იმონუმებს უცხოელი ავტორების, ან უცხოეთში მცხოვრები ქართველების მოსაზრებებს აღნიშნული სახელმძღვანელოების შესახებ: „ქართველი მოზარდი თაობა სწავლობს თავის ეროვნულ ენას უმთავრესად ორი სახელმძღვანელოს შემწეობით: „დედა ენით“ და „ბუნების კარით“. ეს ორი მთავარი ქართული სახელმძღვანელო სდგას იმავე სიმაღლეზე, რომელზედაც სდგანან საუკეთესო ევროპული სახელმძღვანელონი“ – ეს სიტყვები ეკუთვნის გერმანელ მწერალსა და პუბლიცისტს არტურ ლაისტს. (4).

ა. მირიანაშვილთან კამათი ი. გოგებაშვილმა დაამთავრა მცირე წერილით „უკანასკნელი სიტყვა“ (5), სადაც იგი წერს „ა. მირიანაშვილის წერილი მოკლებული ყოველგვარ ნაყოფიერ აზრს, ეს არის მხოლოდ სიტყვების რახა-რუხი, უკბილო ირონია და ჭორიკნობა, თუმცა ეტყობა გამოცდილი ლიტერატორის ხელი“.

ი. გოგებაშვილისა და ა. მირიანაშვილის კამათი მიმოიხილა ი. ბაქრაძემ წერილში „გაზაფხული და ჩვენი მწერლობა“ (6). ი. ბაქრაძეს მოყავს მირიანაშვილის აზრი იმის თაობაზე, რომ „ბუნების კარი“ და „დედა ენა“ ჩვენს სიმდიდრეს შეადგენენ, რომელნიც ხეზე გადარჩენილს, ნამეტნავად დამნიფებულს ნაყოფსავით დღე-დღეზე მოელიან ერთი პატარა ცელქი ყმანვილის შურდულს, რომელსაც ადვილად

შეუძლიან მალა კენწეროდან ძირს მინაზედ დასცეს და მტვრად აქციოს“. ბაქრაძე ურჩევს მირიანაშვილს „შურდულის ნაცვლად აელო და გოგებაშვილისათვის დასამტკიცებელი საბუთები ესროლა. მირიანაშვილმა ვერც ცელქი ყმანვილის როლი იკისრა და ვერც ჭკუადამჯდარი მირიანაშვილისა! ი. ბაქრაძე, რა თქმა უნდა, დადებითად აფასებს ორივე სახელმძღვანელოს ადგილს და მნიშვნელობას ქართული პედაგოგიური აზრის ისტორიაში, მაგრამ არც ი. გოგებაშვილს სტოვებს შენიშვნის გარეშე. მისი აზრით „არც გოგებაშვილი მოექცა მირიანაშვილს უკეთესად, მას ყურადღება არ უნდა მიექცია ლიტონი სიტყვებისათვის, ამის ნაცვლად, მან ი. გოგებაშვილმა დაიწყო თავისი სახელმძღვანელოებისათვის „შესხმა ხორცისა ხშირისა“.

ი. გოგებაშვილს საკუთარი სახელმძღვანელოების ღირსების დაცვა უწევდა ცხარე პოლემიკურ ბრძოლებში. ამ პრობლემას იგი განიხილვდა ეროვნული ღირებულებებიდან, ქართული ენის სწავლებისა და მისი გამდიდრების პოზიციებიდან.

ლიტერატურა

ბიბლიოგრაფია // დროება – 1883. – № 62.

დროება – 1883. – № 68.

დროება – 1883. – № 75.

გოგებაშვილი ი. რჩეული თხზულებანი. – თბ., 1990. ტ. 4, – გვ. 645.

გოგებაშვილი ი. უკანასკნელი სიტყვა // დროება – 1883. – № 80.

დროება – 1883. – № 81.

ღირსეულთა პორტრეტები

ეთერი ქამუზაძე

დ. ასათიანის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი

აგაბდარი ქალბატონი


მზიანი გულის, განსაკუთრებული ხიბლითა და სითბოთი დაჯილდოებული – აი, ასეთია ქალბატონი ლილი ჯანგველაძე, რომლის ლექსთა კრებულის „გულით გლოცავთ“ პრეტენზაცია გაიმართა 2010 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში.

ის კეთილი, უაღრესად თბილი, ყურადღებიანი, დიდი სათნოების ადამიანია. ამავე დროს რთული ცხოვრების თანაზიარი ქალბატონი ლილი წარმოშობით აფხაზეთიდანაა, რაც დიდ ტკივილთან, ცრემლთან და მშობლიური

კუთხის მონატრებასთან არის დაკავშირებული. იგი აფხაზეთში მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილების გამგედ. მინიჭებული აქვს საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება.

1979 წლიდან მან მოღვაწეობა გააგრძელა ქ. თბილისში და 28 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მეაბრეშუმეობის სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

2008 წლიდან მან მოღვაწეობა განაგრძო სა-



ქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. უნივერსიტეტის რექტორის პროფ. გიორგი გაგოშიძის, ლიტერატურული აღმანახის „ჩემი ჰობი პოეზია“ მთავარი რედაქტორის პროფ. ლერი ნოზაძის, სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მაია კერვალიშვილის, კონსულტანტის იზარი პატარაიას, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დირექტორის გიორგი გეგელიას, ქალბატონების ლალი დოლიძის და თამთა ჯაფარიძის გულისხმევით ჩატარდა ქალბატონ ლილი ჯანგველაძისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, რომელიც საინტერესოდ წაიყვანა ქალბატონმა ლეილა შოთაძემ.

პრეზენტაციის მონაწილეებს მიესალმა აგრარული უნივერსიტეტის რექტორი გიორგი გაგოშიძე, რომელმაც ისაუბრა როგორც ქალბატონ ლილის საბიბლიოთეკო დარგში 52 წლიან მოღვაწეობაზე. ასევე მის პოეზიაზეც.

პოეტის ლექსი „აფხაზეთი ჩემი ტკივილია“, რომელსაც ფონად გასდევდა აფხაზეთის ხედების ჩვენება, წაიკითხა ტექნოლოგიური ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტმა გიორგი სვანიძემ. ქალბატონ ლილის საკუთარი ლექსი უძღვნა აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელმა იზოლდა ღონდაძემ, რომელშიც გამოხატა ის დიდი სიყვარული და მეგობრული დამოკიდებულება, რაც მას გააჩნია ქალბატონი ლილის მიმართ.

გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლებმა: პროფ. ალინა ცხომარიამ, პროფ. ბესიკ საკანდელი-

ძემ, პროფ. ჯემალ შენგელიამ. ქალბატონ ლილის თანაკლასელმა იზოლდა ჩხარტიშვილმა და თანაკურსელმა – ლილი აბრამიშვილმა დიდი სიყვარულითა და სითბოთი გაიხსენეს განვლილი წლები.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელი გურამ თაყნიაშვილი, ბიბლიოთეკატმცოდნე ღვანლმოსილი ქალბატონი დარეჯან კოტეტიშვილი, მამუკა ლომაშვილი და სხვები.


პრეზენტაციას სტუმრობდნენ აფხაზეთის მკვიდრნიც, რომლებმაც საკუთარი ლექსებით გამოხატეს მონატრება მშობლიური კუთხისადმი. ქალბატონი ია მაისაიას და პროფ. თემურ ნაყოფიას ლექსებმა ცრემლი მოჰგვარა დამსწრე საზოგადოებას, ცრემლნარევი სიტყვით გამოვიდნენ ქალბატონები შორენა ფილია და მერი ფოცხვერია.

იყო ცრემლი, სევდა, მონატრება და

დიდი იმედი აფხაზეთში დაბრუნებისა. შემდეგ უწყვეტ ნაკადად წამოვიდა ქალბატონი ლილის ლექსები მიძღვნილი მეგობრებისადმი, თანამშრომლებისადმი, იყო სიმღერები, მოგონებები. პრეზენტაცია ქალბატონმა ლილიმ საკუთარი ლექსით დაამთავრა:

„თქვენ ყველანი ჩემს გულში ხართ, სიყვარულით გამოსავთ, ყოველ წუთს და ყოველ წამში მთელი გულით გლოცავთ“.

ასეთივე სიყვარულით გლოცავთ ქალბატონო ლილი, მეგობრები, თანამშრომლები, თანაკლასელები, თანაკურსელები, თანაქალაქელები. გამადლობთ არსებობისათვის!




გურამ თაყნიაშვილი

ორკერძი შეშავილი

ლილი ჯანგველაძის პორტრეტისათვის

ქალბატონი ლილი თავისი ფიზიკური და სულიერი წყობით პირველსავე შეხვედრაზე ტოვებს წარუშლელ შთაბეჭდილებას; სახე მისი მუდამ სხივმოსილია და ვარდისფერი; გულითადი ღიმილი ამშვენებს მის ცეცხლოვან თვალებს, საიდანაც სიტბოს სხივი გამოსჭვავის ისეთი ძალით, რომ მოსაუბრეს უმალ ამშვიდებს; მის ირგვლივ მყოფნიც ასეთები არიან – სახემღიმარნი, მშვიდნი, ხმადაბლა მოსაუბრენი. თვითონ ლილის ფაქიზი სულის სამყარო გაციხსკროვნებულია აზრით, რწმენით, ერთი შეხედვით თითქოს არაამქვეყნიური აღტაცებითა და კდემამოსილებით. სიტყვა მისი დაბალია, თბილი, მართალი ქართულით თქმული და დამაჯერებელი; აზრი თავისუფალი, თავისთავადი, ადვილად აღსაქმელი, გონებაში პირდაპირ შემადღწევადი; ასეთია მისი ლექსიც: მოკლე, აზრიანი, მუსიკალური, საამოდ მოსასმენი, სიმღერის სადარი. მისი ლექსები ძირითადად მიძღვნილი ხასიათისაა:...

ესიყვარულება კოლეგებს, მეგობრებს, თანამემამულეებს. ეს ჟანრი ლექსებისა ადვილად გამოხატავს ავტორის გულისხმადებს, სიტბოსა და სიყვარულს, რომელსაც სხვა ფორმით ალბათ ასე ვერ გადმოსცემდა იმ სურვილებს, რომლითაც აღსავსეა თითოეული სტრიქონი. შრომა მის ირგვლივ მყოფი ადამიანებისა მსუბუქია, ხალისიანი, თითქოს გასართობი რამ იყოს; სტილი ასეთი შრომისა თავად შექმნა ქალბატონმა ლილიმ – ჩადო რა მასში ღრმა შინაარსი, სიყვარული და



ადვილად აღსაქმელი, გონებაში პირდაპირ შემადღწევადი; ასეთია მისი ლექსიც: მოკლე, აზრიანი, მუსიკალური, საამოდ მოსასმენი, სიმღერის სადარი. მისი ლექსები ძირითადად მიძღვნილი ხასიათისაა:...

მშრომელისთვის სიამოვნების მომნიჭებელი ძალა. ქალბატონ ლილის ყოველდღიური საქმიანობა – წიგნის გარემოში ტრიალი, უცნობ ავტორთა აზრების შეცნობა, თვითგანათლების დაუოკებელი წყურვილი, ცოდნისა და გამოცდილების განფენა-გაზიარება;

მისი პატარა ლექსების კრებულიც ზოგადაადაამიანურ ღირსებებს ეძღვნება; ავტორს არსად ღალატობს ზნეობრივი ინტუიცია, ლექსის ყოველი სტრიქონი სულიერ კეთილშობილებას ღალადებს. ამ კრებულის ავტორი არ გახლავთ ზეციურ საუნჯეთა მაძიებელი, იგი მყარად დგას ქართულ მიწაზე და უფალს ევედრება დაბრუნდეს იქ, სოხუმში, სადაც მან ბავშვობა გაატარა, სადაც იგემა ამა სოფლის სიავე და სიამტკბილობა, პოეზი-

ის ღვთიური ძალა, რომლის ძალითა და მადლითაც შექმნა ეს პატარა, მაგრამ სიყვარულით დანერგილი კრებული.



ახალი გამოცემები

ამერიკელი ბიბლიოთეკათმცოდნის ნაშრომი ქართულ ენაზე

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ ქართულ ენაზე გამოაქვეყნა ამერიკელი ბიბლიოთეკათმცოდნის დებორა ა. რობერტსონის მეტად საყურადღებო ნაშრომი, რომელიც ჩვენი მკითხველისათვის ფრიად მნიშვნელოვან გამოცემას წარმოადგენს (რობერტსონი დებორა ა. კულტურის პროგრამები ბიბლიოთეკებისათვის: ბიბლიოთეკების, საზოგადოებისა და კულტურის დაკავშირება ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისი; სიუზან ბრანდეჰოფის, მერი დევის ფურნიეს და ლაურა ჰაიესის დახმარებით. – [თბ., 2011]. = 135 გვ). ნაშრომი ინგლისურიდან თარგმნა მაია სიმონიშვილმა; რედაქტორები არიან: ლეილა ზამბახიძე, ლაშა გველესიანი და ლილი საყვარელიძე.




წყნული პროგრამები; 6. ტალანტი და წარმოდგენა; 7. კულტურის პროგრამების დაფინანსება; 8. მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა პროგრამებისათვის. ნაშრომი სრულდება დასკვნით, რასაც მოსდევს დანართი: ხუთვარსკვლავიანი პროგრამები და ბოლოს მოცემულია ლიტერატურა.

ნაშრომი საინტერესოა იმით, რომ მასში დამუშავებულია მრავალი ახალი მეთოდი და ფორმა, მოცემულია რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკარებს დაეუფლონ მკითხველებთან მუშაობის მართვის წესებს და ტექნიკას, მაგრამ ეს წიგნი იმითაც არის საყურადღებო ჩვენთვის, რომ თანამედროვე დაბალი პროფესიული კულტურის მქონე მომუშავე პირებისა და საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელებს, რომლებიც მომრავლებულნი არიან ამჟამად, დაანახოს, რომ მსოფლიო საბიბლიოთეკო სფეროში კვლავ არსებობს ურთულესი პროგრამები, რომელზედაც სპეციალისტები მუშაობენ და რეკომენდაციებს იძლევიან, ხოლო ჩვენს ქვეყანაში ასეთი პროგრამები ნაკლებად მუშავდება.

წინასიტყვაობის შემდეგ ტექსტი გაშლილია თავებად: 1. კულტურის პროგრამების ჩამოყალიბება, 2. დაგეგმვა: მიზეზებიდან შეფასებამდე და პირიქით; 3. მონაწილეობის უზრუნველყოფა: აუდიტორიისა და ინტერაქტიული ჩართულობის განვითარება; 4. თანამშრომლობა; 5. ციკლები, ფორმატები, თემები და შერ-

„გურული ლექსიკონის საუნჯის შესაქმნელად“

პროფესორი გუბაზ გოგატიშვილი ასე ასათაურებს თავის სტატიას, რომელიც წინ უძღვის შოთა მალაზონიასა და თემურ მალაზონიას ნაშრომს – „გურული მამათური ლექსიკონი“. წიგნის გამოცემა განახორციელა გამომცემლობა „კალიგრაფმა“ 2010 წელს, შეიცავს 130 გვერდს და საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული. რედაქტორია პროფ. გ. გოგატიშვილი. როგორც ის წერს, გურული ლექსიკონის დიდ ნაწილს ლიტერატურული ქართულის ნი-



ადაგზე აღმოცენებული სიტყვები შეადგენს. მთელი რიგი სიტყვები საერთოა ან ძალზე ახლოსაა ქართველურ ენებთან – ლაზურ-მეგრულთან, სვანურთან და უცხო ენობრივ სამყაროდან შემოსულ სიტყვებთან. ლექსიკონში მოცემული მრავალი სიტყვა პირველად გამოდის სამზეოზე; ისინი არ ჩანს წინამორბედავტორთა გამოცემებში. სიტყვები მოცემულია დაჯგუფებულად: ჯერ მთავარი ლექსიკური მასალა; მას მოსდევს „ლიტერატურული

სიტყვები, რომლებიც გურულ მეტყველებაში სხვა მნიშვნელობითაც იხმარება, შემდეგ – „თქმები“, „ხალხური რწმენა“, „ჩვეულებები“, „იგავები (ანდაზები)“, „ასახსნელები (გამოცანები)“, „დალოცვა“, „წყევლა“. ბოლოს ლექსიკურ მასალას ერთვის რამდენიმე ხალხური ლექსი – შესალოცი, ნათვალავისა და ენის გა-

სატეხები. ყოველივე ეს ლექსიკოგრაფიულ შრომის ფარგლებს სცილდება და ეთნოგრაფიულ დატვირთვასაც იძენს.

ეს გამოცემა გამოირჩევა მაღალი მეცნიერული კვლევის ნიშნით, მაგრამ, ამავე დროს, მეტად საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებისათვისაც.

ალექსანდრე ლორია

განახლებული გამოცემა

წიგნის მოყვარულთათვის განსაკუთრებით სასიამოვნო ფაქტია აპოლონ წულაძის ადრე გამოქვეყნებული წიგნის – „ეთნოგრაფიული გურიას“ მეორედ გამოქვეყნება, რომელიც 2009 წელს განხორციელდა.

აპოლონ წულაძე XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და ეთნოგრაფიული მასალის შემგროვებელ-გამომცემელია. ამავე დროს ის აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწევა, მღვდლის ოჯახიდან გამოსულმა ყმაწვილმა იმ დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება მიიღო, ჩაება რევოლუციურ მოღვაწეობაში და არაერთხელ იქნა გადასახლებული.

როგორც აპ. წულაძე თავის ავტობიოგრაფიულ წერილში აღნიშნავს, ხალხური „უშრეტი-ულევი“ განძის სიყვარული აკაკი წერეთელმა აღუძრა, მისი შეკრება, ჩანერა და გამოქვეყნების სურვილიც აკაკის შთაგონებით დაუწყია.


აპოლონ წულაძეს დიდი ღვაწლი აქვს განუხლებული საბიბლიოთეკო საქმეში. ჯერ კიდევ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, სადაც ის ბოლოს სწავლობდა, მონაფეობის დროს საკმაოდ მდიდარ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ორი წლის განმავლობაში. უსაზღვრო იყო მისი გატაცება წიგნებით. დიდი ენთუზიაზმით იბრძოლა გურიაში საბიბლიოთეკო საქმის ასაღორძინებლად. ამ მხრივ მან უდავოდ დაიმკვიდრა ადგილი საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში. მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ ორგანოებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ცნობის ფურცელში“ (1897, № 248) გამოქ-

ვეყნებული წერილი გურიაში საბიბლიოთეკო საქმიანობის ნაკლოვანებათა შესახებ, ავტორი აანალიზებს რა მდგომარეობას, მოითხოვს შედგეს „ხეირიანი“ წესდება, რომელშიც დან-

ვრილებით იქნება ყველაფერი გათვალისწინებული. განსაკუთრებით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ის აყენებს საკითხს რეგიონში არსებული ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის შესახებ. ეს სრულიად ახალი იდეა იყო მთელ იმპერიაში. ასევე დიდი რეზონანსი გამოიწვია მანამდე აპოლონის ძმის ლავრენტი წულაძის გამოსვლამ „ივერიის“ ფურცლებზე (1894, № 45), სადაც გაშუქებული იყო გურიაში ცენტრალური ბიბლიოთეკის ადგილის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე „ცნობის ფურცელში“ თავის წერილში ლავრენტი წულაძე ნამდვილ პროფესიულ წინადადებებს იძლეოდა საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესების თაობაზე.

რაც შეეხება აპოლონ წულაძის საგამომცემლო საქმიანობას, ის ძირითადად, მართალია, სტატიებს აქვეყნებდა, მაგრამ გამოსცა მეტად პოპულარული სახელმძღვანელო ფუტკრების მეურნეობასთან დაკავშირებით, ხოლო მისმა ეთნოგრაფიულმა მასალებმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც სამეცნიერო, ისე ფართო მკითხველ საზოგადოებაში.

აპოლონ წულაძის „ეთნოგრაფიული გურია“ უდავოდ ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს. წიგნი 155 გვერდს შეიცავს და უხვადაა დასურათებული, წინ უძღვის თვით ავტორის პორტრეტი, როგორც ჩანს, ჯგუფური სურათიდან ამოღებული. არის ფოტოები და ჩანახატე-





ბი. ამავე დროს ნამძღვარებული აქვს აპოლონ ნულაძის წერილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისადმი და თვით დიდი ივანეს პასუხი. ამას მოსდევს ავტორის მიმართვა მკითხველები-სადმი – „ჩემს მკითხველს“. ამის შემდეგ მოცემულია ეთნოგრაფიული მასალა რუბრიკებით: 1. შრომის სიმღერები; 2. დღეობა-დღესასწაულები; 3. მიცვალებულის კულტი გურიაში; 4. ხალხური ლექსები; 5. ძველი რვეულიდან; წიგნი მთავრდება ავტორის მოგონებებით თავის შესახებ – „ავტობიოგრაფია“.

ეთნოგრაფიული აღწერებისა და მოგონებების გარდა, ნაშრომში მოყვანილია ის ლექსები და თქმულებები, რომლებიც გავრცელებული იყო იმ პერიოდში, როდესაც ავტორი მოღვაწეობდა.

წიგნი იკითხება დიდი ინტერესით და ძალიან

ბევრ მასალას შეიცავს საანალიზოდ. გამოცემულია მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით.

სამწუხაროდ, გამოცემასთან დაკავშირებით გვაქვს დასანანი შენიშვნები: არაა ცნობილი წიგნის გამომცემელი, დამსტამბავი, არა ჰყავს რედაქტორი, არაა ცნობილი მხატვარ-გამფორმებელი, გაურკვეველია, რა განსხვავებაა პირველ გამოცემასა და ამ გამოცემას შორის, არ არის მოცემული არც საერთაშორისო და არც საკატალოგო ინდექსი, წიგნს არ ახლავს ანოტაცია. სასურველი იქნებოდა, ახალ გამოცემას დართოდა გეოგრაფიული და პირთა საძიებელი. ვფიქრობთ, ამგვარი მნიშვნელოვანი გამოცემისათვის ყველა ეს ატრიბუტი ფრიად საჭირო მაინცაა, თუ აუცილებელი არა.

მიუხედავად ამისა, წიგნის გამოცემა საზოგადოებისათვის მეტად ღირებული საქმეა.

რითაც უნდა ვამაყობდეთ

ჩვენი ერის ცხოვრება ბევრი რამით არის გამორჩეული. ამ ერთ პატარა მიწაზე ბუნების ყოველგვარი თავისებურებაა წარმოდგენილი – ზღვისპირი და მდინარეები სუბტროპიკები და ტროპიკები, სტეპები, უდაბნო, ჭაობები და ნოციერი სავარგულეები, გაშლილი ველმინდვრები და გორაკები, მწვანე ალპური მთები და მარადყინულოვანი მწვერვალები... ყოველივე ეს თავის შესაფერისი ფლორისა და ფაუნის წარმოქმნასა და განვითარებას უწყობს ხელს. სოციალური თვალსაზრისითაც უნიკალურია ჩვენი ქვეყანა. აქ თითქოს მსოფლიო ცივილიზაციას მოუყრია თავი. ადამიანის ხელით ნაკეთი საოცრებები ხომ ყოველ ნაბიჯზეა – ციხესიმაგრეები და მაღალი ზღუდეები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები და დარბაზები, სამეურნეო ტერასები და თვალწარმტაცი სანახები, ეკლესია-მონასტრები, თაღოვანი ხიდები და მოკირწყლული გზები, არხები და წყალგებირები.

უძველესი კულტურული მცენარეები დღესაც ამშვენებს ჩვენს მიწა-წყალს. ქართველი კაცის მშრომელი მაჯის წყალობით ქვეყანა


მუდამ ყვაოდა, ძნელია ჩამოთვალო ყველაფერი, რაც მისი ხელითაა მოწეული, რაც გაუშენებია და გაუხარებია.

რად ღირს ის სიმდიდრე, რაც ჩვენს ერს თავისი გონებით შეუქმნია, მეცნიერება იქნება ეს, სწავლა-განათლება, დამწერლობა, ლიტერატურა, ხელოვნება თუ წიგნის საქმე.

ყოველივე ამის შენარჩუნება ქართველ კაცს ხმლითა და მახვილით უხდებოდა, მტერი ბევრი იყო შინ თუ გარეთ, მაგრამ ქართველი ყველაფერს ძლევდა და დღევანდლამდე მოიტანა ის სიკეთე, რაც მას შეუქმნია, თუმცა ამ გრძელ გზაზე ბევრი დაგვეკარგა და გადაგვიშენდა.

ჩვენ, წინაპრებისაგან ნაანდერძევი ყველაფერი უნდა დავიცვათ, მოვუაროთ და შევინახოთ. ამისათვის უნდა ვიცოდეთ, რა გვაქვს, რისი პატრონები ვართ, რა სიმდიდრეა ჩვენთს ხელთ, რას ვფლობთ,

რითი უნდა ვამაყობდეთ. სწორედ ამ მიზანს ისახავს წიგნი, რომელიც ახლახან გამოსცა ფრიად წარმატებულმა გამომცემლობამ „ემპი-ჯიმ“, რომელსაც უდავოდ კეთილშობილი განზრახვა აქვს – რამდენიმე ტომად გამოსცეს



ისეთი წიგნები, რომლებშიც თავმოყრილი იქნება ყველა ის ღირსება, რომელიც ქართველ ხალხს ამკობს, 2011 წელს უკვე გამოქვეყნდა პირველი ტომი – „ჩვენი ღირსებანი“.

წიგნს უძღვის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია მეორის 2010 წლის 3 იანვრის ქადაგების ფრაგმენტი, რომელშიც ის საქართველოს ეროვნული ფასეულობის შესახებ ლაპარაკობს.

რედაქციის მხრივ ნათქვამია: „თქვენ აქ იხილავთ სამი ღვთაებრივი საუნჯის შემადგენელ იმ კომპონენტებს, რომლებიც მუდამ გვახსენებენ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და საით გვიჯობს წასვლა“.

პროექტის ხელმძღვანელია პაატა ხუნაშვილი, რედაქტორი დავით რობაქიძე. კორექტორი ბედისა შავიშვილი, დიზაინი ეკუთვნის თეონა კერესელიძეს. გამოცემის სარედაქციო ჯგუფი: მზია რაზმაძე, რუსუდან ახვლედიანი, ლიკა გურაბანიძე, ლამარა კვინიკაძე; კომპიუტერული უზრუნველყოფა კახაბერ წურნუმიასი და ზაზა გელაშვილისა.

ნაშრომს წინ უძღვის პროფ. ბედისა შავიშვილის განმაზოგადებელი შესავალი „გრძელი გზა“... სათაური თავისით გვეუბნება, რაზე არის აქ ლაპარაკი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთგვარი პოეტური სულისკვეთებით შემოსილი თხრობა იმაზე, თუ რა და როგორ შემოინახა ქართველმა კაცმა ის, რაც ჩვენი ღირსების საწინდარია.

ამის შემდეგ იწყება გადმოცემა ძირითადი ტექსტისა, რომელიც დიფერენცირებულია განსახილველი საგნების მიხედვით: ეკლესიის სინმინდებები საქართველოში (პროფ. ე. ბუბულაშვილი); ენა, დამწერლობა და ლიტერატურა (დ. რობაქიძე); ხორბლის კულტურა (აკად. პ. ნასყიდაშვილი, აკად. ც. სამადაშვილი, ხ. დობორჯგინიძე); ვენახი (პროფ. ბ. აბაშიძე).

წიგნის დიზაინის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მისი იმიტირება პერგამენტთან, რაც მას სიძველის იერს აძლევს და მდიდარ შეხედულებას უქმნის, აგრეთვე გამოყენებულია ძველი ხელნაწერი კალიგრაფიული დამწერლობისათვის დამახასიათებელი, ერთგვარად სტილიზირებული შრიფტი. ყოველივე ეს მეტად ალამაზებს გამოცემას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში ჩართულია ფერადი ილუსტრაციები, ძირითადად ფოტომასალა რაზედაც მაღალკვალიფიციურად უმუშავიათ ლამარა აკულაშვილსა და გიორგი მამაიაშვილს. გამოყენებულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივის ექსპონატები.


წიგნი საშუალო მოცულობის ფორმატის 144 გვერდს შეიცავს და მაღალი პოლიგრაფიული ტექნიკითაა შესრულებული შპს „ფავორიტი პრინტი“.

აღსანიშნავია, რომ წიგნი წარმოადგენს სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომს – მეცნიერული სიზუსტით ასახავს მასალას, მაგრამ ფართო მკითხველისათვის სავსებით მისაწვდომად და საინტერესოდ.

ტრადიციად ქცეული

ტრადიციად მკვიდრდება საქართველოს სამეცნიერო ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამოუკიდებელი სამწერლო გაერთიანების – კავშირი „მარად ახალი განძის“ სემინარების ჩატარება. ფაქტიურად, ეს არის პრეზენტაციისა და დისკუსიის შენაერთი, რაც მეტად საინტერესო ფორმატს წარმოადგენს.

26 თებერვალს აქ გაიმართა მორიგი შეხვედრა – სემინარის მონაწილეები გაეცნენ ახალგაზრდა პოეტის გურამ ქავთარაძის ლექსების პირველ კრებულს „დგახარ კედელთან“. ღონისძიებას უძღვე-



ბოდა ხსენებული გაერთიანების – კავშირის თავმჯდომარე – პოეტი მიხეილ ლანიშაშვილი. მისი მოკლე გამოსვლის შემდეგ თავისი ლექსები წარმოადგინა გურამ ქავთარაძემ. მასთან ერთად ამ საღამოს თავიანთი ლექსები წარმოადგინეს ოთარ რურუამ და მედეა ლაზარაშვილმა. იყო შეკითხვები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. უმეტესად საღამოს ესწრებოდა ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა. სასიამოვნოა, რომ ჩვენში გაჩნდა ასეთი გაერთიანება, რაც უეჭველად საზოგადოების მხარდაჭერას საჭიროებს.



მონოღაბა განწმენდისაკენ

საგამომცემლო სახლმა „ემ-პი-ჯი“-მ გასული წლის ბოლოს გამოაქვეყნა გურამ თაყნიაშვილის ლექსების კრებული – „განწმენდისაკენ, განწმენდისაკენ“.


გამომცემლობა „ემ-პი-ჯი“ დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა, მაგრამ უკვე საკმაოდ წარმატებული გახდა და თავისი პროფესიული მოღვაწეობით გამოირჩევა. საგულისხმოა, რომ ის ფართოდ უღებს კარებს ყოველგვარ სიახლეს, იღვანის ახალ-ახალი იდეების განსახორციელებლად, გარშემო იკრებს ცნობილსა თუ ახალბედა შემოქმედებს, არ იზღუდება არც დარგით და არც ჟანრით. ერთი სიტყვით, უნივერსალური გამომცემლობაა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ აძლიერებს თავის საქმიანობას. მისასალმებელია, რომ მან დაბეჭდა სწორედ საბიბლიოთეკო საქმის ცნობილი მოღვაწის, მკვლევარ-მეთოდოლოგის, ბიბლიოფილის – გურამ თაყნიაშვილის ლექსების კრებული.

როგორც ანოტაციაშია ნათქვამი, „კრებულის ავტორმა შეარჩია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა თემატიკაზე დაწერილი ლექსები. ავტორი ცდილობს, მხატვრული სიტყვით შეებრძოლოს

მორალურ სიმახინჯეს, რათა მარადიულად დამკვიდრეს სიკეთე და სათნოება, გულმონყალება და თავმდაბლობა, როგორც კაცთა უმშვენიერესი გვირგვინი. ავტორი შეახსენებს ადამიანებს, თუ რაოდენ აუცილებელია დღეს ზნეობრივი დახვეწა და სულიერი განწმენდა“. როგორც სათაურიდანაც ჩანს, კრებულის უმთავრეს იდეურ საფუძველს მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი მოტივები წარმოადგენს, მაგრამ ის ამით არ შეიზღუდება და სხვა თემებსაც საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

კრებულს წამძღვარებული აქვს ალექსანდრე ლორიასა და დავით კოტორაშვილის მეტად გულწრფელი წერილი, რომელიც ავტორს და მის შემოქმედებას ახასიათებს. წიგნს ერთვის ავტორის მშობლიური სოფლის – მამულოს მოკლე ისტორიული ცნობა და წყაროები, აგრეთვე ამ სოფლის ტოპონიმთა, სულ ბოლოს კი – ავტორის მიმართვა მკითხველებისადმი – „მათთვის, ვინც ეს წიგნი წაიკითხა“.

კრებული 88 გვერდს შეიცავს და მაღალი პოლიგრაფიული დიზაინით გამოირჩევა.





კლასიფიკატორთა დასახმარებლად

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ამას წინათ გამოსცა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილების უფროსის გ. თაყნიაშვილის მეთოდური რეკომენდაციები „საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია“. ნაშრომში მიმოხილულია საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის ზოგადი და კერძო მეთოდების საკითხები. შემდგენელი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის გამოყენების პრაქტიკულ საკითხებზე; დეტერმინატების (მსაზღვრელების) გამოყენების, ცალკეული დოკუმენტების მრავალმხრივი ასახვისა და მკითხველთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობაზე; საცნობარო აპარატში დოკუმენტების

შინაარსის გახსნაზე ბევრადაა დამოკიდებული მისი ხელმისაწვდომობა. შემდგენელი ბიბლიოთეკართა ყურადღებას ამახვილებს კრებულების, შერეული ხასიათისა და მრავალტომეული გამოცემების საცნობარო აპარატში ასახვის თავისებურებებზე. ეხება რა ელექტრონულ კატალოგში ცალკეული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ასახვის საკითხს, შედგენილი ასაბუთებს, რომ პროფესიულ დონეზე შესრულებული ელექტრონული კატალოგი დროდადრო აღმოფხვრის იმ ნაკლოვანებებს, რაც დღემდე გააჩნდა რეალურ კატალოგებს.

ნაშრომი დაეხმარება კლასიფიკატორებს და სისტემატიზაციის პროცესებზე მომუშავე ბიბლიოთეკარებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ნაკლები გამოცდილება გააჩნია ამ სფეროში.





როგორ ჩამოვწეროთ საბიბლიოთეკო დოკუმენტები

კონსულტაცია

ბიბლიოთეკებში ორგანიზებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდები შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას; მათი დაცვა უზრუნველყოფილია კანონებითა და კანონქვემდებარე დოკუმენტებით (საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, 1996, მუხლი 4), სხვადასხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკები თავიანთ ფონდებს აკომპლექტებენ პროფილის შესაბამისად, მკითხველთა და ინფორმაციის მომხმარებელთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნათა მაქსიმალური გათვალისწინებით. დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკებში თავს იყრის სხვადასხვა მიზეზებით მოძველებული გამოცემები: ზოგი ძველდება შინაარსობრივად, კარგავს აქტუალობას, აღარ შეესაბამება ბიბლიოთეკის პროფილს, ზოგი ძველდება ფიზიკურად: ბოლო წლებში ბიბლიოთეკებიდან ჩამოწერა პოლიტიკურად აქტუალობადკარგული, კომუნისტური იდეოლოგიის ამსახველი მასალები: ბიბლიოთეკები სისტემატურად სწავლობენ ფონდების შემადგენლობას, ავლენენ უმოძრაო, პასიურ გამოცემებს, რომლებიც ადრე შექმნილი იყო დიდი რაოდენობით. ბიბლიოთეკებში მუდმივად, ან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რჩება ისეთი გამოცემები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ მეცნიერული, მხატვრული, საინფორმაციო, შემეცნებითი ღირებულება: ბიბლიოთეკები შესაძლებლობის მიხედვით სისტემატურად ანახლებენ საბიბლიოთეკო ფონდებს და იმავდროულად სწავლობენ ფონდების სტრუქტურას, ცალკეული გამოცემების დაცვასა და გამოყენების მდგომარეობას. ამ პროცესში გამოავლენენ ჩამოსაწერ, გასარიცხ მასალებს; საბიბლიოთეკო დოკუმენტები შეიძლება ჩამოიწეროს სხვადასხვა მიზეზებით; ჩამოსაწერი მასალების გამოვლენასა და გადანყვეტილების მიღებას აწარმოებს საცავის თანამშრომელი, ბიბლიოთეკარი, რომელმაც კარგად იცის თითოეული გამოცემის დანიშნულება, თვალს ადევნებს მის მოძრაობას, მოთხოვნილების სიხშირეს; ცალკეულ შემთხვევებში ბიბლიოთეკარი მიმართავს დარგის, საგნის სპეციალისტს; მოძველებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჩამოწერის მიზნით თითოეულ ბიბლიოთეკაში იქმნება კომისია; კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს ბიბლიოთეკის დამფუძნებელი (დირექტორი, კულტურის სამსახურის უფროსი); ბიბლიოთეკარმა აღნიშნულ კომისიასთან შეიძლება შეათანხმოს ცალკეული საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეფასების, ბიბლიოთეკის მთლიანი ფონდის შემოწმების (ინვენტარიზაციის) და ისეთი საკითხები, სადაც მხოლოდ ბიბლიოთეკარის გადანყვეტილება არ იქნება მიჩნეული სანდოდ, კომპეტენტურად.

ბიბლიოთეკარი, კომისია ცალკეული გამოცემების ჩამოწერის საკითხს სწავლობს უშუალოდ თაროებთან მისვლით, ვიზუალურად; საბიბლიოთეკო დოკუმენტები შეიძლება ჩამოიწეროს სხვადასხვა საფუძვლებით; კერძოდ: როგორც შინაარსობრივად მოძველებული, ფიზიკურად მოძველებული, პოლიტიკურად აქტუალობადკარგული, არაპროფილური გამოცემა, მკითხველთა მიერ დაკარგული ასეთი მიზეზებით გამოყოფილი საბიბლიოთეკო დოკუმენტებზე. მას შემდეგ, რაც მათ გადაათვალიერებს კომისია, დგება აქტი.

აქტი №
„-“..... 201 წ.

წინამდებარე აქტი შედგა (ბიბლიოთეკის დასახელება) არსებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების შემოწმებისა და ჩამოწერის კომისიის მიერ, მასზედ, რომ ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდიდან ჩამოწერა (მიეთითოს ჩამოწერის ერთ-ერთი საფუძველი) ეგზ. წიგნი, რომელთა ღირებულება შეადგენს.... ლარს,..... თეთრს; სია ჩამოწერილი საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა აქტს თან დაერთვის, რაზედაც ხელს ვაწერთ:

კომისიის წევრები:
1. 2. 3.

ცალკეული საფუძვლებით ჩამოწერილ დოკუმენტებზე დგება სია შემდეგი სახით:

№	ავტორი, სათაური	გამოცემის წელი	ინვენტარის №	ფასი		შენიშვნა
				ლა-რი	თეთ-რი	

კომისიის მიერ ხელმოწერილ აქტს ამტკიცებს ბიბლიოთეკის დამფუძნებელი: კომისიამ შინაარსობრივად მოძველებულ დოკუმენტებად შეიძლება მიიჩნიოს ისეთი გამოცემები, რომელთა შინაარსი ვეღარ პასუხობს თანამედროვე მკითხველის მოთხოვნებს; ასეთ გამოცემებს შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, მეთოდური შინაარსის გამოცემები, დროებითი ხასიათის მასალები: 1990-იან წლებამდე გამოცემული მასალები ეკონომიკის მართვის, წარმოების დაგეგმვის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში გამოცემული წიგნები, განსაკუთრებით რუსულ ენაზე, რომლებიც ადრე მიღებული იყო წიგნსაავაჭრო ორგანიზაციებიდან; ამავე გზით ბიბლიოთეკაში თავს იყრიდა არაპროფილური გამოცემები, კომუნისტური იდეოლოგიის ამსახველი მასალები; ზედმეტ ეგზემპლარებად შეიძლება კომისიამ მიიჩნიოს ისეთი გამოცემები, რომლებიც ადრე მიღებული იყო დიდი რაოდენობით, მაგრამ დღეისათვის არ არის საჭირო ჭარბი ეგზემპლარების დაცვა. ზედმეტ ეგზემპლარად ჩამოსაწერ მასალებს შენარჩუნებული აქვთ მეცნიერული და სხვა სახის ღირებულება; მათი ჩამოწერის შემდეგ ისინი თავს იყრის გაცვლით ფონდებში სხვა ბიბლიოთეკებისათვის გადასაცემად; (იხ. ზემოთ დასახელებული კანონი, მუხლი 10).

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჩამოწერა არ ნიშნავს ბიბლიოთეკის საერთოდ გაღარიბებას ცალკეული გამოცემებისაგან.

კომისიის გადაწყვეტილებით ცალკეული მასალები შეიძლება დატოვებული იქნეს საგნის ისტორიისათვის (წინა წლებში გამოცემული სახელმძღვანელოები და ისეთი მასალები, რომელნიც შეიძლება გამოიყენოს მკვლევარმა და სხვ.). პოლიტიკურად აქტუალობადაკარგულ გამოცემებად კომისია მიიჩნევს ძირითადად სსრკ-ს პერიოდში გამოქვეყნებულ დოკუმენტებს. მათ რიცხვს პირველ რიგში განეკუთვნება: სკკპ პოლიტბიუროს წევრების, სკკპ ყრილობებისა და პლენუმის მასალები, რომელთაც თანამედროვე ეტაპზე შერჩათ მხოლოდ ისტორიული ღირებულება. ასეთი გამოცემები წინა წლებში ჩამოიწერა სპეციალური მითითებებით; ბიბლიოთეკებში დარჩა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის თხზულებები., კომისიის გადაწყვეტილებით ასეთი გამოცემების თითოეული ეგზემპლარი დატოვებულია საქალაქო, სამეცნიერო და ეროვნულ ბიბლიოთეკებში. ასეთივე მასალები შენარჩუნებულია მუნიციპალიტეტების (რაიონების) მთავარ (ცენტრალურ) ბიბლიოთეკებში.

მკითხველთა მიერ დაკარგულად ჩაითვლება ისეთი გამოცემა, რომელიც ჩანერილია შესაბამის დოკუმენტებში (მკითხველის ფორმულარით) და სადაც... მიღებას ადასტურებს მკითხველი ხელმოწერით. ასეთი წიგნის დაუბრუნებლობის ან მისი შეცვლის შემთხვევაში საჭიროა მისი ჩამოწერა აქტით. მკითხველთა მიერ დაკარგული და სანაცვლოდ მიღებულ გამოცემებზე დგება ერთიანი აქტი.

აქტი №

„-“..... 201 წ.

წინამდებარე აქტი შედგა (ბიბლიოთეკის დასახელება) არსებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჩამოწერის კომისიის მიერ, მასზედ, რომ. წელს ბიბლიოთეკის მკითხველებისგან დაიკარგა..., ეგზ. წიგნი, რომელთა ღირებულება შეადგენს... ლარს,... თეთრს. სანაცვლოდ ბიბლიოთეკაში მიღებულია მკითხველებისაგან... ეგზ, წიგნი, რომელთა ღირებულება შეადგენს... ლარს,... თეთრს. სია დაკარგული და სანაცვლოდ მიღებული წიგნებისა აქტს თან დაერთვის, რაზედაც ხელს ვაწერთ:

კომისიის წევრები:

1.2.3.

მკითხველთა მიერ დაკარგული და სანაცვლოდ მიღებული წიგნების აღრიცხვა წარმოებს სპეციალური ფორმით:

ცნობები დაკარგული წიგნების შესახებ

ავტორი, სათაური

გამოცემის წელი

ინვენტარის №

ფასი

ლარი თეთრი

მკითხველის გვარი

ცნობები, სანაცვლოდ მიღებული წიგნების შესახებ: ავტორი, სათაური გამოცემის წელი

ფასი

ლარი თეთრი

მკითხველის ხელისმოწერა

მკითხველთა მიერ დაკარგულ და სანაცვლოდ მიღებულ აქტს თან დაერთვის ორი სია: დაკარგული წიგნების და სანაცვლოდ მიღებულების: დაკარგული გამოცემები აქტით ჩამოიწერება და გაირიცხება საინვენტარო ჩანაწერებიდან, ხოლო სანაცვლოდ მიღებული გამოცემები ჩაირიცხება ფონდში მიღებული წესებით;

ჩამოწერის პროცესის რაციონალურად ორგანიზების მიზნით საჭიროა ჩამოსაწერად გამოზნული გამოცემების დალაგება ცალ-ცალკე მათი ჩამოწერის საფუძვლების მიხედვით. ასეთი მიდგომა თავიდან აგვაცილებს ზედმეტ შრომას: ბიბლიოთეკები აქტებს ადგენენ ერთი რომელიმე საფუძვლის მიხედვით, დაუშვებელია

ერთსა და იმავე აქტში მიეთითოს ჩამონერის ორი ან რამდენიმე საფუძველი. ჩამოსაწერი მასალების სიაში იწერება ის ფასი, რომელიც ფიქსირებულია საინვენტარო წიგნში (მანეთი, ლარი, კუპონი). წლის ბოლოს ჩამონერილი (...) საბიბლიოთეკო დოკუმენტების საერთო რაოდენობა აღინიშნება ჯამობრივი აღრიცხვის მე-2 ნაწილში – ფონდიდან გარიცხვა აქტების დამტკიცების შემდეგ ჩამონერილი მასალები ჩაბარდება მაკულატურას, ქვითარი დაერთვის აქტს: გარიცხული წიგნების გადახაზვა საინვენტარო წიგნში დაუშვებელია. აქ შესაბამის დანაყოფში, აღნიშვნები ფონდიდან გარიცხვის შესახებ, იწერება აქტის ნომერი და წელი (№

4-11); საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჩამონერის პროცესზე, მასალების შერჩევასა და სიების შედგენაზე მთლიანად პასუხისმგებელია ბიბლიოთეკარი. ჩამონერის საკითხებზე ბიბლიოთეკარებს ვურჩევთ იხელმძღვანელონ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№ 82, 22.III-2010).

აქვე დავძენთ, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულმა სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ შეიმუშავა საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჩამონერის რეკომენდაციები, რომელიც გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ბამოხმაურება

ალ. ლორია

პოეტური გულანთიხულობით აღსავსე წიგნი

არ შეიძლება ამ წიგნზე ილაპარაკო და ორიოდ სიტყვა არ თქვა მის ავტორზე. გურამ თაყნიაშვილს მისი სტუდენტობის პირველ დღეებიდან ვიცნობ. ნიჭიერი, ენერგიული, ბეჯითი, ნაკითხი ახალგაზრდა უაღრესად თავმდაბალი და მოკრძალებული იყო. გამოირჩეოდა არა მარტო ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე, არამედ მთელ პედაგოგიურ ინსტიტუტში. სწორედ ამიტომაც მიანიჭეს მას მაშინ ყველაზე მაღალი სახელობითი სტიპენდია – ლენინური, რომელიც ერთადერთი იყო ფაკულტეტზე.

გურამ თაყნიაშვილი არა მარტო სწავლით, სხვა ინტერესებითაც გამოირჩეოდა. განსაკუთრებით აქტიურად მოღვაწეობდა ინსტიტუტის ლიტერატურულ-შემოქმედებით წრეში – „კაბადონში“, რომელსაც თავდაპირველად ქალბატონი ლუბა მეფარიშვილი, შემდეგ კი პროფესორი დიმიტრი ბენაშვილი ხელმძღვანელობდა. აქ ის უფრო მეტად სხვებს უსმენდა, ვიდრე თავის შემოქმედებით ნაღვანს წარმოადგენდა ხოლმე განსახილველად. ძალიან მოკრძალებული იყო. მხოლოდ იშვიათად თუ მოჰქონდა თავისი ლექსები, არასოდეს გამოუხატავს განსაკუთრებული მიდრეკილება პოეტობისადმი, ეტყობა, ეს მისი მორიდებულობით იყო, ვიდრე პოეზიის მიმართ ინერტიული დამოკიდებულებით. შემდეგ, როცა უმაღლესი სასწავლებელი დაასრულა, პრაქტიკულ შრომას შეუდგა და სულ სხვა მიმართულებით წარმართა თავისი ინტერესები და პოეტურ სარ-

ბიელს ერთგვარად ჩამოშორდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის აქტიურ პროფესიონალად სულ მალე ჩამოყალიბდა და საქმე აიძულებდა, ბევრი ელვანა საბიბლიოთეკო სარბიელზე, ამასთან, მეთოდიკურ და სამეცნიერო საქმიანობასაც ეწეოდა. უამრავი სტატიის ავტორი, ბევრი სპეციალური გამოცემის თანაავტორი თუ შემდგენელი მუდმივად დატვირთული იყო სამსახურებრივი მოვალეობით და არც პირადი პრობლემები აკლდა.

ბუნებამ, ბოლოს და ბოლოს, თავისი გაიტანა – მართალია გვიან, მაგრამ საფუძვლიანად და მკვიდრად თქვა თავისი სიტყვა. გურამ თაყნიაშვილმა მშვენიერი პოეტური კრებულით გავაოცა – „განწმენდისაკენ, განწმენდისაკენ...“ ეს პატარა წიგნი, რომელიც სულ 88 გვერდს შეიცავს, მაღალპოეტური სულისკვეთებითაა აღსავსე. ხელთ გვაქვს არა რომელიმე პოეტი-მოყვარულის, არამედ ნამდვილი პოეტის შესანიშნავი სტრიქონები.

კრებულს თავისებურ ელფერს აძლევს მრავალთემატურობა – სამშობლო, მშობლიური სოფელი, ქართული ბუნება, სევდა პირადული თუ სამოქალაქო, წარსული, ხმა ზეციური, ბედისწერა, დროის სრბოლა, სიცოცხლის ზეიმი, მომავლის იმედი, ტრფიალი, ნოსტალგია, მშობლების გახსენება, ბედისწერა, მორალი, ზნეობა, შთამომავლობა, იგავ-არაკი – რა მოტივს არ შეხვდებით აქ.

რაც მთავარია, ყველაფერი სადა და მარტი-

ვია, ღრმა განცდისეული, პოეტური სტილის-ტიკით დახვეწილი, კითხულობ, უფიქრდები და ერთმანეთს ცვლის გულმხურვალე სტრიქონები: წამებითა და დაგვით შემორჩენილი მიწა-მამული „ახლა ხონჩაზე გიდევთ რაც არის, თვალსა და ხელს შუა გამოგვაცლიან, თუ შევიყარეთ თვალში ნაცარი“; თუ არ იქნებოდა წიგნი, თუ არ გვეყოლებოდა დავით, სულხანი, თუ წავაგებდით ომს ბასიანთან, ხმალალესილი არ მდგარიყო ქვეყნად ერეკლე, არა გვექონოდა ვარძია, არ შემოგვრჩენოდა წიგნი რუსთველის, სხვა გზით ნასულიყო ცოტნე დადიანი – „ვინ ვიქნებოდით ქართველნი მაშინ? ვიქნებოდით კი? – საკითხავია!“... „აქ რად მოსულხარ, ქართველო კაცო? რისთვის ჩასცქერი ციხეს სტამბოლის...“ „მარადისობის ფესვი გაუდგამს ადამის ძეში კეთილს და ბოროტს!“... „თუკი არაფერს არა გრძნობ, და თუ არაფერს განიც-

დი, სიცოცხლეს რისთვის განაგრძობ, პირქვე დაეც და დამინდი!..“ „მარადიული დამირქმევია ყველაფრისათვის, რაც კია ცვლადი!“... „დაგლეჯილია ფთილ-ფთილად ქართველთა ჯაჭვის პერანგი“... უსულოდ გდია მოხდენილი ირემი – „ადამიანმა ერთი გასროლით მოსპო სიცოცხლე და სილამაზე“; სევდამორეული პოეტი გულმოკლული ათვალთვლებს თავის ნამოსახლარს და გაოგნებული კითხულობს: „ვფიქრობ და მაინც ვერ ამიხსნია – მე ეს სოფელი რად მივატოვე“... და ასე რჩება გონებაში ძლიერი სიტყვა, სიტყვა-კაზმული, შემკული პოეტური მეტყველების ნიუანსებით.

ამ პატარა წიგნმა არ შეიძლება არ დააინტერესოს მკითხველი, მრავალი საფიქრალი არ გაუჩინოს, არ დაალონოს ან არ გაახაროს, არ შეძრას მისი სული და ესთეტიკური სიამოვნება არ მიანიჭოს.

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო სსოვრების

ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

□ 2010 წლის 23 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომა. განიხილეს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჩამოწერის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ 10 წლის განმავლობაში შესრულებული პროექტები, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სისტემის ბიბლიოთეკების მდგომარეობა და სხვ. აქტუალური საკითხები, აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციები წარმოადგინეს: გ. თაყნიაშვილმა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ი. ღარიბაშვილმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მთავარმა სპეციალისტმა ზ. ხუციშვილმა.

□ 21 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში მწერალმა ნ. გრიგალაშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „თანამდევნი სული“ (ილია და მისი ეპოქა).

□ 1 მარტს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ცნობილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩის ნამუშევრების გამოვლენა.

□ 7 მარტს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა „ფოლიანტიებიდან ამოკრეფილი“, ექსპოზიცი-აზე წარმოდგენილი იყო მე019 საუკუნისა და ადრეული საუკუნეების საქართველოში მცხოვრები მწერალი ქალების ავტორობით გამოცემული წიგნები, ფოტოსურათები და პერიოდული გამოცემები. გამოფენა მიეძღვნა დედის და ქალთა საერთაშორისო დღეს.

□ 13 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა. ნაჩვენები იყო ფილმი „იავნანა რა ჰქმნა“, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო „დედა ენის“ უნიკალური გამოცემები და წიგნისადმი მიძღვნილი მასალები.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა — 165



ბამოსათხოვარი

ჩვენი ჟურნალის თანამდგომი



ფრიდონ სიხარულიძე

მხარში დგომა აღგვიტყვა. მისი რჩევა-დარიგებები ძვირფასი იყო ჩვენთვის, მაგრამ უფრო ძვირფასი იყო ჩვენს ჟურნალში მისი ავტორობა, სისტემატურად გვანვდიდა სტატიებს, რომელთა უმრავლესობა ორიგინალურ დაკვირვებებს წარმოადგენდა. მისი პუბლიკაციები ყოველთვის გამოირჩეოდა

ჩვენს ჟურნალს მრავალი თანამდგომი და კეთილმოსურნე ჰყავდა და ჰყავს. მათ შორის გამორჩეული იყო პროფ. ფრიდონ სიხარულიძე. ის ამ ათიოდე წლის

წინ — ჟურნალის დაარსებისთანავე — გამოგვეცხადა რედაქციაში, თავი გაგვაცნო და

სიახლით, აქტუალობით, მიგნებებით, დიდი ინტერესით; თანაც ყოველივე ეს დაწერილი იყო ფართო მკითხველის მოთხოვნილებებისა და გემოვნების გათვალისწინებით.

ავტორობასთან ერთად, ჟურნალის მუდმივი მკითხველი იყო, არ გამორჩენია არც ერთი ნომერი, თავიდან ბოლომდე არ გადაეკითხოს; მთელი ათწლიანი კოლექცია ჰქონდა შეკრებილი.

ფრიდონ სიხარულიძე პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მუდმივ მკითხველად ითვლებოდა. იყო დღეები, იქ აღამებდა, იქ ხვდებოდა კოლეგებს საქმიან შეხვედრებზე, იქ წერდა, იქ კითხულობდა, ეძიებდა. შეიძლება ითქვას, ამ ბიბლიოთეკით სულდგმულობდა. ბევრ თანამშრომელს პირადად იცნობდა, ბევრს მეგობრობდა კიდევ, აქ მომხდარი ყველა სიახლისა და გარდაქმნის მოწმე იყო, ბევრ რამეს გულით მიესალმებოდა, მაგრამ ზოგსაც იწუნებდა, თამამად გამოთქვამდა თავის შენიშვნებს და საქმიან წინადადებებ-

საც იძლეოდა.

ფრიდონ სიხარულიძე სპეციალობით ისტორიკოსი იყო, მაგრამ არასოდეს იზღუდებოდა წმინდა ისტორიული ასპექტებით. როგორც მეცნიერი, ის განსაკუთრებული სიღრმისეულად შეისწავლიდა საქართველოდან გადახვეწილ მწერალთა, მეცნიერეთა, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა მიერ რუსეთისათვის განუღებულ ღვაწლს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სამეცნიერო თუ კულტურულ ცხოვრებაში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი, რომ მას არ შეესწავლოს და თავისი სიტყვა არ ეთქვას. მუდმივ მოგზაურობაში იყო, ცდილობდა სხვადასხვა ქვეყნებისა და ქალაქების არქივებიდან მიეღო საჭირო ცნობები. მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე ბევრ უცნობ ფაქტს მოჰფინა სინათლე. შეიძლება ითქვას, რომ ის უბადლო არქივთმცოდნე იყო. მშვენივრად ფლობდა სამუზეუმო საქმის სპეციფიკურ მხარეებს. ამ კუთხით მას ბევრი დახმარება აღმოუჩინია ეროვნული ბიბლიოთეკისთვის.

ფრიდონ სიხარულიძე მეტად ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა, რომელთა უმრავლესობა ორიგინალურ გამოკვლევას წარმოადგენს, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „მოსკოვის ქართული ახალმენის ისტორიიდან“. მეცნიერული კვლევა-ძიების მრავალი შედეგია შეჯამებული სწორედ ამ სადოქტორო დისერტაციის ნაშრომში, რომელიც წარმატებით დაიცვა 1990 წელს. სხვათა შორის, ამ დისერტაციის ერთ-ერთ მხარდამჭერ ორგანიზაციას სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა წარმოადგენდა, რამდენადაც ნაშრომში მრავლად იყო მოცემული საკითხები წიგნის ისტორიიდან.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად ის პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. მრავალ ახალგაზრდა ასპირანტს გაუწია ხელმძღვანელობა, ბევრს დაეხმარა, დააკვალიანა, ბევრს გაუკაფა გზა მეცნიერებაში.

პიროვნულად ორიგინალური ადამიანი ბრძანდებოდა – უაღრესად თავმდაბალი, მოკრძალებული, ცხოვრებისეული პირობების მიმართ უპრეტენზიო, ჯიუტი დამცველი თავისი მორალურ-ეთიკური ნორმებისა,

მაგრამ უსაზღვროდ იმედიანი, პირდაპირი, შეურიგებელი სიყალბის მიმართ; მცირედით კმაყოფილდებოდა. მისთვის მეცნიერული მოღვაწეობისათვის საჭირო პირობების მეტი სხვა არაფერი იყო სასურველი, როგორც მოქალაქე – უზადო და პატიოსანი კაცი იყო., თავისი შეურიგებელი ხასიათის გამო მონინააღმდეგე ბევრი ჰყავდა, რომლებთანაც არ ერიდებოდა პოლემიკას და თავის მოსაზრებას შეუპოვრად იცავდა.

კოლეგებმა შესაფერისად აღნიშნეს მისი დაბადების 70 წლისთავი 2007 წელს. აღწერეს მის მიერ განვლილი გზა, შეაჯამეს მისი მოღვაწეობა, რასაც პრესაც გამოეხმაურა. იგი ჩოხატაურის რაიონის სოფ. გოგოლესუბანში დაიბადა, იქ დაიწყო სწავლა, შემდეგ ბათუმში გადავიდა. იქვე დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, კარგა ხანს მოღვაწეობდა ამ ზღვისპირა ქალაქში მაშინაც კი, როდესაც საცხოვრებლად თბილისში იყო გადმოსული, ცხადია, ბათუმი მისთვის მშობლიური ქალაქი იყო, როგორც მისი ძმისთვისაც – ცნობილი ისტორიკოსის – პროფ. იური სიხარულიძისათვის.

ფრიდონ სიხარულიძე იმითაც გამოირჩეოდა, რომ მუდამ გააჩნდა სამეცნიერო კვლევისა და ახალ-ახალი პუბლიკაციის შექმნის გეგმები. ბევრ რამეს ანდობდა ხოლმე კოლეგებს, მაგრამ ალბათ ბევრიც იყო რალაც ისეთი, რაც მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი... და წავიდა ადამიანი ისე, არავინ იცის, რა გეგმები დარჩა განუხორციელებელი. მძიმე სენით იყო შეპყრობილი, მაგრამ მისმა ახლობლებმაც კი არ იცოდნენ ეს – თავის გასაჭირს არასდროს ახვევდა თავს ვინმეს.

უამრავი ადამიანის ნაცნობი, მრავლის მეგობარი, კოლეგა, რალაც იდუმალად, უხმაუროდ, მოკრძალებულად წავიდა ამ ქვეყნიდან მარტოსული და განდგომილი. ყველასთვის მოულოდნელად გარდაიცვალა გასული წლის ოქტომბერში. ასე გასრულდა მისი დაუღალავი შრომითა და ჯაფით აღსავსე ცხოვრება.

ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ მისი ნაღვანი და ნათელი ხსოვნა!

"საქართველოს ბიბლიოთეკის" რედაქცია

უდროოდ ჩამოკრული გლოვის ზარი

საგზაო შემთხვევაში დაიღუპა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორი ახალგაზრდა თანამშრომელი:
გიორგი ლორია და ლევან ჟუჟუნაშვილი.



გიორგი ლორია

გიორგი ლორია, ოჯახის თავკაცი და მამა სამი შვილისა; თავმდაბალი, სანდომიანი სახის, განსწავლული, საქმიან ამეტყველებული სულის პატრონი. დაიბადა თბილისში 1964 წელს. დაამთავრა თბილისის 22-ე საჯარო სკოლა, სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, მანქანათმშენებლობის სპეციალობით. უმაღლესი განათლების გასრულების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად; 1988 წელს სამუშაოდ გადავიდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. ორი ათეული წლის მანძილზე მუშაობით გიორგის ყველა იცნობდა როგორც ზრდილობიან, ტაქტიანსა და მამაკაცური

ღირსებებით შემკობილ პიროვნებას. მისი ნათლითმოსილი სახე დიდხანს დარჩება თანამშრომელთა მეხსიერებაში.

ლევან ჟუჟუნაშვილი – ხანმოკლე, სამი ათეული წლის სიცოცხლის მანძილზე თავი დაიმკვიდრა როგორც სიკეთით აღსავსემ, უშუალო და შემართული ხასიათის ახალგაზრდამ; უფლის მიერ ნაბოძები სიცოცხლის მოკლე მანძილი სწავლას და შრომაში განვლო. იურიდიული განათლებით შეიარაღებული ახალგაზრდა სწორედ ახლა აპირებდა ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენას; წელიწადნახევარი იმუშავა ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ეს საკმარისი იყო მისი პიროვნების შეცნობისათვის; მას სალამს ვერ დაასწრებდით; იყო მორიდებული, თავაზიანი, თითქოს გულჩათხრობილიც, მაგრამ შინაგანი კულტურით აღვსილი, მამაცური იერსახის ჭაბუკი; ვინ იცის, ცხოვრების დასაბამზე როგორი გეგმები ჰქონდა, როგორი იდეები და მიზნები ამოძრავებდა ენერგიით აღსავსეს, დასანანია, რომ ასეთმა ახალგაზრდამ ასე უდროოდ დატოვა მზისქვეშეთი.



ლევან ჟუჟუნაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა






საქართველოს საზოგადოებრივი ასოციაცია აცხადებს, რომ მიმდინარე წელს ბიბლიოთეკების კვირეული ჩატარდება აპრილის ბოლო კვირას. წინა წლებისგან განსხვავებით კვირეულის მიზნები ასოციაციამ შემდეგნაირად განსაზღვრა:

- ხელი შევუწყობთ ბიბლიოთეკებში საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მომსახურების განვითარებას 21-ე საუკუნის მსოფლიო ტენდენციებისა და საქართველოს მომხმარებელთა რეალური მოთხოვნილებების შესაბამისად.
- ხელი შევუწყობთ ბიბლიოთეკების როლის ღრმა გააზრებას – როგორც ცოდნის, ინფორმაციის, სამოქალაქო განათლების, კულტურისა და დასვენების ცენტრების; ეს ანალიზი უნდა წარიმართოს ბიბლიოთეკების განვითარებაზე პასუხისმგებელი პირების, საზოგადოების ყველა წევრისა და თვით ბიბლიოთეკარების მონაწილეობით.
- ხელი შევუწყობთ საზოგადოებრივ საზოგადოების ერთიანობის განმტკიცებას – ბიბლიოთეკართა მიერ საერთო პრობლემებისა და მნიშვნელოვანი საკითხების ერთობლივ განხილვას, გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღებისა და აღსრულების მეთოდების დამკვიდრებას, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების კულტურის ჩამოყალიბებას.

14 აპრილი – დედა ენის დღე



დედა ენა – 135



მოსწავლე, წიგნი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერი

ბიბლიოთეკა ჩვენი საყვარელი ადგილია



აწ მეთრე ღბეჭდული ქართულის ენასა შედა:
ჟამსა ამაღლოებულისა მეუისა უნსა უნსა

197/18

ქანთ-სროსსა :

შრო-მითა და წარსაგებელითა სათასეთათა
განმეგებლისა მისისა ბატონის შვილის
უნსა უნსა ვახტანგისსა :



ველითა მესტამბე მისაილო სტეფანე შვილისა
უნგრო-ვლახელისა :

ქალაქსა გფილისისასა

ქრისტეს აქათ : ათას შვილს ღთერთმეტი :

გაიშართა ველითა სიონის დეკანოზის შვი
ლის ეაბრიელისათა